საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№16 (203)
1 - 14 მაისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 15 მაისს**

## კონტრდაზვერვის საიდუმლო მასალები

### მითები და რეალობა ბოსტონის ტერაქტში ქართული კვალის შესახებ 4



## სააკაშვილს ნარინჯისფერ კომბინეზონს უკერავენ?




### «დემოკრატიის შუქურა» ტერორისტებთან თანამშრომლობდა? 3




## ღია კარი, რომელშიც საქართველოს შესვლა აკრძალულია! 2

## ირაკლი კაკაბაძე — იარაღის ბიზნესზე, ჟვანიას სიკვდილსა და თემურ ალასანიაზე 8

„ზურაბ ჟვანიას სიკვდილი გამოძიებული დღემდე არ არის და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის მოკლულია. არსებობდა რამდენიმე ბიზნესჯგუფი, რომლებიც 2004-2005 წლებში საქართველოში ცდილობდნენ ადგილის დამკვიდრებას, მათ შორის იყო თემურ ალასანიას ჯგუფი, რომელიც ძირითადად იარაღის გაყიდვით იყო დაკავებული“



## «ჩამაწობიე ოსტრში»!



„ნაციონალური მოძრაობა“ გუბერნატორების მეშვეობით საგოტაჟს ამზადებს, რათა ახალ მთავრობას ხელი შეუშალოს რეგიონებში საკუთარი მიზნების განხორციელებაში 6

## როგორ გაყიდა «ნაცმოძრაობამ» ბელარუსული ოპოზიცია



## რუსი ლიბერალის სკანდალური აღიარება 14

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**



**გამარჯვების დღეს გილოცავთ ძვირფასო ვეტერანებო! 16**

**მარადიული ხსოვნა 300 ათას დაღუპულ ქართველ მეომარს!**

**7 ცისფერი პარიზი, «მუჟიკი» პუტინი და «ნახალოვკის» იალღიში...**

**«ნაციონალების» მიერ ნასროლი ტყვია ისევ შენახული მაქვს 11**

**11 «ჩერქეზთა გენოციდის აღიარება შეცდომა იყო»**

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი იხსენებს —

**როგორ დაიწვა 18 თბილისის ოპერის თეატრი**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნატოში საქართველოს მიღების აბსურდულობაზე ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად განაგრძობენ „ნატოს მოახლოებული ნათელი ჰორიზონტით“ ხალხის დაიმედებას. უსუფაშვილმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჰიუ ბეილისთან პირისპირ შეხვედრის დეტალებზეც ისაუბრა და, როგორც განაცხადა, მიიღო პირობა, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ყოველთვის მზად იქნება, გამოეხმაუროს საქართველოს საჭიროებებს და იყოს მის გვერდით, როგორც ინსტიტუტი.**

# ღია კარი, რომელშიც საქართველოს შესვლა აკრძალულია!

**სასტუმრო „ქორთიართ მერიოტში“ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ორგანიზებით მიმდინარე „როუზ-როს“-ის 83-ე სემინარზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, ასე იხუმრა: „პრეზიდენტმა შევარდნაძემ დააკაკუნა ნატოს კარზე, 5 წლის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილს უთხრეს, რომ კარი ღიაა და ახლა მე და პრემიერ-მინისტრმა ვიკითხეთ, შეიძლება თუ არა უკანა კარში შემოსვლა. პასუხი მივიღეთ, რომ შეიძლება შესვლა, მაგრამ სიჩქარე არ იქნება სწორი და მუდმივად წინ უნდა ვიაროთ. ეს სემინარიც ამის ნათელი მაგალითია“.**
**ერთი სიტყვით, ახალი ხელისუფლება წინამორბედების გზას აგრძელებს და ახლა ერთი მორიგი სემინარი (რაგინდ პრესტიჟულადაც ითვლებოდეს), ნატოსკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად საღდება.**




**თბილისმა საკუთარ გზას გადაუხვია, რუსეთის ინტერესების ისტორიულ რეგიონში დასავლეთის ავანპოსტი რომ გამხდარიყო. საქართველომ იმ სფეროში ჩაითრია ამერიკა, რომელშიც ვაშინგტონი არასდროს ჩაერთვებოდა**

შეიძლება თუ არა ნატოს „ღია“ კარში შესვლა, სემინარამდე ორიოდე დღით ადრე ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემა **The National Interest-მა** გასცა პასუხი და ამ პასუხიდან ნათელი ხდება, რომ კარი, შესაძლოა, ღიაც იყოს, მაგრამ „უცხოებისთვის შესვლა აკრძალულია“. დუგლას ბენდოუს სტატია სათაურით „საქართველოს სახიფათო დრეიფი ნატოსკენ“ ამის ნათელი დემონსტრირებაა.

**როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ხელისუფლება არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ შეიცვალა. მიუხედავად დასავლეთის რჩეულის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიძულვილისა, პრემიერ-მინისტრი, სააკაშვილის მსგავსად, კვლავაც ცდილობს რუსეთის წინააღმდეგ ნატოს უსაფრთხოების გარანტიების ძიებას.**

„2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შედეგად სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძის მთავრობა დაამხო. დასავლეთში განათლებამიღებული სააკაშვილი აშშ-სა და ევროპას დახმარების თვალით შესცქეროდა, თუმცა მარტო აღმოჩნდა 2008 წელს, როცა რუსეთთან ომი დაიწყო და წააგო“, — წერს დუგლას ბენდოუ.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სააკაშვილის მთავრობამ ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულება დაიწყო და ავღანეთში ISAF-ის მისიას შეუერთდა. მეტიც, სააკაშვილმა გააძლიერა პერსონალური ურთიერთობა ამერიკასთან, ლობისტად აიყვანა სენატორი ჯონ მაკკეინი და ერაყში საბრძოლველად ჯარები გააგზავნა. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თბილისის მისამართით დიდებასა და ფულს არ იშურებდა და სახელმწიფო ვიზიტითაც სტუმრობდა. ბუშის ადმინისტრაცია ძლიერ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს გაწევრიანებას ნატოში. თუმცა, — წერს დუგლას ბენდოუ, — ალიანსის წამყვანი ევროპელი ლიდერები ნაკლებად იყვნენ განწყობილნი, წინ აღდგომოდნენ ბირთვული იარაღით შეიარაღებულ რუსეთს სასაზღვრო დავისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელისთვის, თუმცა უმნიშვნელო – ევროპისთვის. 2008 წლის კონფლიქტმა გაამართლა მათი პოზიცია. მიუხედავად ამისა, ბუშის ადმინისტრაცია აგრძელებდა ზეწოლას საქართველოს ნატოში მიღებაზე, ასევე — ობამას ადმინისტრაციაც, თუმცა ნაკლები ენთუზიაზმით.

„საქართველო, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, მაკედონია და მონტენეგროსთან ერთად, ნატოში გაწევრიანების პირველი პრეტენდენტია. მიუხედავად ნატოს წარმომადგენლების განცხადებისა, რომ ალიანსში საქართველოში გაწევრიანების მოწინააღმდეგენი უკან იხევენ, ნატოს ზოგიერთი წევრი მაინც ნეგატიურად განწყობილი რჩება, მათ შორის გერმანია. თუმცა ნატო და საქართველო ისე აგრძელებენ მოქმედებას, თითქოს პასუხი „დიახ“ გარდაუვალია“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

თბილისის სურვილი – იყოს დაცული ძლევამოსილი ქვეყნებისგან, გასაგებია. თუმცა, ეს ის მიზეზი არ არის, რომელიც აშშ-ის ვალდებულებას გაზრდის. ალიანსის მიზანი აშშ-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ცივი ომის დროს, ვაშინგტონი ნატოს ევრაზიაზე საბჭოეთის დომინირების აღკვეთისგან დასაცავად იყენებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა გაზარდა სამხედრო გარანტიები, როგორც საკუთარი უსაფრთხოების წინასწარი საშუალება.

„საქართველო და მსოფლიო“ არაერთხელ წერდა, რომ საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების დაშლის შემდეგ ნატოს არსებობამ აზრი დაკარგა. ამჯერად ამის შესახებ The National Interest წერს. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! ბენდოუს სტატიის თანახმად, არც ერთი წევრი სახელმწიფო არ დაუშვებს ნატოს წასვლას ვარშავის ხელშეკრულების გზით. ნაცვლად ამისა, ალიანსმა გადაწყვიტა რუსეთის საზღვრებამდე გაფართოება არამხოლოდ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი წევრების შთანთქმით, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებით.

ამაზეც ვწერდით, მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა!

„ვაშინგტონმა დაასრულა გარანტიების მიცემა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მოსკოვის დაქვემდებარებაში იყო ცივი ომის დროს და მანამდეც, — აღნიშნავს დუგლას ბენდოუ, — ხშირ შემთხვევაში ომის რისკი უმნიშვნელო იყო. რუსეთი მძიმე, უსიამოვნო შემსრულებელია, მაგრამ ის არ დაიწყებს ომს ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებთან. მოსკოვს ამისთვის არც ნება ეყოფა და არც შესაძლებლობა, ისევე, როგორც რაიმე მიზეზი. საქართველო გამონაკლისია. **თბილისმა საკუთარ გზას გადაუხვია, რუსეთის ინტერესების ისტორიულ რეგიონში დასავლეთის ავანპოსტი რომ გამხდარიყო. საქართველომ იმ სფეროში ჩაითრია ამერიკა, რომელშიც ვაშინგტონი არასდროს ჩაერთვებოდა. მოსკოვის უკმაყოფილება პროგნოზირებადიც იყო და ექსტრემალურიც. გარდა ამისა, სააკაშვილის ქმედება უგუნურება იყო, ნატოს ფორმალური გარანტიების უქონლობის შემთხვევაშიც. მოსკოვს, შესაძლოა, ჰქონდა კონფლიქტის დაწყების სურვილი და მზადაც იყო უპირატესობის მოსაპოვებლად, მაგრამ სროლა თბილისმა დაიწყო, ასეთი მთავრობა კი საიმედო მოკავშირე ვერ იქნება“.**

დუგლას ბენდოუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნატომ აშშ-ის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, ხოლო საქართველოს ალიანსში გაწევრიანება ომს უფრო სავარაუდოს გახდიდა. თბილისსა და აფხაზეთს ან ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის შეტაკებას, შესაძლოა, რუსეთის ჩართვა მოჰყვეს, რაც, თავის მხრივ, ნატოსა და რუსეთის დაპირისპირების წინაპირობა შეიძლება გახდეს. შედეგი კი, შესაძლოა, ომი იყოს, რისთვისაც თავის არიდება დასავლეთმა ცივი ომის დროსაც კი შეძლო. ნატოს შენარჩუნების ცხადი მიზეზი არ არსებობს. ევროპელებს ამერიკელებზე მაღალი მშპ და მეტი მოსახლეობა ჰყავთ, რუსებზე კი სამჯერ მეტი მოსახლეობა და ათჯერ მაღალი მშპ აქვთ. **ევროპელებმა თავიანთ უსაფრთხოებას თვითონ უნდა მიხედონ. თუ ალიანსს რაიმე ღირებულება აქვს, ეს ომისთვის ხელის შეშლაა. საქართველოს ალიანსში გაწევრიანება კონფლიქტს კიდევ უფრო შესაძლებელს გახდის, ამიტომ ვაშინგტონმა მკაცრად და საბოლოოდ უნდა თქვას „არა“ ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე“,** — დაასკვნის სტატიის ავტორი.

ასე და ამრიგად, ნატოში საქართველოს მიღების აბსურდულობაზე ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად განაგრძობენ „ნატოს მოახლოებული ნათელი ჰორიზონტით“ ხალხის დაიმედებას. უსუფაშვილმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჰიუ ბეილისთან პირისპირ შეხვედრის დეტალებზეც ისაუბრა და, როგორც განაცხადა, მიიღო პირობა, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ყოველთვის მზად იქნება, გამოეხმაუროს საქართველოს საჭიროებებს და იყოს მის გვერდით, როგორც ინსტიტუტი.

რას ნიშნავს საქართველოს გვერდით ნატოს, როგორც ინსტიტუტის დგომა, ეს 2008 წელსაც გამოჩნდა და მთელი ამ 9 წლის განმავლობაშიც, როცა ნატო, ამერიკის ადმინისტრაციის კვალდაკვალ სააკაშვილის „დემოკრატიის შუქურას“ ადიდებდა.

ჰიუ ბეილი დღეს აცხადებს: „ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, თუ როდის მოხდება საქართველოს ნატოში გაწევრიანება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ამ კუთხით, ალიანსის პოზიცია ურყევია. ნატოში გაწევრიანებაში რუსეთი ან სხვა ვინმე საქართველოს ხელს ვერ შეუშლის“. ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი თავს იკატუნებს, თორემ რუსეთის ხელშეშლა რა მოსატანია, როცა თავად ნატო არ აპირებს საქართველოს საკუთარ რიგებში მიღებას! თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი კვლავ ადასტურებს, რომ საქართველოს მთავრობის მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესი რჩება.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კი ამასობაში რადიო „თავისუფლების“ ევროპული ბიუროს ეთერში რუსეთის კუთხეში დაყენებას ლამობს: **„ჩვენ გვინდა რუსეთი კუთხეში დავაყენოთ, სადაც მათ არანაირი საბაბი არ ექნებათ პოლიტიკურად აგრესიულად ან საერთაშორისო მასშტაბებით დაგვესხან თავს“.**

ღია ეთერში ალასანია ამბობს, რომ „რუსეთს ჭკუით უნდა ვაჯობოთ“ და ალბათ, სჯერა, რომ რუსეთში ამას ვერ გაიგებენ. სამაგიეროდ, ამერიკელებმა ზუსტად იციან, რატომ ვერ დაიცვა ქართულმა ჯარმა საკუთარი ტერიტორია. ალასანია სვამს კითხვას: „მათ (ნაციონალებმა) რუსეთის წინააღმდეგ ომი წააგეს. რუსეთი თავს დაგვესხა. თუმცა ჩვენ თავდაცვაზე 8 მილიარდი ლარი დახარჯეთ, მაგრამ ჩვენი არმია მზად არ იყო. ამიტომ ხალხს აინტერესებს: რა მოხდა? რატომ ვერ დავიცავით ჩვენი სამშობლო? სად წავიდა ეს 8 მილიარდი?“

8 მილიარდი იმაზე წავიდა, რომ ქართველებს ერაყში, ავღანეთსა და ახლა უკვე მალიში ნატოს (ანუ აშშ-ის) ინტერესებისთვის ეომათ და ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს ძალიან კარგად იცის. ამერიკული ფული ამერიკისთვის უნდა დაიხარჯოს და არა საქართველოსთვის! „ქართული ოცნება“ კი კვლავაც ჰპირდება ამერიკელებს, რომ ქართველი სამხედროები ავღანეთში, ნატოს ახალი მისიის ფარგლებში, 2014 წლის შემდეგაც დარჩებიან! მეტიც, ისინი მოკავშირეებს სთავაზობენ საქართველოს ინფრასტრუქტურას ავღანეთიდან მომავალი ჯარებისა და ტვირთის ტრანზიტის უზრუნველსაყოფად.

როდესაც შენი შეურიგებელი მტერი ამ რიტორიკისთვის შეგაქებს, უნდა მიხვდე, რომ რაღაც არ არის კარგად. საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, „როუზ-როსის“ კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა იყო ისეთი, როგორსაც საქართველოს პრემიერისგან უნდა ვისმენდეთ“. მას რომ პრემიერ-მინისტრისკენ გული არ მობრუნებია, ცხადია, მაგრამ ნატოს ილუზიების ტყვეობაში საქართველოს დატოვება სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერაა და კმაყოფილიც ამიტომ არის.

„ვაშინგტონმა მკაცრად და საბოლოოდ უნდა თქვას „არა“ ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე“, — წერს The National Interest.

ბატონებო! თუ **„საქართველო და მსოფლიოს“** არ უჯერებთ, **The National Interest**-ს მაინც დაუჯერეთ!

**P.S. ჩვენსავით ნატოს კართან ატუზული ბოსნია-ჰერცოგოვინას პრეზიდენტი ჟივკო ბუდიმირი, ხელისუფლების 18 წარმომადგენელთან ერთად, სულ ახლახან პოლიციამ კორუფციის ბრალდებით დააკავა. ადგილობრივი პოლიციის განმარტებით, პრეზიდენტი იმ ბრალდებულთა შეწყალებისთვის დააპატიმრეს, რომელთა უმრავლესობას შესაფერისი რეკომენდაცია არ გააჩნდა. გასულ წელს პრეზიდენტმა 96 ადამიანი შეიწყალა. სამართალდამცავი ორგანოები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტი საშიშ კრიმინალებს თავისუფლებაზე გარკვეული თანხის სანაცვლოდ უშვებდა. ჩვენმა პრეზიდენტმა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ ასეულობით პატიმარი შეიწყალა და ბიუჯეტის თანხებიც მილიონობით ფლანგა საკუთარ გართობაზე. რა დროს ნატოა, პრეზიდენტს და მის დამქაშებს მიხედეთ!**

**ის, რაც მიწასთან გაასწორებს სააკაშვილის იმიჯს, საქართველოს, დიდი ალბათობით, არ დააზარალებს, გაცილებით ცუდ შედეგს საქმის არგამოძიება მოიტანს, რაც კიდევ უფრო გაამყარებს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ წინა ხელისუფლებამ ქვეყანა ტერორისტების ბუდედ გადააქცია.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილს ნარინჯისფერ კომბინეზონს უკერავენ?

**წინა ხელისუფლების ტერორისტებთან შესაძლო თანამშრომლობის თემა სულ უფრო აქტუალური ხდება და ადგილობრივ საინფორმაციო სივრცეში თანდათან ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს. 26 აპრილს „რუსთავი 2“-ის ეთერში მასზე ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა, რამაც ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა, თუმცა, ვიდრე მისი კომენტარის ციტირებას მოვახდენთ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, რამდენიმე წინმსწრები განცხადება გავიხსენოთ, რომლებმაც ეს სკანდალური თემა საყოველთაო განხილვის საგნად აქცია.**




**არავისთვის საიდუმლო არაა, რომ პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილს არაერთგზის უწოდეს იდიოტი, მაგრამ მის ყველაზე რადიკალურ ოპონენტებსაც კი, ალბათ, უჭირთ იმის დაჯერება, რომ ის იმდენად უიმედო იდიოტი გამოდგა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის სისხლიან ჭაობში შეტოპა**

ცალკეულმა ექსპერტებმა, ჟურნალისტებმა და უფლებადამცველებმა არაერთგზის მიანიშნეს სააკაშვილის ხელისუფლების საეჭვო კავშირებზე ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებთან, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციის „კავკასიის იმარატი“ წარმომადგენლებთან, მაგრამ მათ განცხადებებს ოფიციალური რეაქცია და გამოძიების დაწყება არ მოჰყოლია. **სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი თავის მოხსენებაში შარშან, აგვისტოში სოფელ ლაფანყურთან მომხდარ სისხლიან შეტაკებას შეეხო. ხელისუფლებას, უბრალოდ, არ შეეძლო მასზე რეაგირება არ მოეხდინა, რადგან წაყრუება გადაულახავ წინააღმდეგობაში შევიდოდა როგორც კანონთან, ისე იმ ვალდებულებებთან, რომლებიც საქართველომ საკუთარ თავზე საერთაშორისო ანტიტერორისტული თანამშრომლობის ფარგლებში აიღო.** ომბუდსმენის სტატუსმა და ჩამოთვლილი ფაქტების სკანდალურობამ გამოძიების დაწყება გარდაუვალი გახადა.

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების მითითება-თხოვნით, 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან.

**„საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ჰპირდებოდნენ ე.წ. კორიდორს ჩეჩნეთში გადასასვლელად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვასა და ჩეჩნეთში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას. მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩეჩნების ჩამოსვლა. მათთვის თბილისის ზოგიერთ უბანში (ძირითადად, საბურთალოს რაიონში) დაიქირავეს ბინები. საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩეჩნეთში ყოველთვიურად დაახლოებით 50-მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო,** — წერს ნანუაშვილი. — **ჩამოსულ ჩეჩნებს აეროპორტში ხვდებოდნენ და დისლოკაციის ან საცხოვრებელ ადგილებზე გადაჰყავდათ შსს-ს მაღალჩინოსნებს. შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები ჩუქნიდნენ და უფორმებდნენ მათ იარაღს, აძლევდნენ მართვის მოწმობებს, სხვა საჭირო დოკუმენტებსა და ნივთებს**“. მოხსენების თანახმად, **ჩეჩენი მებრძოლები წვრთნას ვაზიანის და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე გადიოდნენ.**

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ყოველივე ამას ადგილი მართლაც ჰქონდა, გამოძიებას პასუხის გაცემა მთელ რიგ კითხვებზე მოუწევს: **რა სტატუსით იმყოფებოდნენ ეს მებრძოლები საქართველოში და გადიოდნენ წვრთნას ჩვენ ბაზებზე? ვინ და რას ასწავლიდა მათ? რა ფონდებიდან ფინანსდებოდა ეს ღონისძიებები? იყვნენ თუ არა მათ შორის „კავკასიის იმარატთან“ დაკავშირებული პირები?** (ეს ორგანიზაცია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორისტულად 2011 წლის 26 მაისს გამოაცხადა, მისი ლიდერი დოკუ უმაროვი გაერომ „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული ტერორისტების სიაში შეიყვანა). ყველა კითხვას ნამდვილად ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ მთავარი აქ სულ სხვა რამ არის: **თუ დადასტურდება, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მართლაც თანამშრომლობდნენ ტერორისტებთან, მათ, სავარაუდოდ, უმკაცრესად, სამაგალითოდ დასჯიან, რადგან დღევანდელი მსოფლიო შეუწყნარებელია ტერორისტებისა და მათი მეგობრების მიმართ**.

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილს არაერთგზის უწოდეს იდიოტი, მაგრამ მის ყველაზე რადიკალურ ოპონენტებსაც კი, ალბათ, უჭირთ იმის დაჯერება, რომ ის იმდენად უიმედო იდიოტი გამოდგა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის სისხლიან ჭაობში შეტოპა, რითაც ქვეყანა მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე დააყენა.

სააკაშვილის რეაქცია სახალხო დამცველის მოხსენებაზე უცნაური და, ამავე დროს, დამაფიქრებელი იყო. 16 აპრილს „რუსთავი 2“-ის ეთერში მან ძალზე ემოციური განცხადება გააკეთა (*ციტატა, სტილი დაცულია*): **„არის შემოტევა, მაგალითად, აი, იგივე იმ ხალხზე, ვინც ჩვენ უსაფრთხოებას აკონტროლებს ჩრდილო კავკასიის მიმართულებით; მთელი ეს ლაპარაკი სხვადასხვა ოპერაციებზე, ჩრდილოკავკასიელებზეც, რომ საქართველო ამზადებდა ტერორისტებს... ქართველების ნათქვამი, ქართველების ნათქვამი, ხალხო! ქართველების ნათქვამი, ქართველების მიცემული ჩვენები, ოფიციალური პირის, რომ, კი, ჩვენ ვამზადებდით ტერორისტებს. ჯერ ერთი ტყუილია და მართალი რომ იყოს, მართალი რომ იყოს, ერთი წუთით დავუშვათ, ენა უნდა ამოიგდო და ამაზე ილაპარაკო?“.**

ბოლო პასაჟი ფრიად ანტისამართლებრივად და ანტისახელწიფოებრივად ჟღერს. სააკაშვილის მიხედვით, გამოდის, რომ ქართველები უნდა მოქმედებდნენ მაფიოზური „ომერტას“ ტიპის კოდექსის ფარგლებში, მიჩქმალონ დანაშაული და დადუმდნენ. ეს პოზიცია 100%-ით ეწინააღმდეგება პრინციპებს, რომელზეც დგას დემოკრატიული სახელმწიფო; ეს მაფიოზების ან თუნდაც იმავე ტერორისტების გზაა და საქართველო ამ გზით, ბუნებრივია, ვერ ივლის.

საინტერესოა, რა საჭირო იყო ეს მელოდრამული მონოლოგი, რატომ არ თქვა სააკაშვილმა მშვიდად, რომ ეს სისულელეა, რომ ყველა კითხვას უპასუხებს და ბრალდებებს იოლად მოიგერიებს და, ამის ნაცვლად, დაიწყო აპელირება „ომერტას“ მიმართ, ისე, თითქოს მთელი საზოგადოება მისი დანაშაულის (შესაძლო დანაშაულის; ნუ დავარღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას) თანამონაწილეა? შესაძლოა, მას არ ესმის, რომ გამოძიების შეჩერება, უბრალოდ, არ გამოვა, რადგან ამას კანონი და ქვეყნის ანტიტერორისტული ვალდებულებები გამორიცხავს და, ამასთანავე, **შეუძლებელია, აუკრძალო ადამიანებს, ისაუბრონ იმ თემებზე, რომელთაც მნიშვნელოვნად თვლიან, მათ შორის სააკაშვილის შესაძლო კავშირებზე ტერორისტებთან,** განსაკუთრებით სახალხო დამცველის მოხსენების შემდეგ.

26 აპრილს „რუსთავი 2“-ის ეთერში ამ თემაზე საუბრისას ბიძინა ივანიშვილმა თქვა: **„ომბუდსმენის გამონათქვამი მე შემიძლია მივიღო ძალიან რეალურად, მაგრამ არა დასტურად. დაველოდოთ გამოძიებას, გამოძიება დაწყებულია. რა თქმა უნდა, მეც დიდი ეჭვი მაქვს იმ საკითხებზე, რომლებიც გამოითქვა ომბუდსმენის მიერ, ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ხდებოდა რეალობაში, მაგრამ თავს შევიკავებ. ალბათ, უახლოეს დროში გამოძიება დასრულდება და ჩვენ ძალიან ბევრ სიახლეს გავიგებთ... შეიძლება შოკისმომგვრელსაც კი. ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობა იმავე ბოევიკებთან და ტერორისტებთან. და ეს შოკისმომგვრელი იქნება ჩემთვის პირადად, თუ ეს დადასტურდა, რაზეც ეჭვებია... ეს კითხვები ქართველ ჟურნალისტებს სულ აქვთ, რომ ასეთი ტიპის გამოძიებები ქვეყნის იმიჯს დააზარალებს. დააზარალებს ქვეყნის იმიჯს იმ შემთხვევაში, თუ ამას სხვა გამოიძიებს და ამას სხვა ქვეყნები დაადასტურებენ. მაგრამ, თუ ამას ახალი ხელისუფლება იზამს და თანაც აჩვენებს, რომ უარს ამბობს მსგავს ქმედებებზე და მკვეთრად გავემიჯნებით ჩვენ ამის მსგავსს, ეს პირიქით — მოუმატებს სახელმწიფოს და საქართველოს იმიჯად ჩაეთვლება**“. ამ მიმართვას სააკაშვილმა საგანგებო ვიდეომიმართვით უპასუხა და ბრალდებები კიდევ ერთხელ უარყო.

საინტერესოა, რომ სააკაშვილის ზოგიერთი მომხრე (სოციალური ქსელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) მიიჩნევს, რომ თანამშრომლობა ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებთან (სწორედ ტერორისტებთან და არა მათთან, ვისაც დასავლურ მედიაში ხშირად „ჩეჩენ მეამბოხეებს“ უწოდებენ და ვისაც „ალ ქაიდას“ და „კავკასიის იმარატის“ ტიპის ორგანიზაციებთან კავშირი არ უმტკიცდება), რადგან ისინი რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებენ. როგორც ჩანს, მათ საერთაშორისო სამართლის ანა-ბანა არ იციან, არ ესმით, რომ რაიმე ტიპის თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორისტებთან არ შეიძლება არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოსთან მწვავე კონფრონტაციის, არამედ ომის წარმოების პირობებშიც კი და ისიც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ბომბიანმა ჯიჰადისტმა, რომელიც დღეს რუსეთს უპირისპირდება, ხვალ შეიძლება აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნებს ან, სულაც, საქართველოს შეუტიოს. მაგრამ **მთავარი პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე მენტალური ქარიშხალი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ცალკეული მომხრეების თავში მძვინვარებს — უნდა გაითვალისწინოს თუ არა ხელისუფლებამ და საზოგადოებამ მიხეილ სააკაშვილის მოწოდება და დადუმდეს, რათა ქვეყნის იმიჯს ზიანი არ მიაყენოს?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, იმ ბანალური ფაქტის კონსტატაციით უნდა დავიწყოთ, რომ სააკაშვილი არ არის საქართველო, ისევე, როგორც მუსოლინი არ იყო იტალია, ხოლო ჩაუშესკუ — რუმინეთი, რაც, ცხადია, არ ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობისგან მათ, ვინც ამ დიქტატორებს თავის დროზე მხარს უჭერდნენ. **ის, რაც მიწასთან გაასწორებს სააკაშვილის იმიჯს, საქართველოს, დიდი ალბათობით, არ დააზარალებს, გაცილებით ცუდ შედეგს საქმის არგამოძიება მოიტანს, რაც კიდევ უფრო გაამყარებს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ წინა ხელისუფლებამ ქვეყანა ტერორისტების ბუდედ გადააქცია.**

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საიმიჯო ზარალს ადგილი ექნება, დამოკიდებულებაში პრობლემის მიმართ, ალბათ, მაინც სისხლის სამართლის კოდექსს და არა იმიჯელოგიის სახელმძღვანელოს უნდა დავეყრდნოთ; დამნაშავე კი, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა დაისაჯოს.

საინტერესოა, როგორ დაიცავს თავს სააკაშვილი, თუ გამოძიება მართლაც შოკისმომგვრელ დასკვნამდე მივა? თეორიულად მან შეიძლება თქვას, რომ ყოველივე შსს-ს მაღალჩინოსნების წამოწყება იყო, რომლის შესახებ არაფერი იცოდა, ან კიდევ, რომ მათ არასწორად გაიგეს მისი ინიციატივა და კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში ჩრდილოკავკასიელ ახალგაზრდებს, ხალხური საკრავების ნაცვლად, კალაშნიკოვის ავტომატები დაურიგეს. ამ შემთხვევაში მას არ შეეძლება აპელირება ქვეყნის უზენაესი ინტერების მიმართ, რასაც აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით აკეთებს, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაურთულებს საქმეს მის ადვოკატებს; თუმცა ასე შორს ნუ წავალთ, გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება და საუბარი სასამართლოზე ან იმაზე, რომ ამერიკელ პარტნიორებს ნარინჯისფერი კომბინეზონების გამოგზავნა უნდა ვთხოვოთ (გუანტანამოში პატიმრებს რომ ურიგებენ), ჯერჯერობით ნაადრევია.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეორიულად შეგვიძლია დავუშვათ, რომ „იზვესტიას“ ხელთ რაღაც სხვა დოკუმენტები აღმოჩნდა, მაგრამ ერთი და იმავე სახელების და გარემოებების მოხსენიება ამის ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს. თუ ჩვენ დავეყრდნობით ვერსიას, რომ „სეგოდნია“ და „იზვესტია“ ერთსა და იმავე დოკუმენტს იყენებენ, უკანასკნელის წერილში ბევრ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ.**

# კონტრდაზვერვის საიდუმლო მასალები

# მითები და რეალობა ბოსტონის ტერაქტში ქართული კვალის შესახებ

**გასულ კვირას რუსულ მედიაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ტერორისტი ტამერლან ცარნაევი, რომელიც, ამერიკელი სამართალდამცავების ვერსიით, მონაწილეობდა ბოსტონის ტერაქტის მოწყობაში, დაკავშირებულია საქართველოსთან. გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 2012 წლის ზაფხულში საქართველოში რეგისტრირებული „კავკასიის ფონდი“ ამერიკულ „ჯეიმსთაუნის“ ფონდთან ერთად, ატარებდა ღონისძიებებსა და სემინარებს ახალგაზრდა კავკასიელებისთვის“ და ზოგიერთ ამ თავყრილობას თითქოს ესწრებოდა ტამერლან ცარნაევი, რომელიც რუსეთში 2012 წლის იანვარ-ივლისში იმყოფებოდა. „იზვესტია“ ინფორმაციის წყაროდ ასახელებდა საქართველოს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დოკუმენტებს, რომლებიც თითქოსდა მის განკარგულებაში აღმოჩნდა, კერძოდ პუბლიკაციაში მოხსენიებული იყო ამ დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს პოლკოვნიკის, გრიგოლ ჭანტურიას, ანგარიში.**



ამ პუბლიკაციას საქართველოში დიდი რეზონანსი მოჰყვა, შსს-მ და „კავკასიის ფონდმა“ „იზვესტიას“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს. საინტერესოა, რომ მსჯელობა გაიმართა საგაზეთო პუბლიკაციის და არ იმ დოკუმენტების გარშემო, რომელიც ნახსენებია მასში, არადა, იქ სულ სხვა, არანაკლებ საინტერესო რამ წერია.

საქმე ისაა, რომ ქართული კონტრდაზვერვის დოკუმენტები „კავკასიის ფონდის“ საქმიანობასთან დაკავშირებით, პირველად მოხსენიებული იყო არა „იზვესტიას“ 24 აპრილის, არამედ ინტერნეტ-გამოცემა „სეგოდნიას“ 22, შემდგომ კი 23 აპრილის სტატიებში. 22 აპრილის სტატიაში მითეთებულია ინფორმაციის წყარო, იქვე არის ბმულებიც, საიდანაც ირკვევა, რომ ამა წლის 17 აპრილს „ფეისბუქზე“ შეიქმნა „დავით სიხარულიძის“ პროფილი (გვარი ინგლისურად არატრადიციულადაა დაწერილი — ასო „ქეის“ გარეშე). იმავე დღეს ამ გვერდზე გამოქვეყნდა მიმართვა (ინგლისურ ენაზე): „მინდა მივმართო რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებას, იმიტომ, რომ ჩემს განკარგულებაშია გარკვეული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გახდეს შემობრუნების მომენტი ჩემი ქვეყნის საშინაო საქმეებში და საკადრო პოლიტიკაში. დღესდღეობით სიტუაცია საქართველოს შსს-ში ძალიან უცნაურ მანერაში ვითარდება. მხედველობაში მაქვს, რომ არიან ჩინოვნიკები, რომლებიც არ იხილავენ საკუთარ თავს, როგორც სამთავრობო იერარქიის ნაწილს. ისინი უარყოფენ სუბორდინაციის წესს და ტოვებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს გაურკვევლობაში, იმასთან დაკავშირებით, რასაც სინამდვილეში აკეთებენ. მე არ შემიძლია ჩუმად ვიყო, როდესაც ჩემი კოლეგები სახელმწიფო საქმეს წარმართავენ ისე, თითქოს ეს მათი საკუთარი საქმეა (აქ გამოყენებული სიტყვა „ბიზნეს“ და ორივე შემთხვევაში „საქმე“ შეიძლება ითარგმნოს როგორც „ბიზნესი“) ან მესამე მხარის ინტერესები. მე გადავწვიტე, თქვენი ყურადღება მივაპყრო ამ მასალებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს გადასახედიდან. ის გაეგზავნება ყველა ცნობილ ჟურნალისტს, პლოგერებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს“.

ამ მიმართვის შემდეგ მოდის ფაილის გადმოწერის ბმული. „ტვიტერზე“ „დავით სიხარულიძის“ პროფილში (22 აპრილის მდგომარეობით, როდესაც „სეგოდნიამ“ პირველი მასალა გამოაქვეყნა) ორი ჩანაწერი იყო: 17 აპრილის — „ჩემს განკარგულებაშია გარკვეული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გახდეს შემობრუნების მომენტი საქართველოს საშინაო საქმეებში“ (შემდეგ ბმული) და იდენტური 19 აპრილის ჩანაწერი, ოღონდაც ამ შემთხვევაში ავტორი მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს მიმართავდა.

ამასთანავე, „სეგოდნიას“ მოყავს წერილის ტექსტი, რომელიც, მისი ინფორმაციით, ადამიანმა, რომელიც საკუთარ თავს დავით სიხარულიძეს უწოდებს, რუსულ ინტერნეტგამოცემებს და ბლოგერებს დაუგზავნა (ციტატა; თარგმანი რუსულიდან): **„მე წარმოვადგენ საქართველოს შსს-ს და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. მე გამაჩნია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი ჩემი კოლეგა საქართველოს შსს-ში უმალავს თავის უშუალო ხელმძღვანელს, პრემიერ-მინისტრს იმ საქმიანობის დეტალებს, რომელსაც სახელმწიფოთაშორის სფეროში ახორციელებს. ჩვენი ხელმძღვანელობისა და საზოგადოების ჩაუხედაობამ ამ საქმიანობის დეტალებში შეიძლება გამოიწვიოს ეთნიკური კონფლიქტი და რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის სერიოზული გართულება“.**

გადავიდეთ უშუალოდ ფაილზე, რომელიც მიმართვის ავტორმა ინტერნეტში განათავსა და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახადა: ეს „ვორდის“ 48-გვერდიანი დოკუმენტია, ტექსტი იწყება იგივე მიმართვით, რაც „ფეისბუკზე“ გავრცელდა, შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით მოდის:

**1) „ცნობა „კავკასიის ფონდის“ ღონისძიებების შესახებ“ (გრიფით „საიდუმლო“; ხელმოწერა — კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოქმედი რეზერვის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი გ. ჭანტურია, ნოემბერი 2012 წ.);**

**2) „ცნობა „კავკასიის ფონდის“ შესახებ (იგივე გრიფი, იგივე ხელმოწერა, იანვარი 2013 წ.);**

**3) „ცნობა ერევანში ჩატარებული კონფერენციის შესახებ“ (ასევე ეხება „კავკასიის ფონდის“ საქმიანობას, ტექსტში მოხსენიებულია 2-გვერდიანი დანართი, იგივე გრიფი, იგივე ხელმოწერა);**

**4) ტექსტის მონაკვეთი, რომელიც დასათაურებულია „კავკასიის ფონდის“ შესახებ“ (გრიფის, თარიღისა და ხელმოწერის გარეშე);**

**5) „ცნობა ჩრდილოეთ კავკასიაში კაზაკთა საკითხის შესახებ“ (გრიფით „საიდუმლო“, ხელმოწერა — კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ანალიზის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, ვიცე-პოლკოვნიკი გ. ჭანტურია, აგვისტო 2012 წ., ინგლისურ და რუსულ თარგმანში ეს მონაკვეთი დათარიღებულია სექტემბრით);**

**6) (კიდევ ერთი, პირობითად №2) „ცნობა „კავკასიის ფონდის“ ღონისძიებების შესახებ“ (გრიფით „საიდუმლო“, ხელმოწერა და თარიღი — იგივე, რაც წინა პუნქტში, მაგრამ ამ შემთხვევაში ორივე თარგმანში აგვისტოა);**

**7) (კიდევ ერთი, პირობითად №3) „ცნობა „კავკასიის ფონდის“ ღონისძიებების შესახებ“ (ტექსტში მოხსენიებულია ერთგვერდიანი დანართი, გრიფით „საიდუმლო“, ხელმოწერა და თარიღი — იგივე, რაც მეხუთე პუნქტში);**

**8) „პატაკი შინაგან საქმეთა მინისტრს, ი. ღარიბაშვილს, კონსპირაციული ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ“ (გრიფით „სრულიად საიდუმლო“, ხელმოწერა — კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი, ვიცე-პოლკოვნიკი მ. ჯანელიძე, იანვარი 2013 წ. „ვეთანხმები“ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი გ. ხვედელიძე, იანვარი, 2013 წ.);**

**9) „ცნობა თ. ტალიაშვილის შესახებ“ (ტექსტში მოხსენიებულია სამგვერდიანი დანართი, გრიფით „საიდუმლო“, ხელმოწერა — კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოქმედი რეზერვის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი გ. ჭანტურია, დეკემბერი, 2012 წ.);**

**10) „ცნობა უ. იდიგოვის შესახებ“ (იგივე გრიფი და ხელმოწერა, რაც წინა პუნქტში, ნოემბერი, 2012 წ.);**

გავრცელებული დოკუმენტი აკრეფილია „ვორდში“, ანუ ეს არ არის სკანირებული დოკუმენტების ან ფოტოკოპიების კრებული, შესაბამისად, შეუძლებელია ისეთი დეტალების ანალიზი, როგორიცაა ბლანკის, ბეჭდის, ხელმოწერის და ა. შ. ავთენტურობა. დოკუმენტის სტრუქტურა (უკვე ციტირებული ინგლისურენოვანი მიმართვის შემდეგ) ასეთია: თითოეულ ქართულ მონაკვეთს, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მოსდევს თარგმანი ინგლისურ და რუსულ ენებზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მომდევნო ქართული მონაკვეთი.

**ინტერნეტგამოცემა „სეგოდნია“ 22 და 23 აპრილის პუბლიკაციებში, ასე თუ ისე, რჩება იმ ინფორმაციის ჩარჩოებში, რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავს და მისგან საკუთარ ვარაუდებს მიჯნავს, ხოლო „იზვესტიას“ 24 აპრილის წერილში გაუგებარია, სად მთავრდება ამ და იწყება სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია ან ვარაუდი. თეორიულად შეგვიძლია დავუშვათ, რომ „იზვესტიას“ ხელთ რაღაც სხვა დოკუმენტები აღმოჩნდა, მაგრამ ერთი და იმავე სახელების და გარემოებების მოხსენიება ამის ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს. თუ ჩვენ დავყრდნობით ვერსიას, რომ „სეგოდნია“ და „იზვესტია“ ერთსა და იმავე დოკუმენტს იყენებენ, უკანასკნელის წერილში ბევრ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ.**

**მთავარი, ალბათ, ისაა, რომ განხილულ დოკუმენტში არსად არ არის მოხსენიებული ტამერლან ცარნაევი, აგრეთვე, „კავკასიის ფონდისა“ და ჯეიმსთაუნის ფონდის ერთობლივი „ღონისძიებები და სემინარები“ 2012 წლის ზაფხულში.** ერთადერთი აბზაცი, სადაც ნახსენებია „ჯეიმსთაუნის ფონდი“ მე-10 მონაკვეთში გვხვდება („ცნობა უ. იდიგოვის შესახებ“), სადაც **აღწერილია „კავკასიის ფონდის“ საფარქვეშ მოქმედი ოპერთანამშრომლის შეხვედრა იდიგოვთან, რომლის დროს იდიგოვმა თითქოსდა შეატყობინა, რომ სექტემბერში შეხვდა „ქართული ოცნების“ ლიდერებს — ივანიშვილს, ღარიბაშვილს, უსუფაშვილს, საგანელიძეს და„აღნიშნულ შეხვედრაზე მან ნუგზარ წიკლაური და ძველი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაადანაშაულა, თითქოსდა ისინი კავკასიურ თემატიკაზე ჩატარებულ ღონისძიებებში ე. წ. შავ ფულს ათეთრებდნენ**. კერძოდ, თითქოს ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2010 წელს ჯეიმსთაუნის ფონდთან ერთად ჩატარებული ორი კონფერენციის დროს და ფულის გათეთრება მოხდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „კავკასიის ფონდის“, როგორც კონფერენციის თანაორგანიზატორების მეშვეობით“. სადმე სხვაგან დოკუმენტში „ჯეიმსთაუნის ფონდი“ ნახსენები არ არის და **გაუგებარია, საიდან მოაქვს „იზვესტიას“ ინფორმაცია 2012 წლის ღონისძიებების და ცარნაევის შესახებ.** არის სხვა შეუსაბამობებიც, მაგალითად, „იზვესტიამ“ ახსენა პოლკოვნიკი გრიგოლ (რუსულად გრიგორი) ჭანტურია, ამის შემდეგ შსს-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთან „პირი მსგავსი სახელით და გვარით არც ადრე ირ-

▶

**კომპეტენტურმა ორგანოებმა, ალბათ, უნდა გადაამოწმონ ფაქტები, რომლებიც შესაძლო დანაშაულს, მაგალითად, ფულის გათეთრებას, ეხება. აგრეთვე, სასურველია, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეაფასოს ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის კუთხით შექმნილი სიტუაცია, ყურადღება მიაქციოს იმ საკითხებს, რომლებმაც რუსეთთან ურთიერთობაში შეიძლება სერიოზული კრიზისი გამოიწვიოს და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დატოვებული ნაღმები გაანეიტრალოს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იცხებოდა და არც ახლა მუშაობს". არადა, დოკუმენტში არაა ნახსენები არანაირი პოლკოვნიკი გრიგოლი, არამედ მხოლოდ ვიცე-პოლკოვნიკი გ. ჭანტურია, რომელიც შეიძლება იყოს გიორგიც, გურგენიც, გერმანეც, გუჯაც და ა. შ.

ვინაიდან ამ დოკუმენტმა, უფრო სწორად კი სპეკულაციებმა მის გარშემო ამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია, ალბათ, აჯობებს, მოკლედ მიმოვიხილოთ ჩამოთვლილი მონაკვეთების შინაარსი:

**პირველ მათგანში საუბარი ეხება „კავკასიის ფონდის" მიერ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას თემაზე „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კავკასიაში XIX საუკუნეში".** არაფერი კრიმინალური ამ ტექსტში არ არის, ოღონდაც ზოგიერთ ჩრდილოკავკასიელ მეცნიერს შეიძლება შეექმნათ გარკვეული პრობლემები რუსულ კონტრდაზვერვასთან, თუ ამ დოკუმენტს სრული სერიოზულობით მოეკიდება, შემდეგი აბზაცის გამო (ყველა ციტატაში დაცულია ორიგინალის სტილი ორთოგრაფია და პუნქტუაცია): „შესაძლებელია კონფერენციაზე მოვიწვიოთ 6-7 მეცნიერი დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დაღესტნის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან და ჩეჩნეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ყველა მოწვეულ პირთან ოპერთანამშრომელს აქვს დამყარებული კონტაქტი „კავკასიის ფონდის" საფარით, ისინი დადებითად არიან განწყობილნი საქართველოს მიმართ და მომავალშიც არის რეალური შესაძლებლობა, რათა ეს პირები გამოყენებული იქნან ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში კონტრდაზვერვის დეპარტამენტისთვის საინტერესო ოპერატიული ხასიათის ინფორმაციის მისაღებად".

**მეორე მონაკვეთი შემდეგ ინფორმაციას შეიცავს: „2008 წლის 7 ნოემბრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე ფუნქციონირებდა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის კონსპირაციული ორგანიზაცია – არაკომერციული იურიდიული პირი „კავკასიის ფონდი" (ს/კ 202454325). მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორგანიზაციის დაფინანსების შეწყვეტის და საქმიანობის შეჩერების თაობაზე, ფონდის პრეზიდენტმა გივი ღამბაშიძემ გადაწყვიტა, ამავე სახელწოდებით დაეფუძნებინა ახალი ორგანიზაცია და მოეძია დაფინანსების ალტერნატიული წყარო.** ამ მიზნით იგი დაუკავშირდა თავის მეგობარს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ზურაბ აბაშიძეს და სთხოვა პრემიერ-მინისტრთან შუამდგომლობა „კავკასიის ფონდის" დაფინანსების თხოვნით". რამდენადაც ზ. აბაშიძე ამ წლების განმავლობაში საქმის კურსში იყო „კავკასიის ფონდის" საქმიანობის შესახებ და ახლო ურთიერთობა გააჩნია გ. ღამბაშიძესთან და ოპერთანამშრომელთან, იგი დაუკავშირდა პარლამენტის კავკასიის და დიასპორის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს გუბაზ სანიკიძეს, ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს და საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს. მათი ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდა, რომ „კავკასიის ფონდის" მუშაობის გაგრძელების საკითხი ერთად დაეყენებინათ პრემიერ-მინისტრის წინაშე.

შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან შედგა 14 იანვარს. ზემოხსენებულ პირთა გადმოცემით, ბ. ივანიშვილი მოწონებით შეხვდა ამ იდეას და გამოთქვა თანხმობა, რომ „კავკასიის ფონდის" საქმიანობის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდ „ქართუს" სახსრებით. ბ. ივანიშვილმა „კავასიის ფონდის" დაფინანსების და ორგანიზაციული საკითხების კურატორობა დაავალა თავის მრჩეველს — ირაკლი მელაშვილს. **პრემიერ-მინისტრის მოსაზრებით, აუცილებელია არასამთავრობო დონეზე „კავკასიის ფონდის" სახით მძლავრი და ქმედითი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მთლიანად გადაფარავს და გააკონტროლებს ჩრდილოეთ კავკასიასთან საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეცნიერო მიმართულებებს. მან ასევე აღნიშნა, რომ გივი ღამბაშიძის პიროვნება მისთვის ცნობილია და მხარს უჭერს მის კანდიდატურას".**

შემდეგ აღწერილია საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, ბოლოს კი ნათქვამია: „უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერ-მინისტრისა და ზემოხსენებული პირებისთვის უცნობი რჩება ის ფაქტი, რომ „კავკასიის ფონდი" შექმნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და ფინანსდებოდა სამინისტროს სპეცსახსრებით. ოპერთანამშრომლის მიერ გ. ღამბაშიძე გაფრთხილებულია, რომ ხსენებულ პირებთან ურთიერთობისას საიდუმლოდ უნდა შეინახოს ეს ფაქტი.

2008-2012 წლებში „კავკასიის ფონდში" გ. ღამბაშიძის საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლებოდა წარმომადგენლობითი ფუნქციით. ფონდის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრასა და ცალკეული აქტიური ღონისძიებების დაგეგმვაში იგი აქტიურად არ მონაწილეობდა. მისი პირადი კავშირები ჩრდილოეთ კავკასიაში შემოიფარგლება მეცნიერთა ვიწრო წრით, რომელიც რეგიონში განსაკუთრებული გავლენით არ სარგებლობს. გ. ღამბაშიძე ადვილი სამართავია და ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისგან მიღებულ დავალებებს.

აღსანიშნავია, რომ „კავკასიის ფონდის" საფარით ოპერთანამშრომლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ფლობს დიასპორის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია. ამ წლებში იგი „კავკასიის ფონდს" პერიოდულ დახმარებას უწევდა ცალკეული ღონისძიებების ჩატარების კუთხით ხელისუფლებასთან კოორდინაციის საქმეში" (ციტატის დასასრული).

**მესამე მონაკვეთში (კონფერენცია ერევანში) არაფერია ისეთი, რაც ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს დააინტერესებს, რადგან საუბარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებსა და სხვა ქვეყნების პრობლემებს ეხება.**

**მეოთხე მონაკვეთი კი საკმაოდ საინტერესოდ იწყება: „შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ბრძანების თანახმად, 2008 წლის 7 ნოემბერს დარეგისტრირდა არაკომერციული იურიდიული პირი „კავკასიის ფონდი".** შესაბამისად, ფონდის საქმიანობაზე კონტრდაზვერვის დეპარტამენტში შეიქმნა კონტრდაზვერვითი ოპერაციების საქმე, სახელწოდებით „დარიალი". შემდეგ მოდის ორგანიზაციის მიზნების ჩამონათვალი, რომელთა შორისაა „ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით ოპერატიული მუშაობის გაადვილება", ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან კონტრდაზვერვის დეპარტამენტისთვის საინტერესო პირთა წრის გამოვლენა", „აღნიშნული რეგიონიდან საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების გამოვლენა", „ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების აღდგენა და განვითარება", „კულტურის და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენლებთან დაკავშირება და ქართულ მხარესთან სათანამშრომლოდ მათი მოზიდვა", „კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სპორტული ხასიათის ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს დადებითი კუთხით წარმოჩენას ჩრდილოეთ კავკასიაში და განამტკიცებს საქართველოს იმიჯს", „ჩრდილოეთ კავკასიიდან პერსპექტიული სტუდენტების მოზიდვა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში", „ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების სახელისუფლო წრეებიდან პროქართული ორიენტაციის თანამდებობის პირთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოვლენა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან მათი კონტაქტების ხელშეწყობა". შემდეგ მოდის ანგარიში „კავკასიის ფონდის" 2008 წლის ნოემბრიდან საქმიანობის შესახებ.

**მეხუთე მონაკვეთი ეხება კაზაკებს ჩრდილოეთ კავკასიაში და ამ საკითხის შესწავლას,** საქართველოს პრობლემებს უშუალოდ არ უკავშირდება და ამიტომ მას არ შევეხებით. მეექვსე მონაკვეთი კი ასე იწყება: „ კავკასიის ფონდში" საქმიანობის პერიოდში ოპერთანამშრომელს ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან შესთავაზეს იდეა, შემდგარიყო ერთობლივი ალპინისტური ასვლა მწვერვალ მყინვარწვერზე (მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, სიმაღლე 5033 მ.). აღნიშნული იდეა ეკუთვნის ჩეჩნეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **კანტა იბრაგიმოვს**, რომელიც გასული წის დეკემბრიდან ურთიერთობს ფონდთან". ამ თემას განსაკუთრებული ყურადღება 22 აპრილის პუბლიკაციაში „სეგოდნიამ" მიაქცია, რადგან, **გამოცემის ვარაუდით, ქართველი ოპერმუშაკები იბრაგიმოვის მეშვეობით რამზან კადიროვზე გასვლას გეგმავდნენ.** კადროვის შეხვედრა იბრაგიმოვთან დოკუმენტში ასე აღიწერება: „მაისში, როდესაც, პირველად ჩამოვიდა საქართველოში, ჩამოსვლაზე ნებართვა პირადად პრეზიდენტ რ. კადიროვისგან აიღო. მან კ. იბრაგიმოვს განუცხდა, რომ პრინციპში წინააღმდეგი არ არის, ურთიერთობა იქონიოს საქართველოსთან, თუმცა გააფრთხილა, მოერიდოს საქრთველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ღია კონტაქტს, რათა ამის გამო მოსკოვიდან მას, როგორც ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელს, შენიშვნა არ მისცენ". ალპინისტური ექსპედიცია, დოკუმენტის მიხედვით, უნდა შემდგარიყო 2012 წლის 29-30 აგვისტოს. როგორც ცნობილია, ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობების თემა ამ პერიოდში აქტუალური, სხვა მოვლენის, ლოპოტას ხეობაში მომხდარი შეტაკების გამო გახდა.

**მეშვიდე მონაკვეთში აღწერილია ჩრდილოკავკასიელი ბავშვების დასვენება ქობულეთში 2012 წლის 4-14 აგვისტოს, აგრეთვე, ოპერთანამშრომლის კონტაქტი ინგუშ ჟურნალისტთან პაველ (იბრაგიმ) ცოროევთან (ის ბავშვების ჯგუფს ახლდა) რომელიც მას პერსპექტიულად მიაჩნია.**

**მერვე მონაკვეთში („პატაკი ღარიბაშვილს") ნათქვამია, რომ „კავკასიის ფონდის" შექმნა გადაწყდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების გაკონტროლების მიზნით.** „კავკასიის ფონდის" საშუალებით საქართველოსთან სათანამშრომლოდ უნდა მოგვეზიდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ინტელიგენციის, საზოგადოებრივი სექტორის გავლენიანი წარმომადგენლები, განგვეხორციელებინა კულტურული და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან საქართველოს დაახლოებას და ჩვენი ქვეყნის იმიჯის დადებითი კუთხით წარმოჩენას. აგრეთვე, მათთვის გვეჩვენებინა საქართველოს პოტენციალი ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული კავშირების განვითარების კუთხით.

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის სპეციფიკისა და იქ არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ორგანიზაციის შექმნა მიზნად ისახავდა ასევე ამ მიმართულებით კონტრდაზვერვითი საქმიანობის გააქტიურებას, რუსეთის სპეცსამსახურების დაინტერესების დროულ გამოვლენას და მათი მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციას. აგრეთვე, იმ ორგანიზაციებისა და კერძო პირების გამოვლენას, რომელთა საქმიანობა საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

ორგანიზაციის შექმნის ლეგენდა ითვალისწინებდა კავკასიაში ამჟამად არსებული დაძაბულობის ფონზე ზემოხსენებული პირების ინიციატივას, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში მათი პირადი და პროფესიული კონტაქტები, ასევე მოზიდული შემოწირულობები, გამოყენებული ყოფილიყო მიზანმიმართულად და ამ საქმიანობას შეეძინა ორგანიზაციული ფორმა, რაც მათ მისცემდათ უფრო ფართო არეალით მუშაობის შესაძლებლობას.

საფარის უწყების გაშიფვრის შემთხვევაში, ორგანიზაციის ლიკვიდაციის ლეგენდა ითვალისწინებდა დამფინანსებლების მიერ შემოწირულობების შეწყვეტას და არასაკმარისი ფინანსების გამო საქმიანობის შეჩერებას.

**2008-2012 წლებში „კავკასიის ფონდის" მიერ კულტურული, სამეცნიერო, ჰუმანიტარული ხასიათის ღონისძიებების ჩატარებით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება კონტაქტები დაემყარებინათ ქართველ კოლეგებთან, ასევე მიეცათ საქართველოს კულტურულ და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობა.**

მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციის საფარის გამოყენებით გარემოებათა გამო ვერ მოხერხდა ორგანიზაციის წინაშე მდგარი აქტიური კონტრდაზვერვითი ღონისძიებების განხორციელება და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დაინტერესების ძირითადი მიმართულებების გამოვლენა საქართველოში. ორგანიზაციის საქმიანიბის დაფინანსებისათვის განისაზღვრა ყოველთვიური თანხა 33000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი, თუმცა ხდებოდა დამატებითი თანხების გამოყოფა, რომელიც დაიხარჯა არადანიშნულებისამებრ. ორგანიზაციის შექმნიდან 2013 წლის 1 იანვრამდე გამოყოფილმა თანხამ ჯამში შეადგინა 4058000 (ოთხი მილიონ ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საჭირო რეალურ მოთხოვნას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც სრულყოფილად ვერ მოხერხდა დასახული ამოცანების გადაჭრა, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის @№006 სრ. საიდუმლო ბრძანების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს განკარგულებას კონსპირაციული ორგანიზაცია „კავკასიის ფონდის" ლიკვიდაციის თაობაზე".

**მეცხრე და მეათე მონაკვეთებში აღწერილია ოპერთანამშრომლის შეხვედრები თემურ ტალიაშვილთან და უმარ იდიგოვთან, ყველაზე მეტად საზოგადოებას, სავარაუდოდ, დააინტერესებს ინფორმაცია ფულის გათეთრების შესახებ, რომლის ციტირება ზემოთ მოვახდინეთ.**

ცხადია, ასეთ დოკუმენტებს საზოგადოება განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ინფორმაციის „შემოგდების" მსგავსი მეთოდი ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ პიროვნების ან ორგანიზაციის დისკრედიტაციისთვის. თუმცა **კომპეტენტურმა ორგანოებმა, ალბათ, უნდა გადაამოწმონ ფაქტები, რომლებიც შესაძლო დანაშაულს, მაგალითად, ფულის გათეთრებას, ეხება. აგრეთვე, სასურველია, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეაფასოს ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის კუთხით შექმნილი სიტუაცია, ყურადღება მიაქციოს იმ საკითხებს, რომლებმაც რუსეთთან ურთიერთობაში შეიძლება სერიოზული კრიზისი გამოიწვიოს და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დატოვებული ნაღმები გაანეიტრალოს.**

**WWW.GEWORLD.GE**



**პრემიერ-მინისტრის მოსაზრებით, აუცილებელია არასამთავრობო დონეზე «კავკასიის ფონდის» სახით მძლავრი და ქმედითი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მთლიანად გადაფარავს და გააკონტროლებს ჩრდილოეთ კავკასიასთან საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეცნიერო მიმართულებებს**

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალების“ ზეობისა და ოპოზიციის სასოწარკვეთის ჟამს ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტებმა აქცია ჩაიფიქრეს სახელწოდებით „ჩამაწობინე“: რესტორნებთან, სადაც დიდმოხელე „ნაცები“ ღრეობდნენ, მოითხოვდნენ — „ჩამაწობინე ოსტრში“! არც ჩააწობინეს და ბევრჯერ დაარბიეს კიდეც. სალაფავი თვითონ ედგათ და ახლოს არავის უშვებდნენ. ახლაც მათ უდგათ სალაფავი და ისევ იმაზე ირჯებიან, რომ არავინ შეეზიაროს.**

# «ჩამაწობინე ოსტრში»!

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, როგორც იქნა, მიხვდა, რომ სააკაშვილის მიერ გუბერნატორებად დასაქმებული „ნაციონალური“ სახეები საბოტაჟს ეწევიან. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ანუ ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან, პრეზიდენტის რწმუნებულების უმეტესობა, პრაქტიკულად, უარს ამბობს სამინისტროსთან თანამშრომლობაზე, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა, მაქსიმალურად ჩაერთო ადგილებზე არსებული პრობლემების სამუშაო პროცესში გუბერნატორები.**



**მხოლოდ საარჩევნო წელიწადს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თითქმის 120 მილიონი ლარი დახარჯა, ხოლო სტიქიით დაზარალებული კახეთის მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილის დახმარების ამარა დატოვა!**

საგანგებო პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილე შოთა მურღულიამ განაცხადა: **„საბოტაჟის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების რეესტრი. მოგეხსენებათ, აღნიშნული ფონდიდან პროექტების დასაფინანსებლად, მუნიციპალიტეტებთან ერთად, პროექტების წარდგენის შესაძლებლობა პრეზიდენტის რწმუნებულებსაც ჰქონდათ. ამის მიუხედავად, მითითებულ ვადაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში რწმუნებულებისგან სულ სამი პროექტი შემოვიდა — შიდა ქართლის, იმერეთისა და გურიის გუბერნატორებისგან“.**

ირკვევა, რომ მარტში მომხდარ სტიქიაზე არც ერთ გუბერნატორს არ დაურეკავს და არც ერთი განცხადება არ შესულა სამინისტროში. მურღულიას განცხადებით, გუბერნატორების უმეტესობა სამინისტროს ოპოზიციაში უდგას. მაგალითისთვის, მარტში საქართველოში მომხდარი სტიქია (ქარიშხალი), რომელმაც 10-ზე მეტი თვითმმართველობა დააზარალა — დაზარალებულთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, თუმცა ამ პერიოდში სამინისტროსთვის არც ერთ გუბერნატორს არ მიუმართავს.

გარდა ამისა, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში — 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გუბერნატორებმა საკუთარ რეგიონებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით მხოლოდ ათჯერ მიმართეს.

სამაგიეროდ, **საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების მხრიდან ხშირად ისმის ბრალდებები, თითქოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტები შეაჩერა. არადა, სამინისტროს 2013 წელს დაგეგმილი არც ერთი პროექტი არ შეუჩერებია; საქართველოს მთავრობამ მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად დამატებით 643 პროექტის დასაფინანსებლად 200 მილიონი ლარი გამოყო.**

სამინისტროს ოპერატიულად გამოეხმაურა ორი გუბერნატორი — თენგიზ გუნავა და ზურაბ ჭიაბერაშვილი. თენგიზ გუნავას პასუხი ახალი მთავრობის დადგენილებას ეყრდნობა და ამტკიცებს, რომ პროექტები საკრებულოებმა არ მიაწოდეს, თუმცა 30 პროექტი მაინც წარუდგენიათ. და აი, აქ ჟღერს იმ ისტორიული ინფრასტრუქტურული პროექტის სახელწოდება – „ლაზიკა“, რომლის შეჩერებას „ნაციონალები“ ვერა და ვერ ინელებენ. საწყალ გუბერნატორს თურმე სამთვიანი ბრძოლა მოუხდა ფინანსთა სამინისტროსთან შპს „ანაკლია-განმუხური რეზორტსისთვის“ სახელფასო დავალიანების დასაფარად თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ გუბერნატორი გუნავა ჩივის, რომ გამგებლები, საპატრულო პოლიციისა და პოლიციის უფროსები მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ, რეგიონში ჩასული მაღალი თანამდებობის პირები კი არ ხვდებიან. „ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მკითხველებმა თავად გააკეთონ დასკვნა, თუ ვისი მხრიდან ხდება საბოტაჟი“, — განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა.

კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი საკუთარ უავტორიტეტობაზე კრინტს არ ძრავს და ამტკიცებს, რომ ცენტრალური მთავრობა ვერ ახერხებს გააგრძელოს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს მიმდინარეობდა. ამიტომო, აცხადებს ჭიაბერაშვილი, განტევების ვაცად გუბერნატორები შეარჩიესო!

„განტევების ვაცებს“ დროებით თავი დავანებოთ და ახლა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გადავხედოთ, რომლითაც მოაქვს თავი ყოფილ მმართველ პარტიას. მხოლოდ 2012 წელს, სააკაშვილის მითითებითა და ახირებით, ამ პროექტებზე მილიონობით ლარი დაიხარჯა:

**„ბათუმი ტაუერის“ მშენებლობის პროექტის ნაწილობრივი დაფინანსება — 40 მილიონი ლარი** (თუ ეს „ნაწილობრივია“, სრული რამდენი უნდა ყოფილიყო?).

**რაბათის უბნის რეაბილიტაცია — 28,5 მილიონი ლარი** (მთელი ციხე რაღა დაჯდებოდა?).

**განმუხურის აკვაპარკის მშენებლობა — 26 მილიონ 267 ათას 780 ლარი** (ამ თანხით ხელოვნურ ზღვასაც გააშენებდა კაცი!).

**მესტიაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება — 15 მილიონ 480 ათასი ლარი** (სააკაშვილის მორიგი რეზიდენცია ამ კოდური სახელწოდებით შევიდა ოფიციალურ დოკუმენტებში!).

**აჭარის სათხილამურო კურორტი — 12 მილიონ 918 ათას 600 ლარი** (ბაკურიანსა და გუდაურში ადგილების დეფიციტია და თითქმის 13 მილიონი ამიტომ გადაისროლა სააკაშვილმა აჭარაში!).

**ზუგდიდის ცენტრალური პარკის მშენებლობა — 12,5 მილიონი ლარი** (თბილისის მერიის არ იყოს, იქაც, ალბათ, თითო ხეში ათასობით ლარია გადახდილი!).

**ძველი თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტები — 8 მილიონი ლარი** (რა ძვირი გამოდგა ეს გიფსო-კარდონი?!).

**ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე კაფე-რესტორნის მშენებლობა — 4 მილიონ 814 ათას 376 ლარი** (დახეთ, როგორი სიზუსტით არის აღრიცხული — 376 ლარი 380-მდეც კი არ დაუმრგვალებიათ!).

**ფოთის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია — 3 მილიონ 800 ათასი ლარი** (მეუფეს მიერ ტაძრის კედლებზე სააკაშვილის პლაკატების გაკვრის სანაცვლოდ!).

**გურჯაანის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეაბილიტაცია — 3 მილიონ 100 ათასი ლარი.**

**მთლიანობაში მხოლოდ საარჩევნო წელიწადს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თითქმის 120 მილიონი ლარი დახარჯა, ხოლო სტიქიით დაზარალებული კახეთის მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილის დახმარების ამარა დატოვა!**

19 თებერვალს მედიაექსპერტი და ჟურნალისტი, „ფეისბუქზე“ ბიძინა ივანიშვილის ოფიციალური გვერდის ადმინისტრატორი **გიორგი უძილაური** წერდა, რომ **„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ტერორი დაიწყო, გუბერნატორები კი საბოტაჟს ეწევიან.**

„ნაციონალების“ ბოლო გაფართხალება უკვე დაწყებულია. ჯალათების პარტიამ დაიწყო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ტერორი: 2 დღის წინ ინტერნეტში დადეს ვითომ გამოძიება წინასაარჩევნოდ კახეთში მოკლულ ბავშვზე და ცდილობენ, ეს მკვლელობა „ქართულ ოცნებას“ მიაბან, დღეს „რუსთავი 2“-ზე გაუშვეს რობაქიძის მკვლელობის კადრები და ცდილობენ, გაამართლონ მკვლელი პოლიციელები და დონაძე. დღესვე შემთხვევით გასკდა ახლო მომავლისთვის დაგეგმილი დივერსია — განათლების სამინისტრომ აღმოაჩინა, რომ გუბერნიებიდან მათ განგებ აწვდიან მცდარ ინფორმაციას მოსწავლეებსა და სკოლებზე, რათა ამან გამოიწვიოს მოსახლეობის უკმაყოფილება. სააკაშვილის გუბერნატორები რეალურად ეწევიან საბოტაჟს“.

**მოძრაობა „ეროვნულების“ ერთ-ერთი ლიდერის, სანდრო ბრეგაძის, განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ გუბერნატორების მეშვეობით საბოტაჟს ამზადებს, რათა ახალ მთავრობას ხელი შეუშალონ რეგიონებში საკუთარი მიზნების განხორციელებაში.**

„ქალაქის მერებს, სოფლის, რაიონის გამგებლებს პირდაპირ აქვთ „ნაციონალური მოძრაობიდან“ მიცემული ბრძანება, მაქსიმალურად ხელი შეუშალონ ყველა იმ ინიციატივას, რომლებიც წამოსული იქნება ახალი მთავრობისგან. ჩვენ ვხედავთ, რომ გუბერნატორებად საკმაოდ ოდიოზური ადამიანები ინიშნებიან; მაგალითად, ჭიაბერაშვილი, ქალაქ თბილისის ყველაზე ოდიოზური მერი, რომელიც თავის დროზე „ქართლის დედას“ ერჩოდა. ანალოგიური ტიპის საბოტაჟები იმერეთის, სამეგრელოს რეგიონებში იგეგმება“, — განახადა სანდრო ბრეგაძემ.

სანდრო ბრეგაძის თქმით, გუბერნატორები პრეზიდენტის რწმუნებულები არიან და მათ მაქსიმუმ ერთი პატარა ოთახი, ერთი მდივანი და ერთი მძღოლი უნდა ემსახურებოდეს და მათ არანაირად არ უნდა მიუწვდებოდეთ ხელი რაიონულ ბიუჯეტებზე. **მოძრაობა გამოდის ინიციატივით, რომ რაიონებსა და რეგიონებში გუბერნატორის ინსტიტუტები გაუქმდეს და მათ ნაცვლად საქართველოს მთავრობის რწმუნებულები დაინიშნონ.**

კაცმა რომ თქვას, მმართველ კოალიციას და მის წევრ ყველა პარტიას კი უნდა ჰქონდეს იმის რესურსი, რომ რეგიონებში ადამიანების საჭიროება და პრობლემები ისე მიაწოდონ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომ გუბერნატორების წერილებს არ ელოდონ. ან რას უნდა ელოდნენ უსაქმურებისგან, რომლებიც მხოლოდ სააკაშვილის ერთგულების ნიშნით იღებენ უზარმაზარ ხელფასებს?

**ხელფასს ვინ დაეძებს, როცა ამ საბოტაჟში ისინი ათასობით ლარს პრემიის სახით უწერენ საკუთარ თავს! მაგალითისთვის ანდრო ბარნოვი გამოდგება, რომელმაც შიდა ქართლის გუბერნატორის თანამდებობაზე 9-დღიან მუშაობაში 2-ათასლარიანი პრემია გამოიწერა. მას არც სხვები ჩამორჩებიან და საკუთარ თავს ორმაგი ხელფასით, ზოგჯერ კი ხელფასზე მეტი პრემიით ყოველთვიურად უზრუნველყოფენ!**

თავის დროზე კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი თანამშრომლებზე პრემიის „არასწორად“ გაცემისთვის ციხეში ჩააგდეს და ურცხვად ირწმუნებოდნენ, რომ მან ზურგზე სიგარეტი თვითონ მიიწვა. ახლა „სწორია“ საკუთარი თავის პრემიებით დაჯილდოება, თუ ის მუხლი აღარ მოქმედებს, რომლითაც მოლაშვილი ოთხი წლით გამოკეტეს ციხეში?

პრეზიდენტის ხელდასხმულმა გუბერნატორებმა მილიონები შეჭამეს საქართველოს ბიუჯეტიდან და ახლა იმაზე დარდობენ, რომ ამის საშუალება აღარა აქვთ. მათ სულაც არ აძლევთ ხელს, ახალმა მთავრობამ რაიმე გააკეთოს და მით უმეტეს, ეს გაკეთებული გამოჩნდეს. ისინი დღენიადაგ იმეორებენ, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს, პროექტები შეჩერებულია, ეკონომიკა სტაგნაციაშია და ა. შ.

მათ ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ და მათი უტიფრობა აღარ გვიკვირს. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რატომ უკვირს ეს ახალ ხელისუფლებას და სხვას რას ელოდნენ? **გამოვა კოაბიტაცია მორიელთან, რომელიც გაღმა გაგაყვანინებს თავს და ბოლოს მაინც დაგგესლავს?**

**არ გამოვა და ეს ახალ მთავრობას ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე უნდა სცოდნოდა. ვიდრე მიშას ახირებებზე დახარჯული მილიონების (ამბობენ, მილიარდზე მეტისაც!) გამო ყველა მათგანს სათითაოდ არ მოსთხოვენ პასუხს, ისინი მშვენივრად მოახერხებენ საბოტაჟსაც, გართობასაც და საბიუჯეტო თანხების თქვლეფასაც!**

„ნაციონალების“ ზეობისა და ოპოზიციის სასოწარკვეთის ჟამს ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტებმა აქცია ჩაიფიქრეს სახელწოდებით „ჩამაწობინე“: რესტორნებთან, სადაც დიდმოხელე „ნაცები“ ღრეობდნენ, მოითხოვდნენ — „ჩამაწობინე ოსტრში“! არც ჩააწობინეს და ბევრჯერ დაარბიეს კიდეც. სალაფავი თვითონ ედგათ და ახლოს არავის უშვებდნენ. ახლაც მათ უდგათ სალაფავი და ისევ იმაზე ირჯებიან, რომ არავინ ჩაეზიაროს.

**„ლაზიკას“ გაგრძელებაც უნდათ და სხვა მილიონიანი პროექტებისაც. ფული ხომ ყველაზე კარგად ასეთ მშენებლობებში „ტყდება“! ხალხი კი გაოგნებული შეჰყურებს ამ უმსგავსობას და ფიქრობს, რომ მისთვის სულერთია, ვის შეეხვეწოს, — „ჩამაწობინე ოსტრში“!**

**თამარ დავითულიანი**

საქართველოსთვის მენტალური გადაგვარების
რეალური საფრთხე, გახლისტებას
თუ გადავურჩით, სწორედ პედერასტების
უფლებების „უწყინარ“ დაცვაშია!

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცისფერი პარიზი, «მუჟიკი» პუტინი და «ნახალოვკის» იაღლიში...

**სად ერეკლეო, — ამის თქმას ნუ იჩქარებ, მკითხველო! ნამდვილად სრულ ჭკუაზე ვარ და ქვემოთ დაინახავთ, ეს, ერთი შეხედვით, აბრაკადაბრა რაოდენ ტრაგიკომიკური შიგთავსის მატარებელია და იმასაც, თუ რა შეხების წერტილები შეიძლება ჰქონდეთ: საფრანგეთის დედაქალაქს, რუსეთის ვაჟკაც (მუჟიკი, რუსულად ამასაც ნიშნავს. — დ. მ.) პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანს, რომელსაც ამ ბოლო დროს ნაძალადევსაც ეძახიან ხოლმე, ამიტომაც ქვემოთ, სადაც დამჭირდება, ამ სიტყვებს ყოველგვარი წინწკლების გარეშე ვიხმარ...**




ა.წ. 23 აპრილს საფრანგეთის პარლამენტმა ტაშის გრიალით მიიღო კანონი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების და ამ საფუძველზე შექმნილი „ოჯახების“ ჩვეულებრივ ოჯახებთან უფლებრივი გათანაბრების, მათთვის შვილად აყვანის უფლების მინიჭების ჩათვლით, რის შემდეგაც საფრანგეთი მსოფლიოში რიგით მეთოთხმეტე ქვეყანა გახდა, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის „უმაღლეს სტანდარტებს“ ეზიარა, ანუ დარტანიანის, მატეო ფალკლონეს, ბოლოს და ბოლოს ნაპოლეონის, დე გოლის რაინდულ-ვაჟკაცური საფრანგეთიც ოფიციალურად დაადგა გალურჯების გზას!

იმან, რომ საფრანგეთი მეთოთხმეტე ქვეყანაა, რომელმაც ერთსქესიანი ქორწინება დააკანონა, უნებურად გილიოტინაზე თავმოკვეთილი ლუი მეთოთხმეტე გამახსენა — უთვალავ ლუდოვიკოებში, მეფე მზე ლუი XIV იყო სწორედ ის მონარქი, რომელიც ტრადიციული სექსის დიდი მოტრფიალე იყო, უამრავი საყვარელიც ჰყავდა და ბედის ერთგვარი ირონიაც არის, რომ სწორედ ამ ნუმერაციით შეუერთდა საფრანგეთი იმ „ბედნიერი ქვეყნების“ რიგს, რომლებშიც სოდომ-გომორის მომაკვდინებელი ცოდვა კანონის ძალითაც არის გარანტირებულ წახალისებული...

ახლა ვითომ და რაო — სად ჩვენ და სად საფრანგეთი? თავშიც ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი ფრანცუზებს! იტყვის მავანი და ერთი შეხედვით მართებულადაც, მაგრამ, სამწუხაროდ, რომ არ არის ასე?! რადგან (ერთი ცნობილი გამოთქმის მცირე პერიფრაზით) პედერასტობა ის აქლემია, რომელიც ადრე თუ გვიან ჩვენს, ქართველების, კარებთანაც ჩაიჩოქებს!

საფრანგეთი, არც ჰოლანდიაა და არც ბელგია-დანია, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები კაი ხნის დაკანონებულ-კულტივირებულია, საფრანგეთი მსოფლიო კათოლიციზმის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო აქამდე, პლუს — ევროკავშირის მთავარი ეკონომიკური მონსტრი, გერმანიასთან ერთად. იმ ევროკავშირის, რომლისკენაც, ყოველ შემთხვევაში დეკლარირებულად, მიისწრაფვის საქართველო. ანუ მანამდე არაფერი გვეტკინოს, სანამ ჩვენ ნატოში ან ევროკავშირში მიგვიღებენ, მაგრამ ამ გზაზე დიდხანს მიმავლებს (დიახ, დიდხანს, რადგანაც მიახლოებითაც კი არ გვეუბნებიან, რამდენ ხანში „გაგვაბედნიერებენ“), აუცილებლად მოგვთხოვენ, რომ ავანსად ჩვენც დავაკანონოთ ქალის ქალზე და კაცის კაცზე ქორწინება ზუსტად ისევე, როგორც უკვე ითხოვენ ე. წ. ევროპული ქარტიის რატიფიკაციას, რაც მესხეთელი თურქების ჩამოთესლებას და რეგიონული ენებისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას, ანუ საქართველოს საბოლოოდ ამოგდებას, ფესვიანად მოთხრას გულისხმობს!

მერე? მანამდე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი, ანუ ან მიგვიღებენ, ან არა და დიდი, დიდი, ზემელის დამწვარ აფთიაქში იჩივლოს ოფიციალურად გაპედერასტებულმა საქართველომ...

ნებისმიერი სახელმწიფო წყობა, მათ შორის დემოკრატიაც, გარკვეულწილად ძალადობაც არის, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც უმრავლესობის ნებით იმართება ქვეყანა და ამდენად, მეტ-ნაკლებად გამართლებულია ეს, მაგრამ ამ ბოლო დროს „შემოგდებული“ ე. წ. ლიბერალური დემოკრატია, გნებავთ, ნეოლიბერალიზმი, მგონი, პირიქით არის — სექსუალური იქნება, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების უფლებების ე. წ. დაცვით იმდენად ღრმად შეტოპეს ათასი ჯურის ე. წ. არასამთავროებმა, რომ უმრავლესობები აქეთ ვართ, მგონი, დასაცავები!

ეს რომ ასეა, იმავე საფრანგეთის გაპედერასტების კანონის მიღებამდე მოვლენებიდანაც გამოჩნდა. გახსოვთ, ალბათ, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების მოთხოვნით, როგორ გამოვიდა პარიზის ქუჩებში მრავალი ათასი დემონსტრანტი და ისიც, რომ ამის მერე ბევრად მეტი, სხვადასხვა დათვლებით 300-დან 500 ათასამდე დემონსტრანტი გამოვიდა იმავე ქალაქში, რომლებიც მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ ერთსქესიანი წყვილებისთვის ბავშვების შვილად აყვანის უფლება მაინც არ მიეცათ, რადგანაც ჯანდაბას თქვენი თავი და ტანი, ლეზბიანკა-პედერასტებო, რაც გინდათ, ის გიქნიათ, მაგრამ **პატარებს, ბავშვებს რას ვერჩით? რატომ უნდა გაიზარდონ ნორმალური ორიენტაციით დაბადებული ბავშვები ასეთ არანორმალურ „ოჯახებში“? ასეთი „დედმამის“ შემხედვარენი, დიდი ალბათობით, გაპედერასტდებიან ან გალეზბიანკდებიან?**

მაგრამ არა, ფრანსუა ოლანდი სწორედ ამ უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირებით გახდა საფრანგეთის პრეზიდენტი, ამ სლოგანით დაამარცხა (?!) სარკოზი. ჰოდა, მან და მისმა სოციალისტების უმრავლესობამ, როგორც ზემოთ ითქვა, ტაშის გრიალში დაამტკიცეს ერთსქესიანი ქორწინებებიც და „შეყვარებული წყვილებისთვის“ ბავშვების ყოლის უფლებაც!

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება, **„რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკვეთრი რეაქცია გამოხატა საფრანგეთში ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციის და მათთვის შვილების აყვანის უფლების მინიჭების მიმართ.**

**რუსეთის ლიდერი საჭიროდ მიიჩნევს, გადაიხედოს სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული შეთანხმებები რუსი ბავშვების გაშვილებას შესახებ, თუ ეს ქვეყნები ისეთ კანონებს ღებულობენ, რომლებიც რუსეთში მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება“.**

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის პრეზიდენტს არ უნდა, რომ რუსი ბავშვები პედერასტებისა და ლეზბიანკების „ოჯახებში“ მოხვდნენ...

და იქვე:

**„ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ რა ხდება ჩვენ გარშემო. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს პარტნიორებს, მაგრამ იმავეს მოვითხოვთ მათგანაც რუსეთის კულტურული, ეთიკური, ზნეობრივი ნორმების, კანონმდებლობის მიმართ. მართებულად მიმაჩნია მსგავს დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა. საკითხი აქტუალურია, დაფიქრება გვმართებს. ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა“...**

რა არის ეს, თუ არა მუჟიკი კაცის პატრიოტული, მართლაც ვაჟკაცური ნაბიჯი? სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტის ნათქვამით აღფრთოვანების გამოხატვის გამო, ერთი ახლობელი ადამიანისგან ურაპატრიოტული დამუნათება მივიღე — რას ამბობ, საქართველოს ოკუპანტი ქვეყნის პრეზიდენტს, მტერს ვაჟკაცს როგორ უწოდებო?

ასეთები, ალბათ, არა მხოლოდ ჩემს ნაცნობებს შორის იქნებიან და ამიტომ ყველას გასაგონად გავიმეორებ — ამ შემთხვევაში არ მაინტერესებს ვინ ოკუპანტია, ვინ — დივერსანტი, მაგრამ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის პატრიოტი, მუჟიკი პრეზიდენტი რომ არის ვლადიმერ პუტინი, ეს უდავოა. რაც შეეხება მტერს, მტრის ვაჟკაცობის აღიარება თუ პატივისცემა, ისტორიულად არასოდეს გვეთაკილებოდა და გვიჭირდა ქართველებს, რისი დასტურიც თუნდაც ვაჟას „სტუმარ მასპინძელია“...

ამიტომ მეტსაც გავბედავ — ნეტავი ისეთი პრეზიდენტი ჩვენც გვყავდეს, როგორი პრეზიდენტიც რუსებს ჰყავთ პუტინის სახით, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პედერასტობის ექსპანსია ჩვენც გვემუქრება!

გასული საუკუნეების მთავარი ჭირი ქართლისა ის იყო, რომ გამაჰმადიანების გზით ქართველობის დაკარგვა და ფიზიკური გადაშენება გვემუქრებოდა, რისგანაც ერეკლე მეფის ერთადერთმა სწორმა არჩევანმა გვიხსნა!

ახლაც თითქმის იმავე საფრთხეების წინაშე ვდგავართ და კვლავ მარტოდ მარტო, უნათესავო ობოლი ერი, ოღონდ მცირედი „პერიფრაზით“ — გამაჰმადიანების ნაცვლად, ათასი ჯურის სატანისტური სექტები ესწრაფვიან ქართველების გახლისტებას და, თუ ჩვენს კატასტროფულ დემოგრაფიულ სურათს, მიგრაციულ პრობლემებს გავიხსენებთ, არც ფიზიკური ყოფნა-არ ყოფნის საკითხია ეფემერული.

რაც შეეხება ე. წ. ლგბტ-ებს, მათმა შემოტევამ ხომ პანდემიის სახე მიიღო მთელი მსოფლიოს მასშტაბით და **საქართველოსთვის მენტალური გადაგვარების რეალური საფრთხე, გახლისტებას თუ გადავურჩით, სწორედ პედერასტების უფლებების „უწყინარ“ დაცვაშია!**

ერთი სიტყვით, კვლავ ძლიერი მფარველის, მოკავშირის პრობლემა უდგას საქართველოს, რადგანაც ზემოთ თქმულს ჩვენი ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება. აქედან გამომდინარე, აქტუალობას არ კარგავს მეუფე იობის თამამი გამონათქვამი, რომ საქართველოს ხსნა მართლმადიდებელ ერთა კავშირშია!

დიახ თამამი და გაბედული, რადგანაც ასეთი კავშირის შექმნა რუსეთის ეგიდის გარეშე წარმოუდგენელია...

წინამდებარე წერილის პათოსშია განსახილველი ე.წ. შუალედური არჩევნებიც, რომელსაც სათაურში ნახალოვკის იაღლიში ვუწოდე!

მართლაც, მთავარი იაღლიში ნახალოვკისა ის კი არ არის, რომ, ჩემის აზრით (და არა მხოლოდ), პარლამენტისთვის ამ ეტაპზე საჭირო და ღირსეულმა კანდიდატმა, სოსო მანჯავიძემ, ვერ გაიმარჯვა, არამედ (ციხის კადრების, ცოცხების გამომზეურების ერთ-ერთ ავტორობას თავი რომც დავანებოთ) ლგბტ-პედერასთებთან შეურიგებელ მებრძოლ სოსო მანჯავიძეს სწორედ პედერასტების უფლებების დამცველი, შესაბამისად, ერთსქესიანი ქორწინებების პოტენციური ლობისტი, თამარ კორძაია, არჩია!

**სირცხვილი იმ ნახალოვკელებს, ვინც დაიზარა და არ მივიდა არჩევნებზე, რადგანაც სწორედ დაბალი აქტივობის გამო გაიმარჯვა ვითომ „ოცნების“, სინამდვილეში კი რესპების ფავორიტმა ქალბატონმა. თორემ მხოლოდ ციხეებში გამწარებული პატიმარყოფილები და მათი ოჯახის წევრები რომ მისულიყვნენ არჩევნებზე, უსუფაშვილის ნანატრი იურისტი კი არა, საქართველოს პატრიოტი სოსო მანჯავიძე შევიდოდა პარლამენტში!**

სირცხვილი, რადგან ნახალოვკა ის უბანი იყო ყოველთვის, რომელშიც ვაჟკაცობა, ქართველობა, რაინდობა მუდამ წინა პლანზე იყო და განსაკუთრებულად ფასობდა, ახლა კი, ალბათ, საფლავში ტრიალებენ ძველი ნახალოვკელები: ლერი კირვალიძე, უნგერ მაცაბერიძე თუ ლეო ახვლედიანი და ა. შ. ვინ ჩამოთვლის იმ ბიჭებს, რომლებიც არა მხოლოდ ნახალოვკაში, არამედ მთელ ქალაქში, გნებავთ, საქართველოშიც, ვაჟკაცობის, ქართველობის, პატრიოტობის, ერთი სიტყვით, ზნეობრიობის კანონმდებლები იყვნენ!

შარშან, 17 მაისს ხომ გაბედეს და ვერაზე გეიპარადის ჩატარება, რომელსაც სხვათა შორის და ისე, ცნობისთვის, „დომკინოსთან“ პირველი სწორედ სოსო მანჯავიძე გადაუდგა წინ. ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხვალე იმავეს ბებერი ნახალოვკის კიკვიძის ბაღში გაგვიბედავენ, რასაც, დარწმუნებული ვარ, ვერ მოითმენენ ნახალოვკელები, მაგრამ გვიანი იქნება — პედერასტების უფლებების დარღვევის გამო, პირველი თქვენივე რჩეული თამარ კორძაია მოითხოვს თქვენსავე პასუხისგებაში მიცემას, ჩემო საყვარელო ნახალოვკელებო!..

**დავით მხეიძე**

**P.S. კარგი იქნებოდა, პოლიტიკური რუკების მსგავსად, რომლებზეც ქვეყნები სხვადასხვა ფერითაა გამოყოფილი, პედერასტული რუკებიც დაიბეჭდოს, სადაც ცისფრად იქნება გამოყოფილი ის ქვეყნები, რომლებიც უკვე ეზიარნენ ერთსქესიანი ქორწინებების მადლს — თვალნათლივ დავინახავთ, თუ რამდენ მილიონ კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული პედერასტების იმპერია და იმასაც ადვილად მივხვდებით, თუ რამდენ ხანშია მოსალოდნელი მთელი პლანეტის გაცისფერება.**

**ისე, ცისფერ პლანეტას კი უწოდებდნენ ადრეც ჩვენს დედამიწას და ვინ იფიქრებდა, რომ ეს მეტაფორა მართლაც რეალური გახდებოდა?!.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალური მოძრაობის“ დეზინფორმაციის მანქანა ისე ველარ მუშაობს, როგორც, მაგალითად, დეკემბერ-იანვარში მუშაობდა. დასავლეთს პრაგმატული ინტერესები აქვს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ამიტომ ცხადია, თუ ივანიშვილი მათ პარტნიორობას გაუწევს, ისინი მასთანაც კარგ ურთიერთობას დაამყარებენ.“**

# ირაკლი კაკაბაძე — იარაღის ბიზნესზე, ჟვანიას სიკვდილსა და თემურ ალასანიაზე

**„რაც ნაკლებს მოვუსმენთ რამდენიმე მოუმწიფებელი ადამიანის პოლიტიკურ წუწუნს, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. „ნაციონალებმა“ ილაპარაკონ, რაც უნდათ, მათ 9 წელი ჰქონდათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მხოლოდ გააუარესეს იგი და ახლა სხვა ხედვის ძალებს უნდა მიეცეთ მშვიდობის დამყარების შანსი. მშვიდობისმოყვარე ხალხის დრო მოვიდა“, — აცხადებს ამერიკაში მცხოვრები ქართველი მწერალი ირაკლი კაკაბაძე.**
**თუ როგორ აფასებს ახალი ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს საერთაშორისო ასპარეზზე და რას ფიქრობს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ირაკლი კაკაბაძე ესაუბრა.**



**— პრემიერმა ევროპის საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას ყოფილი ხელისუფლების მმართველობისას მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზეც ისაუბრა. რამდენად წარმოადგენდა ევროპარლამენტარებისთვის ეს ინფორმაცია სიახლეს, როდესაც ქართველი უფლებადამცველები წლების მანძილზე აწვდიდნენ ინფორმაციას საქართველოში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებას?**

— ვფიქრობ, საერთაშორისო დიპლომატიაში ძალიან კარგი ჟესტია საკუთარი შეცდომების აღიარება. ამით შენ მოწინააღმდეგესაც იმ რეალობის წინაშე აყენებ, თავადაც ეძიოს საკუთარი შეცდომები. ახლა თუ რუსები მხოლოდ ჩვენს შეცდომებზე ილაპარაკებენ და საკუთარს არ ახსენებენ, ბუნებრივია, საერთაშორისო საზოგადოება სათანადო დასკვნას გააკეთებს, რომ ეს არის ჩვეულებრივი იმპერიალიზმი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ძალიან მომგებიანი და ბრძნული ნაბიჯია საკუთარი შეცდომების აღიარება. თანამედროვე დიპლომატიაში ეს ორმაგად ფასობს, რადგან შენი ნებისმიერი შეცდომის თაობაზე სოციალური ქსელებით რამდენიმე წუთში მთელი მსოფლიო იგებს. ამიტომ დამალვას და უარყოფას, სჯობს, აღიარება და ცხოვრების შემდეგ ეტაპზე გადასვლა. მაგალითად, როცა ბილ კლინტონმა აფრიკაში ამერიკის სახელით მონობის ფაქტზე ბოდიში მოიხადა, ამით მხოლოდ მოიგო. ცხადია, ყველამ იცოდა, რომ აფრიკაში თეთრკანიანები საშინლად იქცეოდნენ და ეს დამალული ფაქტი არ იყო, მაგრამ, როცა ბილ კლინტონმა გასული საუკუნის ბოლოს ბოდიში მოიხადა, ამით ამერიკის დიპლომატიამ მხოლოდ მოიგო. ასე რომ, შეცდომების აღიარება მხოლოდ მომგებიანია ამ შემთხვევაში. მითუმეტეს, სააკაშვილის ხელისუფლებამ უკვე ბევრი საქმე წააგო სტრასბურგში და, საუბედუროდ, კიდევ უფრო მეტს წააგებს. ამის აღიარება აუცილებელი იყო ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში გაგრძელებისთვის.

რაც ნაკლებს მოვუსმენთ რამდენიმე მოუმწიფებელი ადამიანის პოლიტიკურ წუწუნს, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. „ნაციონალებმა“ ილაპარაკონ, რაც უნდათ, მათ 9 წელი ჰქონდათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მხოლოდ გააუარესეს იგი და ახლა სხვა ხედვის ძალებს უნდა მიეცეთ მშვიდობის დამყარების შანსი. მშვიდობისმოყვარე ხალხის დრო მოვიდა.

**— ამის მიუხედავად, რატომ აფასებენ უცხოელი პოლიტიკოსები დღეს პოლიტიკურ დევნად სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაპატიმრებას და შეიცვლება თუ არა მათი დამოკიდებულება აღნიშნული გამოსვლის შემდეგ?**

— ცხადია, ერთი გამოსვლა და ერთი დღე ყველაფერს კარდინალურად ვერ შეცვლის, თუმცა გარკვეული პროცესი უკვე დაწყებულია. „ნაციონალური მოძრაობის“ დეზინფორმაციის მანქანა ისე ველარ მუშაობს, როგორც, მაგალითად, დეკემბერ-იანვარში მუშაობდა. დასავლეთს პრაგმატული ინტერესები აქვს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ამიტომ ცხადია, თუ ივანიშვილი მათ პარტნიორობას გაუწევს, ისინი მასთანაც კარგ ურთიერთობას დაამყარებენ. ასე იყვნენ ისინი შევარდნაძის მიმართ, შემდეგ სააკაშვილის მიმართ და ახლაც არ გაუჭირდებათ მათი მოჯირითე ცხენის შეცვლა. სხვა საქმეა, რომ ჩვენ თვითონ ცოტა ნაკლებად კოლონიური მენტალიტეტი უნდა გვქონდეს და, პირველ რიგში, საკუთარ მოქალაქეებზე ვიფიქროთ და მხოლოდ მერე — ზესახელმწიფოების გულის გახარებაზე.

## «მზად ვარ, ჟვანიას სიკვდილის გამოძიებაზე პროკურატურას ჩვენება მივცე»

**— ახალ ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებენ, რომ საგარეო ურთიერთობების კუთხით მათი პიარ-კამპანია ძალიან სუსტია. რამდენიმე ხნის წინ თქვენ თავადაც გაავრცელეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილის ლობისტები აშშ-ში საქართველოსთვის სავაჭრო სანქციების დაწესებას აპირებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ სპეციალური პიარ-დეპარტამენტიც კი შექმნა, რომელიც დასავლეთში ხელისუფლების იმიჯზე მუშაობს, რა შეიცვალა ამ მიმართულებით?**

— პიარში ივანიშვილის ხელისუფლება ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, სააკაშვილმა კი პიარის მეტი არაფერი იცის, თუმცა მარტო პიარი საქმეს არ წყვეტს. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ და, რაც არ უნდა კარგი პიარით შეღებო, ბოლოს მაინც გამოჩნდება, რა არის. უბრალოდ, ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გააძლიეროს საგარეო პიარი, რადგან ბევრი მტერი ჰყავს და არ დაგვავიწყდეს, თუ სააკაშვილს ექვსი პიარკომპანია ჰყავდა, რუსეთს 15 ჰყავს, ამიტომაც ხელისუფლება საგარეო პოლიტიკაში უნდა გააქტიურდეს.

ასევე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს გარემოს დაცვის სამინისტროს ქმედებები და ივანიშვილმა რაღაც უნდა მოიფიქროს. ხუდონჰესის პროექტს და საერთოდ, ამ ჰესების ტექნოკრატიულ თემას ნუ გადააყოლებს საქართველოს. თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლებას ესეც ძალიან გაუფუჭებს იმიჯს.

**— უნდა შეიქმნას თუ არა 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების შემსწავლელი საგამოძიებო კომისია და რატომ ეწინააღმდეგება ამას მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, რა საფრთხეს ხედავენ ისინი?**

— აუცილებლად უნდა შეიქმნას კომისია და სიმართლე გაირკვეს. სააკაშვილი რატომ ეწინააღმდეგება ამას, ეს დღესავით ნათელია — ეშინია, რომ გამოძიება მის დანაშაულებს წააწყდება. ბევრს ეჭვი აქვს, რომ სააკაშვილმა ამ ომით გაყიდა საქართველო და საკმაო სახსრებიც ჩაიჩხრიალა ჯიბეში. ამ ომში იარაღის გაყიდვასა და საერთოდ, ამ ბინძურ ბიზნესში დიდი ფული გაკეთდა. მოგეხსენებათ, ამ ბიზნესით ხელს ითბობდნენ სააკაშვილის ახლო ნათესავები და ერთმა ასეთმა ფაქტმაც რომ ამოყვინთოს, მიშას რეპუტაციისთვის ძალიან ცუდი იქნება, ამიტომაც არის გამოძიების წინააღმდეგი.

**— წლების წინ თქვენ პრეზიდენტის ბიძას, თემურ ალასანიას, საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენეთ და ის იარაღით უკანონო ვაჭრობასა და ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში დაადანაშაულეთ. რა რეაგირება მოჰყვა ამ ფაქტს და დღეს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, აპირებთ აღნიშნულ საკითხს კვლავ დაუბრუნდეთ?**

— ეს მთლად ასე არ იყო. ნება მიბოძეთ, დავაზუსტო, რა ვთქვი: ზურაბ ჟვანიას სიკვდილი გამოძიებული დღემდე არ არის და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის მოკლულია. არსებობდა რამდენიმე ბიზნესჯგუფი, რომლებიც 2004-2005 წლებში საქართველოში ცდილობდნენ ადგილის დამკვიდრებას, მათ შორის იყო თემურ ალასანიას ჯგუფი, რომელიც ძირითადად იარაღის გაყიდვით იყო დაკავებული, თუმცა მერე საბანკო, სამშენებლო და სხვა ბიზნესებშიც „შეყვეს ცხვირი“. იყო ინფორმაცია, რომ 2004 წლის დეკემბერში, თემურ ალასანიას პარტნიორი ერიკ გუდისი ზურაბ ჟვანიამ საკუთარი კაბინეტიდან გამოაგდო, როცა გუდისმა მას აეროპორტის სანაცვლოდ ქრთამი შესთავაზა. ამის მერე გუდისი საჯაროდ იმუქრებოდა, რომ ჟვანია დიდხანს ამ თანამდებობაზე აღარ იქნებაო და ეს მუქარა, სამწუხაროდ, გამართლდა. ცხადია, მხოლოდ ეს ფაქტი არაფერს ამბობს, მაგრამ გონივრული ეჭვის აღსაძვრელად საკმარისია. სწორედ ამიტომაც არის საჭირო ამ გარემოებების გამოძიება. განსაკუთრებით ეს ეხება აეროპორტისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების გასხვისების პროექტებს, რომლებიც საბოლოო ჯამში თემურ ალასანიას ჯგუფმა ჩაიგდო ხელში. თურქული „ჩელები“ სწორედ მისი შექმნილი ნახევრადფიქტიური კომპანია იყო.

## «საჭიროა თემურ ალასანიასა და მისი შვილის დაკითხვაც გუდისთან და მის ბიზნესთან დაკავშირებით!»

საჭიროა თემურ ალასანიასა და მისი შვილის დაკითხვაც გუდისთან და მის ბიზნესთან დაკავშირებით. ამ საკითხებზე სააკაშვილი საერთოდ არ ლაპარაკობს, არადა, საინტერესო იქნება მისი მოსმენაც ბიძამისის ბიზნესებზე. კერძოდ, როგორ ჩაიგდეს ხელში აეროპორტი 2005 წელს ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ? ასე რომ, მე ბრალი კი არავის დავდე, არამედ ძალიან ლეგიტიმურ კითხვებზე მოვითხოვე პასუხები, რომლებიც, უკვე 8 წელია, არ მიმიღია. მე პირადად ვიცნობ გუდისსაც და ალასანიასაც და, როდესაც რაღაცას ვამბობ, ეს მხოლოდ ფაქტებიდან გამომდინარე ხდება. **მეც მზად ვარ, ჩვენება მივცე პროკურატურას ჟვანიას სიკვდილის გამოძიების საქმეში. ეჭვი მაქვს, რომ იარაღის ბიზნესი, აეროპორტი და სხვა ეკონომიკური ინტერესები იყო დაკავშირებული ამ საქმესთან.** ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ეჭვები არ გამართლდება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

---

მოქლედ



## თეა თუთბერიძე მერაბიშვილს დაუპირისპირდა

**„თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თეა თუთბერიძე ეჭვობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს გაურიგდა. მან ამის თაობაზე „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

„საინტერესოა, როგორ მოხდა ციხის სკანდალური კადრების გავრცელება საზოგადოებაში ისე, რომ ქვეყნის მთავარ ხერხემალს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც ვინ ვისთან იწვა, ეს კონტროლდებოდა?“ თუთბერიძის თქმით, მერაბიშვილ-ივანიშვილს შორის გარიგების ეჭვი პრემიერის რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადებები მერაბიშვილისეულმა შეფასებამ გაამყარა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სანამ არ დაინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები, სხვა საპარლამენტო ოპოზიციაც არ იარსებებს, რაც თავისთავად თვით მმართველი გუნდისთვის და უმრავლესობისთვის მეტად სავალალო მდგომარეობაა, რადგან ეს ნიშნავს, რომ მას რეალური, ანუ ხალხის მიერ არჩეული და ამდენად, ხალხის მიმართ ანგარიშვალდებული ოპოზიცია არ გააჩნია."

სალომე ზურაბიშვილი:

# ანტიტერორისტული ბაზის შექმნის იდეა მე არ ჩამიგდია

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" „საქართველოს გზის" საპატიო თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი ექსკლუზიურად ესაუბრება.**



**— ქალბატონო სალომე, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა იმ განცხადებებს, რომლებიც 19 აპრილის აქციაზე რუსთაველის გამზირზე გაკეთდა: „ნაციონალური მოძრაობის" გარდაცვალებაზე საუბარი ნაადრევია", „დღევანდელი აქციით იწყება ახალი ეროვნული მოძრაობა, რომელიც სიძულვილზე არ იქნება დაფუძნებული" და ა. შ. როგორ აფასებთ ამ განცხადებებს, შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა" განახლებული სახეებითა და იმავე იდეოლოგიით დაბრუნდეს ხელისუფლებაში? ჩვენ მოვისმინეთ დათა ახალაიას სკანდალური განცხადება სოციალურ ქსელში. რა მომავალი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას"?**

— ჩემის აზრით, განწირულ მცდელობასთან გვაქვს საქმე: თუ გუშინწინ „ნაციონალური მოძრაობა" მონოპოლიას ამკვიდრებდა ძალაუფლებაზე და, როგორც ვნახეთ, დასავლურობაზე. შემდგომ მაინც გაყალბებული არჩევნების საშუალებით (სადაც უმრავლესობა ველარ მოიპოვეს, მაგრამ ოპოზიციის მონოპოლია დაიტოვა) ახლა ცდილობს ოპოზიციის უზურპირებას... და **სანამ არ დაინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები, სხვა საპარლამენტო ოპოზიციაც არ იარსებებს, რაც თავისთავად თვით მმართველი გუნდისთვის და უმრავლესობისთვის მეტად სავალალო მდგომარეობაა, რადგან ეს ნიშნავს, რომ მას რეალური, ანუ ხალხის მიერ არჩეული და ამდენად, ხალხის მიმართ ანგარიშვალდებული ოპოზიცია არ გააჩნია.** ეს მომენტი არის გადამწყვეტი, როცა ვლაპარაკობთ კოაბიტაციაზე. ამ გაურკვევლობამ შეაძულა მოსახლეობას თვით სიტყვა კოაბიტაცია: კოაბიტაცია მხოლოდ მეორე ოპოზიციურ, ხალხის მიერ არჩეულ ძალასთან შეიძლება, ანუ, როცა ორი ძალა თითქმის ერთნაირად ინაწილებს ამომრჩევლის ხმებს. ამდენად, უთქმელი, მაგრამ იმპლიციტური მანდატი ხალხი არის, — ერთად მართეთ ქვეყანა. ჩვენთან ამ „უზურპაციის" გამო (რასაც ძნელად თუ ხვდებიან საზღვრების გარეთ და გასაგებიცაა რატომ) ეს კონცეპტი **კოაბიტაციის ან, ქართულად რომ ვთქვათ, თანაარსებობის და თანამშრომლობის აზრი გამოცლილია, რადგან მათ შორის, ვინც ხალხს წაართვა ხმები და ვინც ხალხმა აირჩია, არ არსებობს ის „ხიდი", რომელსაც ხალხის ნება ჰქვია.** „რუსეთი, რუსეთის" ყვირილის მერე და „კოაბიტაცია, კოაბიტაციის" ძახილის შემდგომ, 19 აპრილიდან საქმე გვაქვს ახალი „უზურპაციის" მცდელობასთან, ანუ „ნაცმოძრაობა" თავს აიგივებს ეროვნულ მოძრაობასთან... მე მჯერა, რომ ეს მცდელობა, როგორც ყველა მათი ბოლო ზრახვა, წარუმატებელი იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ გავაცნობიეროთ, რა გეგმები ამოქმედებთ მათ.

**— ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ლავროვთან შეხვედრის დეტალები გაიხსენეთ და გვიამბეთ, როგორ გააფრთხილეთ ლავროვი, რომ თქვენს საუბარს სიტყვასიტყვით გადასცემდით ამერიკელ პარტნიორებს. რუსულ ფორუმებზე მაშინვე წერდნენ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ლავროვმა ვიწრო წრეში თქვა — ჯობია, პირდაპირ ამერიკელებს ვესაუბრო ქართველი შიკრიკი მინისტრების გარეშეო. მას მერე თქვენი შეხვედრა აღარც შემდგარა. მართლაც უპრიანი ხომ არ იქნებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უშუალოდ ორ სახელმწიფოს, „უცხოელი პარტნიორების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების" გარეშე მოგვარებულიყო?**

— მე ამის შესახებ არაფერი ვიცი... ვიცი მხოლოდ ფაქტები, რომ შედგა მოლაპარაკებები... ამან მოიტანა შედეგი ყველა თავის პუნქტში... რაც მიმაჩნია ძალიან საინტერესო პრეცენდენტად ჩვენი სამომავლო ურთიერთობების, ამ მოლაპარაკებების ისტორიაც რომ ნათელი იყოს, რადგან ბევრი მითქმა-მოთქმაა, ალბათ, საჭიროა, რაღაც დეტალების (ხომ გახსოვთ ეშმაკი!!!) დაზუსტება.

პირველი, რა კავშირია სტამბოლთან: სტამბოლის სამიტზე, სადაც ლევან მიქელაძეს მნიშვნელოვანი წვლილი ეკუთვნის მოლაპარაკებებში დასავლეთსა (ამერიკელების დიდი ძალისხმევის შედეგად) და რუსეთს შორის ბაზების საკითხთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა სტამბოლის დეკლარაცია. თუმცა პრობლემა არ მოხსნილა, რადგანაც ამ დეკლარაციის მიღებისთანავე რუსებმა განაცხადეს, რომ მათ ვალდებულება არ ჰქონდათ, რადგან ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ საერთო პრინციპებზე შეჯამება და არა ხელმოწერილი იურიდიული შეთანხმება ჯარების გაყვანის თაობაზე, რომელიც მათ ვალდებულებას დააკისრებდა. და 1999 წლიდან 2005 წლამდე ამერიკელების მცდელობები ეუთოს ფარგლებში ამ საკითხის წინ წასაწევად უშედეგო დარჩა, ასევე უშედეგო იყო ქართული მხარის საკმაოდ მორიდებული მცდელობები. სიტუაცია შეიცვალა „ვარდების რევოლუციის" შემდგომ, როცა ახალი იმპულსი მიეცა ამ საკითხის მოგვარებას. ჩემი საგარეო მინისტრად დანიშვნის მიუხედავად, პირველი პერიოდი ეს დოსიე ჩემს კომპეტენციაში არ შედიოდა: პრეზიდენტმა ჯერ მერაბიშვილს ჩააბარა და შემდგომ კი ჟვანიამ აიღო ხელში, თუმცა სკანდალური შიდა ინციდენტის შედეგად მას ჩამოერთვა 2005 წლის იანვარში.

ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტით 2005 წლის იანვარში ვისარგებლე, რომ ეს მოლაპარაკებები ყველა ნორმის დაცვით საგარეო საქმეთა მინისტრის კომპეტენციას დაბრუნებოდა, მეტადრე რომ სამინისტროს და მხოლოდ სამინისტროს ჰყავდა მაშინ ის ჯგუფი, რომელსაც წინა ეტაპების მეხსიერება და ცოდნა გააჩნდა, რაც ნებისმიერ მოლაპარაკებაში წარმატების წინაპირობაა.

კიდევ ერთი რამ უნდა დავაზუსტო ამ მოლაპარაკებების შესახებ: **რატომღაც ჰგონიათ, რომ ანტიტერორისტული ბაზის შექმნის აზრი, რომელიც ამ მოლაპარაკებების დროს გაჟღერდა საქართველოს მხრიდან, ჩემი ჩადებული „ბოროტი განზრახვა" იყო.** სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს აზრი, რომელიც გულისხმობდა საქართველო-რუსეთის ანტიტერორისტულ საკითხებში თანამშრომლობას, ოღონდ არა — ერთი ერთზე, მაგრამ სამკუთხედის პრინციპით ნატოს ფარგლებში, იყო მერაბიშვილის და მისი უწყების აზრი, რომელსაც მეც დავეთანხმე და რომელიც პარლამენტის განხილვისას და უშიშროების საბჭოს განხილვის დროს ასევე მოწონებული იქნა, როგორც ყველა მთავარი მუხლი ამ შეთანხმების. ამ საკითხზე კიდევ ბევრია სათქმელი, ბევრია საინტერესო დეტალი, რომლებიც, ალბათ, სხვა ფორმატში საინტერესო იქნება, როგორც ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის ისტორიის მნიშვნელოვანი გვერდი და აუცილებელი გამოცდილება, სანამ ჩავერთვებოდეთ ახალი მოლაპარაკებების ეტაპში.

**— ერთ მნიშვნელოვან საკითხს მინდა შევეხო. მოგეხსენებათ, საქართველომ აღიარა ჩერქეზების გენოციდი. როგორ შეაფასებთ წინა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას? ჩვენს გაზეთთან ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, სომხეთმა, თურქმა მესხებმა მოითხოვონ მათი გენოციდის აღიარება. რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საქართველოს ამ ყველაფერმა და არის თუ არა ეს აღიარება ერთგვარი ბარიერული რიფი რუსეთ-საქართველოს შორის?**

— არა მგონია, რომ ეს იყოს ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხი და საერთოდ, არ მიმაჩნია, რომ ამით შეიძლებოდეს დღევანდელი საკითხების მოგვარება... ისტორია პოლიტიკაში ხშირად უფრო დაპირისპირების საგანი ხდება, ვიდრე მოგვარების. ეს საკითხი ისტორიკოსების გასარკვევია და მათი დასკვნები ამ დონეზე უნდა დარჩეს.

**— აქტუალური თემაა აგვისტოს ომის გამოძიების საკითხი. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ გამოძიების ჩატარება პოლიტიკური შურისძიებაა და ეს პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრიობას უთხრის ძირს. როგორ ფიქრობთ, საჭიროა 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამოძიება? საუბარია იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი და ასევე სამხედრო მაღალჩინოსნების დაუდევრობაზე...**

— ფაქტები ძალიან ზუსტად და ძირეულად გამოძიებული იქნა ევროკავშირის სპეციალური კომისიის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ომის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე კვირაში გადაწყვეტილება მიღებულია და იწყებს მუშაობას კომისია, რომელმაც დადო კომპლექსური დასკვნები, სხვათა შორის საკვირველი ის არის, რომ ასეთი დოკუმენტი ქართულად არ იქნა გავრცელებული მოსახლეობისთვის. თუ გვინდა გამოძიება და სიმართლის დადგენა, ეს არის საწყისი ეტაპი, მერე იმ მოწმეების გამოყვანა (ანუ სამხედროების, რომლებიც ომის შემდგომ პერიოდში დააშინეს და არ აალაპარაკეს). როგორც უკვე აღვნიშნე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვეყანამ მშვიდად შეეძლოს ცხოვრება, თუ ეს საკითხი — ჩვენი დღევანდელი ბედის ქვაკუთხედი — არ იქნა გამოძიებული ბოლომდე...

**— არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი, შესაძლოა, მოწმის სახით იქნას დაკითხული. სააკაშვილი კი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. თქვენი აზრით, უნდა დაიკითხოს თუ არა ქვეყნის პირველი პირი?**

— მე არ ვიცი საქმის დეტალები, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა დღეს მისი დაკითხვა და რამდენად დრო არ ითმენს. ნამდვილად სჯობს ქვეყნისთვის, რომ, პრეზიდენტი სანამ პრეზიდენტობს, მანამდე მისი იმუნიტეტი არ შეილახოს, თუნდაც დაკითხვის ფორმით, თუმცა გამონაკლისის დაშვებაც შეიძლება.

**— ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით დღემდე ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები: რომ ლაფანყურის სპეცოპერაცია საპარლამენტო არჩევნების ჩაშლის მიზნით დაიგეგმა, საუბარია იმაზე, რომ ოპერაცია სამხრეთ ოსეთში შეუსრულებელ დავალებას ეხებოდა და ა. შ. ძალიან ბევრი ვერსია არსებობს, თქვენი ინფორმაციით, რა მიზეზს ემსახურებოდა ლაფანყურის ოპერაცია და უნდა დადგეს თუ არა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ეს იმ საკითხების კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც მე, როგორც ქართული საზოგადოების ბევრი სხვა წევრი, ეჭვის თვალით ვუყურებ. მაშინ, მატყუარა ხელისუფლების პირობებში, ვერ ვენდობოდი შეუმოწმებლად გავრცელებულ ინფორმაციას. ამ ბოლო ტრაგედიის შესახებ, არათუ შეიძლება, აუცილებელიცაა კითხვების დასმა ისევე, როგორც ბევრ სხვა „უცნაურ მოვლენაზე" (რბილად რომ ვთქვათ), რომლებიც ამ ბოლო წლებში მოხდა ჩვენთან (ბუშის დროს ტერაქტის მცდელობა, სვანეთის ოპერაცია, ზურაბ ჟვანიას სიკვდილი, გურამ შარაძის მკვლელობა, გალში ახალგაზრდების შეშვების ოპერაცია, განმუხურის გადატრიალების მცდელობა, წითელუბნის დაბომბვა, მუხროვანის ამბოხი, კოდორის დაცლა, ლაფანყურის ოპერაცია და ა. შ.).

მათ, ვინც ამ კითხვების დასმისთვის მუდმივად მნათლავენ რუსეთის აგენტად, მინდა შევაგნებინო (ალბათ, ამაოდ), რომ დემოკრატიის პირველი ნიშანი სიმართლის ძიებაშია, რაც უნდა უსიამოვნო ან არახელსაყრელი იყოს იგი და თუნდაც ქვეყნის ინტერესებს ერთი შეხედვით არ ეთანხმებოდეს. დემოკრატია თუ გვინდა, ეს არის ის წყობა, როცა ყველა კითხვის დასმის უფლება აქვს მოქალაქეს და ცენზურას არ ექვემდებარება (გარდა ომის ოპერაციების დროს), როცა ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. ამ პასუხისმგებლობას, ხშირ შემთხვევაში, თავის თავზე პარლამენტი იღებს საგანგებო კომისიის შექმნით (ცხადია, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პარლამენტში რეალური ოპოზიცია არსებობს და მას გააჩნია შესაბამისი ბერკეტები)...

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

განათლება

## პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი დაიწყო

**პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი 1 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით გასტანს, — ამის შესახებ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქებურიამ განაცხადა.**

მისი თქმით, რეგისტრაცია ბავშვების მშობლებმა უნდა გაიარონ ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge ან www.registracion.emis.ge.

ლევან ქებურიას თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელია, რომ დოკუმენტები 2013 წლის 21 ივნისიდან 2013 წლის 3 ივლისის ჩათვლით წარადგინონ.

ლევან ქებურიას ინფორმაციით, რეგისტრაციის მესამე ეტაპის ვადა განსაზღვრულია 2013 წლის 10 ივლისიდან 2013 წლის 18 ივლისის ჩათვლით.

„რეგისტრაცია განხორციელდება იმ გამონთავისუფლებულ ადგილებზე, სადაც მშობელი მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელ საბუთებს განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს", — აღნიშნა ქებურიამ. რაც შეეხება გამოცდების ექსტერნად ჩაბარების წესს, განათლების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, ახალი წესი მხოლოდ იმ მე-12 კლასელებს შეეხებათ, რომელთაც 2012-2013 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

**„ამ კატეგორიის მოსწავლეებმა რეგისტრაცია 2013 წლის 2 მაისის ჩათვლით შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში უნდა გაიარონ. ექსტერნად გამოცდები 2013 წლის 7 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით ჩატარდება",** — განაცხადა ლევან ქებურიამ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ზოგიერთ ქართველ ჩინოვნიკს ნებისმიერი ქისტი შეეჯიბრება საქართველოს სიყვარულში. 2008 წლის ომის დროს, როცა ეს ჩინოვნიკები წითელ ხიდზე დოლარებით გარბოდნენ, რათა როგორმე საკუთარი ქონება გადაერჩინათ, ქისტი ბიჭები ბოლომდე იბრძოდნენ."**



მექა ხანგოშვილი:

# პრეზიდენტ სააკაშვილს რომ არ გაეცა ლიკვიდაციის ბრძანება, ლაფანყურში ვინ გაბედავდა სროლას?!

**ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ გავრცელებულ ვერსიებსა და მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მრჩეველი და ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი საქართველოში — მექა ხანგოშვილი ესაუბრება.**

**— ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით თავიდანვე რამდენიმე ბუნდოვანი ვერსია გავრცელდა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამ დროისთვის, რა მოხდა სინამდვილეში?**

— უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ დღეს ვერსიებზე საუბარი არასწორი იქნება. ალბათ, უნდა დაველოდოთ გამოძიებას, თუმცა ერთი რამ ფაქტია — ეს ჯგუფი არ შემოსულა საქართველოში რუსეთიდან, პირიქით, ისინი გადადიოდნენ საქართველოდან. საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ვდუმდით.

მათი ლიკვიდაცია მოხდა მაშინ, როცა თავისუფლად შეიძლებოდა მათი ცოცხლად აყვანა და დაპატიმრება, მაგრამ მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს არ მოინდომა, ბოდიში და, ფეხებზე დაიკიდა ეს ახალგაზრდები. მაშინ, როცა, ჩვენთვის, ჩეჩნებისთვის, ასეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, თითოეული ადამიანის სიცოცხლეც კი ძალიან ღირებულია. **ძალიან შემაძრწუნებელი იყო ქვეყნის პირველი პირის, მიხეილ სააკაშვილის, საქციელი, როდესაც ის გაბადრული ჩაბრძანდა ლაფანყურში და განაცხადა, რომ თურმე საქართველოში პანკისობის დრო დასრულდა და წარმატებული სპეცოპერაცია ჩატარდა.** პრეზიდენტმა საკუთარი ქვეყნის ისტორია კარგად უნდა იცოდეს. პანკისი ცხელ წერტილად თავის დროზე თავად ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა აქციეს, თორემ მოსახლეობას ხეობაში არეულობა ყველაზე მეტად არ აძლევდა ხელს. ერთი მაგალითი დაასახელოს ვინმემ, როცა პანკისის ხეობის მოსახლეობა არასახელმწიფოებრივად მოიქცა და შემდეგ ისაუბრონ პანკისობასა და ლეკიანობაზე.

**ზოგიერთ ქართველ ჩინოვნიკს ნებისმიერი ქისტი შეეჯიბრება საქართველოს სიყვარულში. 2008 წლის ომის დროს, როცა ეს ჩინოვნიკები წითელ ხიდზე დოლარებით გარბოდნენ, რათა როგორმე საკუთარი ქონება გადაერჩინათ, ქისტი ბიჭები ბოლომდე იბრძოდნენ.** ამის მიუხედავად, სააკაშვილმა დაჭრილი დედისერთა ქისტი ბიჭები არც კი მოინახულა. პრეზიდენტის ეს საქციელი რას ნიშნავდა?!

**— დღემდე აქტუალურია კითხვა: ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები, ვინ მისცა მათ იარაღი და როგორ აღმოჩნდნენ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე? ერთ-ერთი ვერსიით, მათ საქართველოს ხელისუფლება ამზადებდა...**

— დიახ, ვერსია, რომ მათ თავად საქართველოს ხელისუფლება ამზადებდა, არსებობს, სწორედ ამიტომ უნდა დაველოდოთ გამოძიების დასრულებას.

**— რა კომენტარს გააკეთებთ სახალხო დამცველის ანგარიშზე, რომელშიც ნათქვამია, რომ სპეცოპერაციის უკან საქართველოს ყოფილი ხელისუფლება იდგა. დასახელებულია კონკრეტული მაღალჩინოსნების გვარებიც...**

— სახალხო დამცველს სრულიად ვეთანხმები. ეს არის სხვადასხვა ვერსიაზე დაყრდნობით, მაღალ დონეზე მომზადებული ანგარიში. სწორედაც რომ ყოფილი ხელისუფლებაა ყველაფერში დამნაშავე, სხვა არავინ. **ამ ცოტა ხნის წინ გამოვიდა შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და განაცხადა, რომ მალე ისეთ ფაქტებს გავიგებთ, რომლებიც ნათელს მოჰფენს ამ საქმესო.** ველოდებით...

**— გადარჩენილი ახალგაზრდები ამ დროისთვის სად იმყოფებიან და თუ აპირებენ გამოძიებასთან თანამშრომლობას?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ისინი ჯერ თურქეთში გადავიდნენ და ახლა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში იმყოფებიან. დღეს, არა მგონია, ითანამშრომლონ გამოძიებასთან, ალბათ, როცა ნდობის ხარისხი იქნება მაღალი, ისინიც ითანამშრომლებენ...

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, სად არის ახმედ ჩატაევი?**



**«ძალიან შემაძრწუნებელი იყო ქვეყნის პირველი პირის, მიხეილ სააკაშვილის, საქციელი, როდესაც ის გაბადრული ჩაბრძანდა ლაფანყურში და განაცხადა, რომ თურმე საქართველოში პანკისობის დრო დასრულდა»**

— მე მისი პირადი ცხოვრება არ ვიცი. ის საჭიროებს პროთეზს, რადგან, იცით, მას ხელი ამპუტირებული ჰქონდა და ახლა ფეხიც მოჰკვეთეს. ვიცი, რომ, სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით, არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული და მას ამის უფლება მისცა ხელისუფლებამ. ისიც ვიცი, რომ ჩატაევი გამოძიებასთან აუცილებლად ითანამშრომლებს.

**— დათა ახალაია სკანდალურ წერილში ლაფანყურის სპეცოპერაციაზეც საუბრობს და ყველაფერში შს ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს, ადანაშაულებს...**

— ჩამობრძანდეს და თქვას თავისი სათქმელი. თუმცა, ახლა რომ ამბობს, თითქოს ქისტ ძმებთან პრობლემა შეექმნათ, მაშინ რატომ არ ფიქრობდა ამაზე, როდესაც ხოცავდა მათ?! **მინისტრ ბაჩო ახალაიასა და პრეზიდენტ სააკაშვილს რომ არ გაეცათ ლიკვიდაციის ბრძანება, ვინ გაბედავდა სროლას? თუმცა, ისიც ცხადია, რომ ბაჩო ახალაია არ არის ისეთი გაბედული, რომ პრეზიდენტის გარეშე მიეღო ეს გადაწყვეტილება.**

ჩვენ, ქართველებსა და ჩეჩნებს, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ 90-იანი წლებში დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ და ეს მტრის ხატი ჩეჩნებისა დღესაც ბოლომდე არ არის დანგრეული ქართულ საზოგადოებაში. ბაჩო ახალაიას ურჩევდნენ, ვითარება კიდევ უფრო არ გაგვემძაფრებინა, თუმცა არ შეისმინა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, **ბაჩო ახალაია ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ ძალიან ნანობდა თავის საქციელს.**

რაც შეეხება მერაბიშვილს, როდესაც ასეთი რამ ხდება, მასაც აქვს თავისი წილი დანაშაული. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი გამოძიების დასკვნა, — გაირკვეს, ვინ იყო მთავარი დამნაშავე და რატომ მოხდა ეს ყველაფერი. მთელი პანკისის ხეობა ამ გამოძიების შედეგებს ელოდება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი ბიჭები დაზარალებულებად სცნონ, რადგან მათთვის ტერორისტების იარლიყის მიწებებას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ.

**— თქვენ რამდენიმე ხნის წინ განაცხადეთ, რომ ჩეჩნები თავის სისხლს არავის პატიობენ. რას ნიშნავდა ეს განცხადება, ანუ ჩეჩნების შურისძიების შესახებ გავრცელებული ხმები რეალურია? და კონკრეტულად ვის შეეხება ეს შურისძიება: ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს თუ მიხეილ სააკაშვილს?**

— როგორც ცნობილია, პარალელურად ზაქაევის გამოძიებაც მიმდინარეობს და გაირკვევა ყველაფერი. მინდა ხაზი გავუსვა, რომ **ჩეჩენ ხალხს ქართველებთან გასაყოფი არაფერი აქვს და არც არასდროს ექნება.** ამ შემთხვევაში ერებს შორის ურთიერთობა კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დადგება. საქმე გვაქვს მხოლოდ ვიღაცების მხრიდან ღალატთან, რომელსაც ბიჭები იმდენად არ ელოდნენ, რომ რამდენიმე მათგანს ეძინა, როცა მოკლეს...

**— გარდაცვლილი ქართველი სპეცრაზმელის, არჩილ ჩოხელის, ოჯახი შვილის სიკვდილში საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას ადანაშაულებს. ვიცი, რომ თქვენ ესაუბრეთ გარდაცვლილი ჩეჩნების ოჯახებს, რას ამბობენ ისინი?**

— ოჯახები ადანაშაულებენ ბაჩო ახალაიას, მიხეილ სააკაშვილს, ქვეყნის პირველ პირებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სპეცოპერაციაში.

**— გამოძიება მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, გავრცელად ინფორმაცია, რომ ჩეჩნები საკუთარ გამოძიებას აწარმოებენ, კახეთის საინფორმაციაო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩეჩენი მებრძოლების საკითხს შარიათის სასამართლო განიხილავს, თქვენც ახსენეთ, რომ ზაქაევი დამოუკიდებელ გამოძიებას აწარმოებს. საქართველოში ხელისუფლება ხომ შეიცვალა, რატომ გახდა საჭირო დამოუკიდებელი გამოძიების წარმოება, ჩეჩნური მხარე არ ენდობა ქართულ გამოძიებას?**

— მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ბევრი ძველი კადრი ისევ დარჩა და არც საგამოძიებლო ორგანოები და არც სასამართლო მთლიანად არ გათავისუფლებულა ძველი კადრებისგან. რაც შეეხება შარიათის სასამართლოს, შარიათის კანონები, მოგეხსენებათ, საქართველოში არ მოქმედებს, უცხოეთში რა ხდება, არ ვიცი, ვერ დაგიდასტურებთ ამ ინფორმაციას.

**— ქალბატონო მექა, რა ინფორმაცია გაქვთ ბოსტონში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, ჩეჩნური კვალი იკვეთება? რუსულმა გამოცემა „იზვესტიამ" გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ტამერლან ცარნაევი საქართველოში ამერიკელებთან ერთად ჩატარებულ სემინარებზე გადიოდა წვრთნას. დასახელდა საქართველოში მოქმედი ფონდი „კავკასიური" და ამერიკული „ჯეიმსთაუნი". თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ფონდ „კავკასიურის" საქმიანობის შესახებ?**

— ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა და აღნიშნულ მოვლენებს გამუდმებით თვალს ვადევნებ. სხვათა შორის, სანამ ინფორმაცია გავცელდებოდა, ეჭვი გამიჩნდა, რომ ისევ ჩეჩნებს დააბრალებდნენ ყველაფერს. ერთ-ერთმა არხმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯერ მომხდარი არ იყო ეს აფეთქება, როცა ორი საათით ადრე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" გავრცელდა ინფორმაცია აფეთქების შესახებ, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს იყო წინასწარ გამიზნული პროვოკაცია და ეს ბიჭები არაფერში დამნაშავეები არ არიან.

„კავკასიურ ფონდთან" წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდი და ფონდის მიზანი კავკასიელ ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობების აღდგენა-განმტკიცების საქმე გახლდათ. გამოსცემდნენ წიგნებს, აწყობდნენ კონფერენციებს, ჩამოჰყავდათ სტუმრები ჩრდილოეთ კავკასიიდან. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ის კონფერენციები, რომელთაც „იზვესტია" ასახელებს, 2012 წელს მსგავსი არაფერი თბილისში არ ჩატარებულა, ყოველ შემთხვევაში, მე არ დავსწრებივარ. „ჯეიმსთაუნის" ფონდმა და „კავკასიის ფონდმა", რომლის პრეზიდენტიც პროფესიით არქეოლოგი ბატონი გივი ღამბაშიძე გახლავთ, ჩაატარეს ერთობლივი კონფერენციები, რომლებსაც მეც ვესწრებოდი და 2010-2011 წლებში ჩატარდა (და არა 2012 წელს) და იქ ცარნაევი არავინ მონაწილეობდა, თორემ მე აუცილებლად მეცოდინებოდა, ვინაიდან მთელი ამ წლების განმავლობაში, თუ ვინმე ჩეჩენი ჩამოდიოდა საქართველოში, ყველა ჩემი სტუმარი იყო.

ესაუბრა **შორენა ციჰქარაშვილი**

„19 აპრილს ჩვენ ვიხილეთ ხერხემალში გადატეხილი „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები. მგონი, თვითონაც გაკვირვებულები იყვნენ იმ რაოდენობით, რომელიც იქ შეიკრიბა. ეს ნათლად აჩვენა იმ ისტერიკამ, რომელიც ყველა გამომსვლელს აშკარად ეტყობოდა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ნაციონალების» მიერ ნასროლი ტყვია ისევ შენახული მაქვს

**19 აპრილს თბილისში „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია-მიტინგი გაიმართა. მრავალ გამომსვლელთა შორის „სცენაზე“ მოულოდნელად პრეზიდენტიც გამოჩნდა. საკმაოდ ემოციური და ქარიზმატული სიტყვით გამოვიდა. მიუხედავად დაბალი რეიტინგისა, „ნაციონალებმა“ მაინც შეძლეს ადამიანების გარკვეული რაოდენობისთვის მობილიზაციის გაკეთება და მათი ქუჩაში გამოყვანა. თუ როგორ აფასებს ამ მოვლენას ფართო საზოგადოება, თავის მოსაზრებას „საქართველო და მსოფლიოს“ ნინელი ჭანკვეტაძე უზიარებს.**

**— როგორ შეაფასებთ 19 აპრილის აქციას**

— 19 აპრილს ჩვენ ვიხილეთ ხერხემალში გადატეხილი „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები. მგონი, თვითონაც გაკვირვებულები იყვნენ იმ რაოდენობით, რომელიც იქ შეიკრიბა. ეს ნათლად აჩვენა იმ ისტერიკამ, რომელიც ყველა გამომსვლელს აშკარად ეტყობოდა. თუმცა მინდა მათ შევახსენო, რომ მაშინ, როცა ასიათასობით ადამიანს ისინი იგნორირებას უკეთებდნენ, კრიმინალებს, ბანდიტებს, მოსყიდულებს და „ჩარეცხილებს“ უწოდებდნენ, აი ამ „ჩარეცხილებისა“ და „ბანდიტების“ ფონზე ისინი ძალიან ცოტანი იყვნენ. 19 აპრილს „ნაცმოძრაობამ“ აჩვენა თავისი რეალური სახე, თუ რამდენი არიან სინამდვილეში. ვისარგებლებ ამ სიტუაციით და მოგახსენებთ: „ნაცმოძრაობის“ თავხედობას, ფარისევლობასა და ცინიზმს საზღვარი არ აქვს. ის ადამიანები, რომლებსაც ჩვენი თანამოქალაქეების სისხლში აქვთ ხელი გასვრილი, 19 აპრილს ზუსტად იმ ადგილას იდგნენ, სადაც მე და კიდევ ბევრ ჩემნაირს ტყვიას გვესროდნენ. ახლა დგანან და უსირცხვილოდ ყელყელაობენ, თავს გვაცნობენ ახალ ეროვნულ ძალად.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამბობდნენ, რომ ბევრი წინააღმდეგობა შეხვდათ მოქმედი მთავრობის მხრიდან და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ამ მათთვის გართულებულ პერიოდში ამდენი ადამიანი შეიკრიბა მათ მხარდასაჭერად.**

— 19 აპრილს საქართველოს ახალმა მთავრობამ ნათლად აჩვენა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს სახელმწიფო განსხვავებული აზრის გამოსახატავად შეკრებილ საკუთარ თანამოქალაქეებს. მთავრობამ სრული კომფორტი შეუქმნა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს, ხოლო როდესაც „ნაციონალები“ ამბობენ, რომ მათ ბერკეტები აღარ დარჩათ, რაც კიდევ ერთი მტკნარი სიცრუე და ფარისევლობაა, ეს ყველამ ვიცით — მთელმა საქართველომ. მე მინდა მათ შევახსენო, რომ ჯერჯერობით **პრეზიდენტი სწორედ მათია, რადგან სააკაშვილი „ნაციონალების“ პრეზიდენტია და არა სრულიად საქართველოსი. მან ეს კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა 19 აპრილს.** რაც შეეხება უგულავას, სამარცხვინოა, რომ მან მეტი ვერ მოახერხა ქალაქის მასშტაბით, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი „ნაციონალებისა“ და თავად უგულავას გაბოროტებისა ჩვენი ხალხის მიმართ ისიც არის, რომ მან ვერ მოახერხა თბილისის დამორჩილება და ვერც მოახერხებს ამას ვერასოდეს. აქვე მინდა გითხრათ, რომ **ნამდვილად დამენანა ის გაბრიყვებული ადამიანები, რომლებიც იქ მოხვდნენ და სასტიკად შემზარა იმ უნამუსობამ, რაც იქ ხდებოდა.**

**— კმაყოფილი ხართ ახალი მთავრობის მუშაობით, ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო მეტის გაკეთებაც იყო შესაძლებელი ამ ექვსი თვის მანძილზე?**

— არ მაქვს არანაირი იმედგაცრუება. ვფიქრობ, ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი შევიდა პარლამენტში და საერთოდ, ჩემი აზრით, ასეთი საინტერესო პარლამენტი ჩვენ, დიდი ხანია, არ გვყოლია. როგორც ამ ხელისუფლების ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გვეუბნება, პროცესების სრულად დალაგებას ოთხი წელი სჭირდება, სწორედ ეს ოთხი წელი აქვს მიცემული ამ ხელისუფლებას. მე არ მინდა ნაადრევად გაკეთებული შეფასება გამომივიდეს, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ჯერ ისევ „ნაციონალების“ ძველი კადრები სხედან გამგეობებსა თუ სამინისტროებში, თუმცა აქვე მინდა ხაზი გავუსვა ახალი მთავრობის მიერ უკვე გადადგმულ ნაბიჯებს. იმავე ჯანდაცვის, განათლების, დევნილებთან დაკავშირებულ საკითხებში. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაწეული სამუშაო. ამას წინათ ქუთაისში მივდიოდი და თვალს ახარებდა დამუშავებული და მოვლილი მიწის ნაკვეთები. სხვა მიმართულებითაც მიდის მუშაობა და მალე შედეგებსაც ვიხილავთ.

**— წინ გვაქვს საპრეზიდენტო არჩევნები. როგორი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს საქართველოს? ახალი კონსტიტუციით მომავალი პრეზიდენტი დიდი პასუხისმგებლობით არ იქნება დატვირთული. ეთანხმებით ამას?**

— მე ამ საკითხში კომპეტენტურ პასუხს ვერ გაგცემთ. კომენტარის გაკეთება მხოლოდ დილეტანტის დონეზე შემიძლია. ყველა მოქალაქეს უნდა, რომ მის პრეზიდენტს, რომელიც ქვეყნის სახეც იქნება, რეალურად შეეძლოს რიგი საკითხების და პრობლემების გადაწყვეტა. ამ მომენტისთვის მე არც ერთი საპრეზიდენტო კანდიტატის ვინაობა არ ვიცი, მაგრამ, როგორც ბატონი პრემიერი ამბობს, ამისთვის არის დრო და, ალბათ, მაისში გახდება ცნობილი, თუ ვის კანდიდატურას დააყენებს კოალიცია. რაც თქვენ მკითხეთ, ეს ძალიან რთული საკითხია. ალბათ, საინტერესო იქნება, თუ ამ თემაზე კიდევ მოხდება შეჯერება, ისაუბრებენ კონსტიტუციონალისტები, პოლიტიკოსები და სამოქალაქო სექტორიც, ალბათ, მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს. ჩვენ, ხალხი იმდენად ვართ შეშინებული ამ უცხვირპირო და უხამსი პრეზიდენტით, რომელსაც ცხრა წლის მანძილზე, საკუთარი ინტერესების დაცვის გარდა, არაფერი გაუკეთებია. მას ერთი დღე არ უზრუნია ქვეყნის ინტერესების დაცვაზე, ადამიანების უფლებებზე აღარაფერს ვამბობ. ბუნებრივია, გვინდა, ჩამოერთვას უფლებები, მაგრამ, ალბათ, მთლად ასე არ არის. ალბათ, ქვეყანას სჭირდება ღირსეული პრეზიდენტი, ქვეყნის ინტერესების დამცველი. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი და, თუ პრეზიდენტს ექნება ამ საკითხში თავისი სიტყვა და როლი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ პრეზიდენტს ერთი დღე არ უზრუნია ქვეყნის ინტერესების დაცვაზე. 2011 წელს სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ჩერქეზთა გენოციდი აღიარა. თქვენი აზრით, რა მოუტანა ამ აღიარებამ ჩვენს ქვეყანას?**

— კიდევ ვამბობ: მე არ ვარ ამ საკითხებში კომპეტენტური, მაგრამ მეც კი ვიცი, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, მაშინ, როცა რუსეთთან სერიოზული საკითხები გვაქვს მოსაგვარებელი, ჩვენს ქვეყანას უდიდესი პრობლემა შეექმნა. სააკაშვილი არ ფიქრობდა ამაზე, არ აინტერესებდა მას საქართველო.

ესაუბრა **ეკა კახიანი**



## დალილა ხორავა:

# ჩერქეზთა გენოციდის აღიარება შეცდომა იყო

**ქართულ საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა 2011 წელს ჩერქეზთა გენოციდი ოფიციალურად აღიარა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი კვლავაც ფიქრობს, რომ აღნიშნული ქმედება საქართველოსთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანი იყო მაშინაც და ახლაც. ამ და სხვა მნიშვნელოვანი კითხვებით „საქართველო და მსოფლიომ“ აფხაზეთის ყოფილ ჯანდაცვის მინისტრ დალილა ხორავას მიმართა.**

**— საკამათო არ არის, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით საქართველომ ბევრი წააგო. მოდით, კონკრეტულად მითხარით, თქვენი აზრით, უნდა მომხდარიყო თუ არა ეს აღიარება?**

— მოსკოვის გასაღიზიანებლად ასეთი აღიარების გაკეთება ჩვენი მხრიდან მაშინ, როცა ჩვენი ტერიტორიებისა და დევნილების ბედი რუსეთზეა დამოკიდებული, როგორც მინიმუმ, ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. 300 000 დევნილი გვყავს და მგონი, ჯობდა ჯერ საკუთარი ქვეყნისთვის მიგვეხედა, ჯერ ამ საკითხების მოგვარების მიმართულებით გვემუშავა, ვიდრე ჩერქეზების გენოციდი გველიარებინა.

**— ახალი კონსტიტუციის მიხედვით, მომავალი პრეზიდენტის უფლება-შესაძლებლობები ძალიან შეზღუდული იქნება. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამას?**

— მე საერთოდ ვარ უმოქმედობის წინააღმდეგი. თუ არაფერი შეუძლია, რა საჭიროა მაშინ პრეზიდენტი?! ჩემი აზრით, **ახალი პრეზიდენტი აქტიურად უნდა იყოს დაკავებული საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხით. არ იქნებოდა ზედმეტი, თუ ის პირადად მიიღებდა მონაწილეობას ყველა ტიპის მოლაპარაკებაში,** რომლებიც ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციას შეეხება. ახალმა პრეზიდენტმა უნდა აჩვენოს აფხაზებსაც და ოსებსაც, რომ გულით არის ღია და მზადაა, ეს საკითხები მოაგვაროს მაქსიმალურად უმტკივნეულოდ ჩვენთვის და, რასაკვირველია, მათთვისაც.

**— უნდა აღდგეს თუ არა რუსეთთან ურთიერთობები და რა გზით?**

— უნდა მოხდეს ურთიერთობების აღდგენა და ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს აფხაზეთ-ოსეთის დეოკუპაცია. რუსეთი არის ჩვენი გეოგრაფიული მეზობელი, არის უდიდესი ქვეყანა თავისი მასშტაბით და საქართველომ უნდა შეძლოს მონახოს მის გვერდით ნორმალური არსებობის საშუალება. თანაც ეს უნდა მოხდეს აუცილებლად მშვიდობიანი გზით. ომითა და იარაღის ჟღარუნით ჩვენ ვერაფერს გავხდებით, ვფიქრობ, რომ 21-ე საუკუნეში, როცა ჩვენს ქვეყანას მრავალი ინტელექტუალი, ჭკვიანი ადამიანი ჰყავს, რომელთაც ისტორიის გადახედვა და მისი ანალიზი შეუძლიათ, აუცილებლად უნდა გამოინახოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების გზა. სხვა შემთხვევაში პრობლემები იქნება მუდმივად. გასათვალისწინებელი ისიც არის, რომ ეს პრობლემები, როგორც წესი, უბრალო ხალხზე აისახება და არა ელიტაზე და ამის ნათელი მაგალითები ჩვენ დღეს, სამწუხაროდ, ათასობით გვაქვს.

**— უნდა დაინიშნოს თუ არა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში?**

— ჩემი აზრით, არა. ჩვენ გვყავს არჩეული პრეზიდენტი. მას ვადა ეწურება ოქტომბერში. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ კანონის უზენაესობას. გვინდა თუ არა, პატივი უნდა ვცეთ კანონს. აქ საუბარი არ არის ცალკეულ ადამიანებზე, აქ ქვეყნის პრესტიჟზეა ლაპარაკი.

**— აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მხრივ რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ქართულმა მხარემ, როგორ უნდა მოხდეს საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის აღდგენა?**

— **ერთ-ერთი ჩვენი სტრატეგიული მუშაობის მიმართულება უნდა იყოს ნდობის აღდგენის საკითხი. აფხაზებს ჰყავთ „უხუცესთა საბჭო“, რომელიც სარგებლობს დიდი ავტორიტეტით.** მასთან გზების გამონახვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელმძღვანელ პირებთან დიალოგი.

**— როგორც ცნობილია, „უხუცესთა საბჭო“ ქალბატონებთან მოსალაპარაკებლად არ დასხდება. თქვენ რომ იყოთ ჩართული კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, როგორ ფიქრობთ, ისინი თქვენ მოგისმენენ?**

— დედით აფხაზი ვარ, აფხაზების ადათ-წესებს ახლოს ვიცნობ. ნაწილობრივ ასეა — **აფხაზეთის „უხუცესთა საბჭოს“ ყველა წევრი მამაკაცია და ქალბატონებთან მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომას ერიდებიან,** თუმცა ეს ადამიანები იმდენად ბრძენი ხალხია, რომ, თუ აზრი იქნება სწორად ჩამოყალიბებული და საქმე იქნება პოზიტიური, ისინი ქალბატონსაც მოუსმენენ...

ესაუბრა **ეკა კახიანი**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკოსები და ექსპერტები ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ გამოკითხვა, შესაძლოა, იმ არჩევნების მსგავსად, რომელსაც წინა ხელისუფლება გაყალბებით ატარებდა, არასანდო იყოს, ამიტომ ახალი გამოკითხვის ჩატარება მნიშვნელოვანია იმისთვის, რეალურად ვიცოდეთ, რამდენად ემხრობა დღეს საზოგადოება ნატოში გაწევრიანებას.**

# ვინც ნატოზე ბევრს ლაპარაკობს, მან ყველაზე კარგად იცის — არანაირი ნატო არ იქნება!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამის შესახებ ივანიშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის „როუზ-როსის“ 83-ე სემინარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

„ნატოში გაწევრიანება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ–ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა, 10 წლის წინ, 2003 წელს, საყოველთაო გამოკითხვით დაადასტურა და ქართველი ხალხის ამ ნებას ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგულებელყოფს, ვერ გადაუხვევს ამ გზიდან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო გაერთიანება, ეს არის დიდი პოლიტიკური და ღირებულებითი ერთობის მატარებელი ალიანსი, და სწორედ ამიტომ არის ნატო ჩვენი კარგად გაცნობიერებული არჩევანი. **ჩვენს ხალხს კარგად ესმის, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის ის ერთადერთი გზა, რომელიც ევროპული დემოკრატიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას. დასავლეთთან ინტეგრაცია საერთო ევროპული ოჯახისკენ მიმავალი გზაა, გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ადგას.**

საბედნიეროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით არც ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორისაა აზრთა სხვაობა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილი მათ ოფიციალურად აქვთ დეკლარირებული.

ჩვენი ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, რომ საქართველოს ამ არჩევანს ხორცი შეესხას, რათა შენარჩუნდეს ალიანსში ინტეგრაციის პროცესის პოზიტიური დინამიკა, და ყველაფერს ილონებს, რომ პროგრესს მივაღწიოთ ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების განხორციელების საქმეში. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების მხარდაჭერას.

სწორედ ამ მხარდაჭერის დადასტურებაა სტრასბურგკელის (2009), ლისაბონის (2010) და ჩიკაგოს (2012) სამიტები. ამ გადაწყვეტილებების ხორცშესხმა გახდა ჩვენი ქვეყნის მთავარი ამოცანაა“, — **განაცხადა პრემიერმა და იქვე აღნიშნა, რომ 2013 წელს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მომავალი, მესამე ვიზიტი ნატო-საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობების დადასტურებაა.**

**პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ საქართველო უახლოეს მომავალში ნატოს წევრი გახდება.**

„საქართველომ ამ მიმართულებით თავისი აქტიურობით ბევრი გააკეთა. ნატოს წევრი ქვეყნებისგან აბსოლუტური მზაობაა, საქართველო ნატოში გაწევრიანდეს. რაღაც პროცესები ამას ხელს უშლის, მათ შორის ძალიან ამძიმებს ჩვენი ტერიტორიების ოკუპირებული ნაწილი, თუმცა, ვფიქრობ, უახლოეს დროში ჩვენი აქტიურობით და ამ სტრატეგიის გაგრძელებით საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდება“, — **აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.**

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სემინარს, პრემიერ-მინისტრთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და დეპუტატებიც ესწრებოდნენ. როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, მთავრობა შეიცვალა, მაგრამ ქვეყნის პრიორიტეტები უცვლელი დარჩა.

„ჩვენ გავაგრძელებთ დემოკრატიულ რეფორმებს, რომ საქართველოში დამყარდეს მრავალპარტიული დემოკრატია, რადგან გვჯერა, რომ ეს არის დემოკრატიის ერთადერთი მდგრადი ფორმა. ჩვენ დამოუკიდებლად ვებრძვით სირთულეებს, თუმცა მათ დაძლევაში ჩვენი მეგობრების დახმარებაც გვჭირდება. მინდა, ჩემი გამოსვლა დავასრულო ერთ ისტორიულ პროცესზე ხაზგასმით — **ნატოს კარზე 10 წლის წინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ დააკაკუნა, დაახლოებით 5 წლის წინ პრეზიდენტ სააკაშვილს უთხრეს, რომ ეს კარი ღიაა. დღეს კი ჩვენ, მე და პრემიერ-მინისტრს, გვაინტერესებს პასუხი კითხვაზე — შევძლია, შემოვიდეთ?** გთხოვთ, ადრე თუ გვიან, ამ კითხვაზე გაგვეცით პასუხი“, — **აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.**

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს გიორგი კუნაძეს** მიაჩნია, რომ ნატოში ინტეგრაცია არ უშველის საქართველოს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში. „ეს შორეული პერსპექტივაა, მაგრამ, **როდესაც დადგება შესაბამისი დრო და საქართველო ნატოს წევრი გახდება, რუსეთი ამაში მას ხელს ვერ შეუშლის, და ზუსტად ეს აღიზიანებს რუსეთს.** პირადად მე ძალიან მაინტერესებს, თუ რა მოტივები ამოძრავებს საქართველოს მთავრობას ნატოში ინტეგრაციის საქმეში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნატოს წევრობა ვერ დაეხმარება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებაში“, — **განაცხადა გიორგი კუნაძემ ნატოს ეგიდით თბილისში ჩატრებულ სემინარზე გამოსვლისას. აღსანიშნავია, რომ დიპლომატ გიორგი კუნაძეს 1991-1994 წლებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.**

**„საქართველო და მსოფლიო“ ხშირად წერდა იმაზე, თუ რას ნიშნავს ნატოში გაწევრიანება ქვეყნისთვის და ამ გაერთიანების შესახებ რამდენად ინფორმირებულია საქართველოს მოსახლეობა, რომელიც სხვადასხვა გამოკითხვაში მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას. ხელისუფლებას, წინასაც და ახლანდელსაც, ნატოში გაწევრიანების საზოგადოების თანხმობად ხშირად მოჰყავს პლებისციტის შედეგები და სხვადასხვა გამოკითხვა, თუმცა პოლიტიკოსები და ექსპერტები ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ გამოკითხვა, შესაძლოა, იმ არჩევნების მსგავსად, რომელსაც წინა ხელისუფლება გაყალბებით ატარებდა, არასანდო იყოს, ამიტომ ახალი გამოკითხვის ჩატარება მნიშვნელოვანია იმისთვის, რეალურად ვიცოდეთ, რამდენად ემხრობა დღეს საზოგადოება ნატოში გაწევრიანებას.**

მოძრაობა „თეთრების“ ლიდერ **თემურ შაშიაშვილის** აზრით, საქართველოში ნატოსთან დაკავშირებული საკითხი პოლიტიზირებულია.

„საქართველოში ნატოსთან დაკავშირებული საკითხი პოლიტიზირებულია. ამ თემას ყველა პარტია სათავისოდ იყენებს. ვინც ნატოში შესვლას მხარს უჭერს, გაცნობიერებული არ აქვს, ნატო რა არის. ნატოში შესვლას მხარს ისინი უჭერენ, ვინც თავიანთი ქმედებებით ნატოს წინააღმდეგნი არიან. ამის მაგალითი იყო „ნაციონალური მოძრაობა“. **ვინც იცის, ნატო რა არის და შეგნებულად უჭერს მხარს, ასეთი ადამიანები საქართველოში 10-15%-ია. ნატოს პოლიტიზირებამ გამოიწვია ტერიტორიების დაკარგვა და ესაა ჩვენი ტრაგედია“, — აცხადებდა ის ჩვენ გამოცემასთან საუბარში.**

„მე IRI-ს და NDI-ს გამოკითხვებს არ ვენდობი, ვინაიდან, ცნობილია, ეს ორგანიზაციები როგორი სიყალბით ატარებენ ნებისმიერი სახის გამოკითხვას. **ვინაიდან საქართველოს საზოგადოებაში ნატოსადმი დამოკიდებულება საკმაოდ უარყოფითია, გაცილებით უარყოფითი, ვიდრე ამას ჩვენი მედიასაშუალებები ავრცელებენ ან „ნაციონალური მოძრაობა“ და თუნდაც ახალი ხელისუფლება, საჭიროა ახალი პლებისციტი.** თანაც სხვა საკითხებზე კი არ უნდა იყოს მიბმული, არამედ მთელი სერიოზულობით ცალკე უნდა ჩატარდეს“, — **აცხადებდა პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**

**ცნობილია, რომ სააკაშვილის პერიოდში ტოტალურად ყალბდებოდა არჩევნები, შესაბამისად, პლებისციტის შედეგების სანდოობაშიც თამამად შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ. ხომ არაა საჭირო ახალი გამოკითხვის ჩატარება, რამდენად რეალურია, უახლოეს მომავალში საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდეს და ეთანხმებიან თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრებიან:**

## დიტო ჩუბინიძე: ნატოში შესვლაზე საუბარი დიდი ტყუილია, რომელიც ქართველ ერს შემოუგდეს



**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:**

— ამასთან დაკავშირებით მახსენდება დიდი გერმანელი პოეტის, ჰაინრიხ ჰაინეს, ცნობილი ნაწარმოები „გერმანია — ზამთრის ზღაპარი“. „ნატო – ზამთრის ზღაპარი“ შეიძლება გავაკეთოთ აქედან ასეთი პერიფრაზი. რაც შეეხება უსუფაშვილის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს კარზე უკვე დავაკაკუნეთ, შევარდნაძიდან მოყოლებული, სააკაშვილით გაგრძელებული ყველა ამ თემაზე ერთსა და იმავეს უკაკუნებს. **ეს არის დიდი ბოროტი ზღაპარი, რომელიც ქართველებს შესთავაზეს. არანაირი ნატო არ იქნება და, ვინც ამაზე ყველაზე ბევრს ლაპარაკობს, მან ყველაზე კარგად იცის, რომ ეს ასეა.** ეს ხალხი ასე იმიტომ საუბრობს, რომ დავალება აქვთ მიღებული და ამის ლაპარაკში ფულს იღებენ.

**— თქვენი აზრით, ახალი ხელისუფლება, სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად რატომ საუბრობს მუდმივად, რომ ქართველი ერის არჩევანი ყოფილა ნატო და სასწრაფოდ უნდა შევიდეთ ამ გაერთიანებაში?**

— თუკი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, თუკი 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმვირატის მიერ ჩატარებული არჩევნებიც გაყალბდა (სააკაშვილმა რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნა, იმას ვგულისხმობ), პროპორციული არჩევნებიც თუ გაყალბდა, მაინცდამაინც ის მაჟორიტარული არჩევნები და ნატოსთან დაკავშირებული პლებისციტი არ გაყალბებულა? ახალმა ხელისუფლებამ ჰკითხოს ხალხს, უნდა ნატო? არ ვენდობი სააკაშვილის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს. არც უსუფაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს არ ვენდობი იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოში შესვლის რეალური შანსი გაჩნდა. ეგენი კაი ხანია აკაკუნებენ. 2% აქვთ რესპუბლიკელებს რეიტინგი. არავის არაფერი ავიწყდება. პარლამენტში ახლა გამოეფინნენ და ჰგონიათ, რომ ხმები მიიღეს საამისოდ. **არჩევნებში ხალხმა ხმა ბიძინა ივანიშვილს მისცა და არა რომელიმე კონკრეტულ „კვაზი პარტიას“!**

**— როცა პრემიერი საუბრობს იმაზე, რომ ნატოში რაც შეიძლება მალე უნდა შევიდეთ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ან აფხაზეთის, ან სამხრეთ ოსეთის დათმობა მოგვიწევს? როგორც ცნობილია, ნატოს წევრი ვერ გახდება ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა აქვს.**

— საქართველომ დათმო უკვე, რისი დათმობაც შეიძლებოდა. ნატოს წესდებაში კარგად და გარკვევით წერია, და ვისაც მხედველობა აქვს და გასამმაგებული ლინზები არ სჭირდება, კარგად შეუძლია ამოკითხოს, რომ **ქვეყანას, რომელსაც აქვს მეზობელ სახელმწიფოსთან ტერიტორიული დავა, ვერ გახდება ნატოს წევრი.** ამით, მგონი, მორჩა საკითხზე მსჯელობა. **ნატოში შესვლაზე საუბარი დიდი ტყუილია, რომელიც ქართველ ერს შემოუგდეს.**

**გია ხუხაშვილი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი:**

— ვფიქრობ, **ახალი გამოკითხვის ჩატარება ნატოში შესვლასთან დაკავშირებით აუცილებელია, რადგან ხშირად ხდებოდა ყოფილი სოციოლოგიური კვლევების მანიპულირება წინა ხელისუფლების დროს.** გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს, მაგრამ არა მგო-

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არავინ ვიცით, რა იქნება 50, 100 წლის შემდეგ. ამჟამად კი არ განიხილება საერთოდ ეს საკითხი. შარშან, დეკემბერში ნატოს დასავლელმა ექსპერტმა თბილისში განუცხადა მთელ დარბაზს, რომ საქართველოს ნატოში აღარასდროს მიიღებენო, ხაზგასმით თქვა სიტყვა „აღარასდროს“.**



## სანდრო ბრეგაძე: შევარდნაძემ კი არ მიაკაკუნა ნატოს კარზე, საერთოდ დახურა ნატოს კარი, სააკაშვილმა კი საბოლოოდ დაგმანა

**სანდრო ბრეგაძე, მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი:**

— არა მგონია, რომ უახლოეს ხანებში საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდეს. თუ ეს ვინმეს ჰგონია, მათ ან ჩემზე მეტი ინფორმაცია აქვთ, ან ილუზიებით ცხოვრობენ. როდესაც 2003 წელს პლებისციტი ჩატარდა ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, მოსახლეობის განწყობა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სხვა იყო, ვიდრე დღესაა. ჩემდა სამწუხაროდ, **„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დასავლური ღირებულებების დევალვაცია მომხდარიყო საქართველოში** და ბევრმა იმ ადამიანმა, რომლებიც წარმოადგენდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში, იმით, რომ სააკაშვილის უკანონო რეჟიმის „გაპრავება“ მოახდინეს, დათვური სამსახური გაუწიეს მასვე. **ევროსტრუქტურებისკენ სწრაფვა მე ნორმალურად მიმაჩნია, რადგან საქართველოს მომავალს ამაში ვხედავ,** მაგრამ, თუკი ხელახალი პლებისციტი ჩატარდება ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ამის წინააღმდეგი არ ვიქნები. ეს ლოგიკურიც იქნება, აუცილებელია მოსახლეობის ამჟამინდელი განწყობის გარკვევა ნატოსთან მიმართებაში.

რაც შეეხება იმას, რომ ნატოს კარზე შევარდნაძემ მიაკაკუნა, და სააკაშვილმა ნატოს კარი გააღო, ვფიქრობ, ბატონ უსუფაშვილს ძალიან გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს შევარდნაძის როლზე საქართველოს ისტორიაში, ასევე სააკაშვილის როლზეც. **შევარდნაძემ კი არ მიაკაკუნა ნატოს კარზე, საერთოდ დახურა ნატოს კარი, სააკაშვილმა კი საბოლოოდ დაგმანა.** არ ვიცი, საიდან მოიტანა უსუფაშვილმა მოსაზრება, რომ სააკაშვილმა ნატოს კარი გააღებინა. ეს შეყვანა ნატოს კარზე დაკაკუნებაა, ესე იგი დსთ ნატო ყოფილა. და თუ ეს ასეა, საერთოდ აბსურდის თეატრში ვცხოვრობთ, ასე გამოდის. ვფიქრობ, ისეთი განცხადებები, რომელთაც ივანიშვილი და უსუფაშვილი აკეთებენ ნატოსთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ილუზორული და არარეალურია.

## გია ხუხაშვილი: ახალი გამოკითხვის ჩატარება ნატოში შესვლასთან დაკავშირებით აუცილებელია



ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილს ძალიან კარგი რამ უქნია. მან **აგვისტოს ომით, არჩევნების გაყალბებით, პირსისხლიანი მეთოდებით, რომლითაც ის ქვეყანას მართავდა, დაგმანა ნატოს კარი და შეუძლებელი გახადა ნატოში საქართველოს გაწევრიანება.**

ამ ბოლო ხანს უცნაურად მიმაჩნია ის განცხადებები, რომელთაც ახალი ხელისუფლება სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიმართ აკეთებს. **სააკაშვილი არც მსხვერპლია და არც ნატოს კარის გამღები.**

რაც შეეხება შევარდნაძეს, ძალიან მაინტერესებს, როგორ დააკაკუნა ნატოს კარზე, როცა იმის გამო, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაემხო და ზვიად გამსახურდია მოეკლა, დსთში შეიყვანა საქართველო. თუ „ესენგეში“ საქართველოს

ნია, რომ მისი დამკვეთი ხელისუფლება უნდა იყოს. თუ ვინმეს აინტერესებს ამ გამოკითხვის ჩატარება, ძნელი არაა და შეუძლია დამოუკიდებლად მოაგვაროს ეს საკითხი.

გამოკითხვებში, რომლებიც ამ თემაზე ჩატარებულა, კითხვაზე — გსურთ თუ არა ნატოში გაწევრიანება? — პასუხი ძირითადად დადებითი იყო. ქართველი მოსახლეობის პოზიცია ამ შემთხვევაში გასაგებია იმ მხრივ, რომ გამომდინარე იქიდან, თუ რა პრობლემები გვაქვს დღეს რუსეთთან, ადამიანები, ბუნებრივია, ფიქრობდნენ ქვეყნის უსაფრთხოებაზე, რომ თავდაცის გარკვეული საშუალება არსებობდეს და ასეთ საშუალებად განიხილება ნატო. ასე რომ, აქ გასაკვირი არაფერია.

**— რამდენად რეალურია ის, რომ საქართველო მალე გახდება ნატოს წევრი ქვეყანა?**

— ნატო არ გახლავთ სამხედრო ბლოკი. მას აქვს თავისი პოლიტიკური, ძალიან სერიოზული პრობლემები, რომლებიც გულისხმობს დემოკრატიის საკმაოდ მაღალ სტანდარტებს. სააკაშვილის რეჟიმი, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად საუბრობდა ნატოში გაწევრიანებაზე, ფაქტობრივად, პოლიტიკურ კონტექსტში აბსოლუტურად საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა. არღვევდა იმ პოლიტიკურ სტანდარტებს, რომლებიც ნატოში შესვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. **ქვეყანას დასჭირდება გარკვეული გზის გავლა, რათა დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნით ნატოში შესვლის რეალური შანსი გაჩნდეს.** ზუსტი პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება, იმიტომ, რომ ეს მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული. ჩვენ შეიძლება მივისწრაფვოდეთ სტანდარტებისკენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნატოში შესვლის გადაწყვეტილების მიღება თვითონ მათზეა დამოკიდებული და არა ჩვენზე. უნდა ვეცადოთ, რომ ბურთი მათ მოედანზე გადავისროლოთ. შევასრულოთ ყველა სტანდარტი, და რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამის შემდეგ ალიანსი, ვნახავთ. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, მათი უარის თქმის მიზეზები მოვხსნათ. დაახლოებით ასე შემიძლია მოვლენების განვითარებაზე საუბარი. **დღეს იმის პროგნოზირება, რამდენ ხანში შევალთ ნატოში, ჩემი აზრით, შეუძლებელია.**

## პეტრე მამრაძე: ნატომ სრული გარანტია მისცა რუსეთის მთავრობას, რომ საქართველოს აღარ მიიღებს თავის რიგებში



**პეტრე მამრაძე, ექსდეპუტატი, „სტრატეგიული მართვის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— არჩევნების პარალელურად ჩატარდა გამოკითხვა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მახსოვს, ადამიანები როგორ აყალბებდნენ მაშინ არჩევნებს და როგორ ელოდებოდნენ ამ გაყალბებული არჩევნების შედეგებს. ასე აიყვანეს ნატოში შესვლის მსურველთა რიცხვი 77%-მდე. ის არჩევნები მაშინ სააკაშვილმა საქართველოს ყველა ქალაქში წააგო და ნატო მაშინ ასოცირებული იყო სააკაშვილთან. მაშინ ეს მათი აშკარა ჩავარდნა იყო. შემდეგ ამ საკითხზე მრავალი გამოკითხვა ჩაატარეს, რომლებმაც გვაჩვენა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ნატოში შესვლას მხარს უჭერს. გამოკითხულთა **უმრავლესობამ, ალბათ, არც იცის, რეალურად რას ნიშნავს ნატოში შესვლა. ინფორმაცია ნატოს შესახებ ძალიან აკლია ჩვენს საზოგადოებას.** ზოგადად იციან, რომ სამხედრო ბლოკია და კარგია ჩვენი ქვეყნისთვის.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ, რაც სააკაშვილმა წამოიწყო ომი, რომელიც მანიპულირებული იყო პუტინის ჩეკისტური რეჟიმის მიერ, რომელიც ცნობილი კრახით დასრულდა — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული ჯარები ჩადგა, ამ რეგიონების დამოუკიდებლობა ცნო რუსეთმა, რომელიც უშიშროების საბჭოს წევრია, ნატოს ქვეყნებმა მიიღეს ერთხმად, რომ საქართველოს ნატოში არ მიიღებენ. გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. **არავინ ვიცით, რა იქნება 50, 100 წლის შემდეგ. ამჟამად კი არ განიხილება საერთოდ ეს საკითხი. შარშან, დეკემბერში ნატოს დასავლელმა ექსპერტმა თბილისში განუცხადა მთელ დარბაზს, რომ საქართველოს ნატოში აღარასდროს მიიღებენო, ხაზგასმით თქვა სიტყვა „აღარასდროს“.** სასაცილო იყო, როცა სააკაშვილის მიერ გაკონტროლებულმა არასამთავრობოებმა კამათი დაუწყეს. კაცი იქიდან ჩამოვიდა, ნატოს წარმოადგენდა, გეუბნება პირდაპირ, რომ არ მიგიღებენ ნატოშიო და ესენი აპროტესტებდნენ.

მექანიზმი ასეთია: **ნატოს ქვეყნებს არ შეუძლიათ, რომ ეს გამოაცხადონ ოფიციალურად, ვინაიდან ბუქარესტის სამიტზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კარი ღიაა და საქართველო და უკრაინა უსათუოდ გახდებიან ნატოს წევრები და ნატო ამ ოფიციალურ ხაზს ვერ გადაუხვევს.** რომ გადაუხვიოს, უნდა აღიაროს, რომ რუსეთის გამო ამას არ აკეთებს, ეს კი იგივეა, რომ ნატომ გამოაცხადოს საკუთარი დაშლის შესახებ. ნატო კი პირიქით — იმას ამბობს, რომ ვერც რუსეთი, ვერც სხვა ქვეყანა ვერ უკარნახებს მას, ვინ უნდა შევიდეს ამ გაერთიანებაში. ამას, როგორც დაზუთხულ გაკვეთილს, ისე გაიმეორებენ ყოველთვის. შესაბამისად, საქართველოს მთავრობაც ხშირად იძულებულია, რომ ეს გაიმეოროს. ამავე დროს **ნატომ სრული გარანტია მისცა რუსეთის მთავრობას, რომ საქართველოს აღარ მიიღებს თავის რიგებში და ამის შემდეგ მხარეები სუფთა პიარრეჟიმში გადავიდნენ.** ესაა ჩაკეტილი წრე. ეს მხოლოდ ჩემი ნააზრევი არაა. ნატოს კარი ჩვენთვის ჩაკეტილია. დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა, დამოუკიდებელი სასამართლოები და მედია — ეს ყველაფერი ნატოს სტანდარტებში შედის და იმის გამო, რომ ჩვენ შანსი არ გვაქვს ნატოში შესვლის, არ უნდა ვეცადოთ, რომ არ მივაღწიოთ ამ სტანდარტებს.

ნებისმიერი თარიღი დამისახელეთ, ახლა ხომაა 2013, შემიძლია გითხრათ, რომ არც 2015-ში, არც 2025-ში საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა არ იქნება.

**— ანუ ბიძინა ივანიშვილის განცხადება ნატოში სწრაფად შესვლასთან დაკავშირებით მხოლოდ განცხადებაა და სხვა არაფერი?**

— ბატონი ბიძინა საქმის კურსში ძალიან სწრაფად შედის. მოგეხსენებათ, წლების მანძილზე ის ერთ-ერთი ცნობილი ქველმოქმედი იყო. არჩევნების შემდეგ კი პრემიერად მოგვევლინა. სწორი მიდგომა აქვს. ისტორიისთვის 50 წელი არაფერია. **ვისაც გერმანიის გახლეჩა ახსოვს, ის ადამიანები მის გაერთიანებასაც მოესწრნენ. ცოტა ხანში, შესაძლოა, რუსეთში ისეთი ცვლილებები მოხდეს, რომ ყველაფერი საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალოს.** 20 წელია, ამ პროცესებში ჩართული ვარ. რასმუსენმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა, შარშან, გვიან შემოდგომაზე „ნეზავისიმაია გაზეტა“-სთან ინტერვიუში კორესპონდენტის შეკითხვას — შესაძლებელია თუ არა ოდესმე საქართველო გახდეს ალიანსის წევრი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე? — უპასუხა, რომ ეს ,,საკმაოდ ჰიპოთეტური შეკითხვაა“.

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**

## «რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გარეშე კონფლიქტის გადაჭრა წარმოუდგენელია»

**კავკასიის პროექტების დირექტორს, კრიზისის ჯგუფის წარმომადგენელს — ლოურენს შიითსს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზების გარეშე კონფლიქტების გადაჭრა ვერ წარმოუდგენია.**

ამის შესახებ კავკასიის კრიზისის ჯგუფის წარმომადგენელმა ლოურენს შიითსმა „ქორთიარდ მარიოტში“ ნატოს „როუზ-როუსის“ 83-ე სემინარზე განაცხადა, რომელიც საქართველოში მეოთხედ იმართება.

**„რუსეთ საქართველოს ურთიერთობები სხვა ქვეყნების ურთიერთობებისგან ძალიან განსხვავდება, არავინაა ისეთი სულელი, რომ დაიჯეროს, ეს კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზების გარეშე გადაიჭრეს. აუცილებელი იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დალაგება სავაჭრო ეკონომიკური მიმათულებით, რასაც ახალი მთავრობა აკეთებს. გასაუმჯობესებელია ურთიერთობები დიპლომატიური კუთხით, საელჩოს გახსნა და სხვა თემები გარკვეულწილად რისკის შემცველიცაა, თუმცა რისკზე წასვლა შეიძლება“,** — განაცხადა შიითსმა.



## «ნაციონალების» იდიოტებად მოხსენიება ლეგიტიმურია

**საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ფრანგულ გამოცემა „Le Monde“-ში გამოქვეყნებულ პრემიერის წერილს აფასებს. პრემიერმა „ნაციონალური მოძრაობა“ იდიოტებად მოიხსენია.**

„ესენი არიან იდიოტები, რომლებსაც არ ესმით, რომ მათი დრო წარსულს ჩაბარდა. ისინი უნდა გაჩუმდნენ ან ბოდიში მოიხადონ“, — პრემიერის ამ განცხადებას საგარეო საქმეთა მინისტრი ლეგიტიმურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ არაკორექტული გამონათქვამები მათი გუნდის მიმართაც გაკეთდა.

**„იმდენი არაკორექტული რამე მოვისმინეთ ჩვენ შესახებ გასული წლის განმავლობაში, იმისი გადაჭარბება, ძალიან რთული იქნება. აზრი, რომელიც არის გამოთქმული, აბსოლუტურად ლეგიტიმურია“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

საქართველო და მსოფლიო
მხილება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა უკვე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გაკეთება. პირველი არის ის, რომ მიშა და მისი გუნდი ჩვენი დროის პირწავარდნილი ტროცკისტები არიან, ლეიბა ბრონშტეინის უმთავრესი პრინციპის — რევოლუციის უწყვეტობის — ცხოვრებაში გამტარებლები: სხვადასხვა ქვეყანაში „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზების გზით მსოფლიოში ამერიკის გაბატონებისთვის ვარდ-ყვავილოვანი ფიანდაზის დამგებნი.**

„რუსთავი-2-მა“ თავი მოიქაჩლა და ერთ კვირაში ქვეყნის ორი უმაღლესი ხელმძღვანელი თავის ეთერში დასვა — ნინო შუბლაძის პროგრამაში „პოზიცია“.

პუბლიკაცია, რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ, ერთგვარი გამოხმაურებაა სააკაშვილისა და ივანიშვილის ეთერში გამოსვლების გარკვეულ მომენტებზე.

სენსაციური გამოხმაურება.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის დაცვის სამსახურის მიერ სააკაშვილისა და მისი უახლოესი წრის სიამოვნებისთვის ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის შესახებ საუბრისას განაცხადა: ჯერ სადა ხართ, სულ მალე შეიტყობთ, როგორ და რაში ანაწილებდნენ სახელმწიფოს ფულს ბოკერია, სააკაშვილი და სხვებიო. დაახლოებით ასე.

ინტრიგის კვანძი შეიკრა.

მაშ, ყურადღებით წაიკითხეთ!


კონსტანტინ ლებედევი

# როგორ გაყიდა «ნაცმოძრაობამ» ბელარუსული ოპოზიცია

## რუსი ლიბერალის სკანდალური აღიარება

**ამ დღეებში ბოლოტნაიას მოედანზე საპროტესტო დემონსტრაციის ერთ-ერთ ორგანიზატორს — კონსტანტინ ლებედევს 2,5 წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა მიუსაჯეს. ეს, შედარებით მსუბუქი განაჩენი სასამართლომ გამოიტანა გამოძიებასთან ლებედევის თანამშრომლობის გათვალისწინებით. დღეს გთავაზობთ ძირითად მომენტებს მისი ინტერვიუდან, რომელიც ფაქტობრივად აღიარებითი ჩვენებაა.**

— ვაღიარებ, რომ სერგეი უდალცოვთან, ლეონიდ რაზვოზჟაევთან და გივი თარგამაძესთან ერთად ვმონაწილეობდი 6 მაისის არეულობის ორგანიზებაში. ვაღიარებ, აგრეთვე, რომ ვამზადებდით მომავალ მასობრივ არეულობას...

**— დაკითხვისას გაწამებდნენ?**

— არა, არ მაწამებდნენ.

**— მაშ, რატომ გადაწყვიტეთ გარიგება?**

— დავრწმუნდი, რომ გამომძიებელს აქვს ჩვენი ბრალეულობის დამადასტურებელი ამომწურავი მასალები..

...არჩევანი ასეთი მქონდა: ან რქებით უნდა მივწოლოდი, და მაშინ ყველაფერი ძალიან სამწუხარო შედეგით დამთავრდებოდა — ათწლიანი მაქსიმალური ვადით. მაგრამ არსებობდა ალტერნატივა — მეღიარებინა ის, რაც ცხადი და უეჭველი იყო, სწორედ რომ — ცხადი და უეჭველი. არც ერთი ტყუილი სიტყვა ჩემს ჩვენებებში არ მითქვამს, არავისთვის ცილი არ დამიწამებია... ვინმეს ბედს რომ დაამძიმებდა, ისეთი ჩვენება არ მიმიცია... ჩვენ ვიცოდით, რაზეც მივდიოდით და რა სერიოზული შედეგებიც მოჰყვებოდა ასეთ მასშტაბურ ჩანაფიქრს.

**— როგორ მასშტაბს გულისხმობდით?**

— ძლიერი მემარცხენე პარტიის შექმნას, უცხოეთიდან ფულის მიღებას, ყოველ შემთხვევაში, ამაზე თარგამაძე ლაპარაკობდა, და, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლების ორგანოებში შესვლას, ანუ, ფაქტობრივად, რუსეთის კომპარტიის ჩანაცვლებას...

**— როგორ გაიცანით გივი თარგამაძე?**

— გავიცანი 2005 წელს უკრაინაში, მაიდანის დასასრულს. ბიჭები „შავი პორადან“ მენდნენ, გამაცნეს თავიანთი სპონსორები და მასწავლებლები — თარგამაძის გუნდი. მენდნენ იმიტომ, რომ სიტყვით კი არა, საქმით დავამტკიცე, რომ ბევრი რამის უნარი მაქვს და გაკეთებაც შემიძლია.

**— რა საქმით?**

— ... ქუჩებში გამოგვყავდა ინსტიტუტები. დონეცკელ ბიჭებს კონფლიქტების დროს ვეუბნებოდით: „ჩვენ მოსკოვიდან ვართ, პუტინის მოწინააღმდეგეები“. ყველა საქმეში ვმონაწილეობდით.

**— როდის და რისთვის მიიღეთ პირველი ფული თარგამაძისგან?**

— 2006 წელს ბელარუსში მუშაობისთვის: მე ვაკვირდებოდი, როგორ ხარჯავდნენ სახსრებს ადგილობრივი აქტივისტები. დავალებები მარტივი იყო: უნდა შეგვემოწმებინა, გააკრეს თუ არა პლაკატები, სინამდვილეში რამდენი ადამიანი მივიდა აქციაზე, უნდა დავლაპარაკებოდით ამა თუ იმ ადამიანს, გადაგვეცა ინსტრუქციები...

**— რატომ გადაწყვიტა საერთოდ თარგამაძემ ემუშავა თქვენთან — პროკრემლური ორგანიზაციის ყოფილ წევრთან, რომელსაც უმაღლესი განათლება არ გააჩნია და კომუნისტური შეხედულებები აქვს?**

— ვფიქრობ იმიტომ, რომ ბიჭებმა „პორადან“ *(„კმარას“ უკრაინული ანალოგი. — რედ.).* თავისი სიტყვა თქვეს. თანაც, ყველასი თუ შეგეშინდა, ვერავითარ საქმეს ვერ გააკეთებ. ჩვენ ვურთიერთობდით, მათ ნახეს, რომ რწმენის კაცი ვარ, მაქვს ამბიცია და ვიცი, რა უნდა ვაკეთო. ის, რომ მაიდანს ჩვენი ამდენი დრო შევწირეთ, მათთვის ეკზოტიკა იყო, ჩვენისთანა ადამიანები მაშინ იშვიათობა იყო.

**— და მაინც, იგი თქვენ კარგად არ გიცნობდათ, ერთი წლის თავზე კი უკვე ფულს გაძლევდათ. საიდან ასეთი დიდი ნდობა?!**

— რთულია ამის ახსნა. ხდება ასე. თანაც თავდაპირველად იქ ნამცეცები იყო.

**— რამდენს იღებდით ბელორუსში მუშაობისთვის?**

— სასტუმროში ცხოვრებისა და კვების ყველა ხარჯს გვინაზღაურებდნენ და ყოველ კვირაში ათას ევროს გვაძლევდნენ. ცოტა ფულს მიხდიდნენ იმაშიც, რომ ვუწერდი რუსეთში პოლიტიკური სიტუაციის ანალიზს.

**— როგორ მოვიდა რუსეთში თარგამაძის გამოგზავნილი ფული?**

— ჩემ მიერ შექმნილი ორგანიზაცია „სმენის“ მეშვეობით. ეს ორგანიზაცია ფინანსდებოდა საქართველოდან და ევროპიდან შემოსული არაოფიციალური გრანტებით.

**— უდალცოვმა თარგამაძე როგორ გაიცნო?**

— თარგამაძის ინიციატივით. 2011 წელს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შემდეგ, როცა საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, იგი ფრიად აღეგზნო და ამ საქმეში შეძრომა მოინდომა. როგორ — იგი იყოს და განზე იდგეს?! თარგამაძე მეუბნებოდა: „მე ძალიან მომწონს უდალცოვი“. მე მისი მესმოდა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მაშინ სერიოგასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა მქონდა. მათ გადაწყვიტეს ფული შეეთავაზებინათ მისთვის. ეს მე ხელს მაძლევდა: მართალია, სერიოგასთან დაპირისპირებული ვარ, მაგრამ ეს რაღაც მემარცხენეობაა და რაღაც გავლენის მოხდენა მაინცაა შესაძლებელი.

**— ალექსანდრ ნავალნი თარგამაძეს არ აინტერესებდა?**

— მკითხა ნავალნის შესახებ. ვუპასუხე, რომ ეს ის ვარიანტი არ არის, ამაზე არ წავა-მეთქი. მართლაც უარს იტყოდა.

**— იმიტომ, რომ ნავალნი უდალცოვზე ჭკვიანია?**

— მას რესურსების პრობლემა არ აქვს. დღეის გადმოსახედიდან შეიძლება ვთქვა: რად აიტეხა ეს ყველაფერი?..

**— რაზვოჟაევსა და უდალცოვს არ ეუხერხულებოდათ, რომ ფული საქართველოდან იყო?**

— რაგინდ გასაკვირი იყოს, არა. მახსოვს, ერთმანეთს შევხვდით „იოლკი-პალკიში“: უნდა გადაგვეწყვიტა, წავსულიყავით თუ არა შეხვედრაზე. მე მათ პატიოსნად ვუთხარი: ეს ადამიანი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა, ეს იქნება ნაბიჯი ჩვენთვის სრულიად უცხო სამყაროში, მოდით, დავფიქრდეთ, გვინდა ეს თუ არა. ახლა ვფიქრობ, იქ ლიონია რომ არ ყოფილიყო, არაფერი მოხდებოდა. მან დაინახა, რომ მიეცემოდა შესაძლებლობა საყვარელი საქმის კეთების — პოლიტიკის, ამიტომაც თარგამაძესთან შეხვედრის ყველაზე აქტიური ლობისტი გახდა. მაშინ ფულზე რომ არ გვეფიქრა და იმაზე, რომ ეს საქმე ათწლიანი პატიმრობით გვემუქრებოდა, ჩვენ დავხრიდით თვალებს, ავდგებოდით და დავიშლებოდით, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობდით 6 მაისის არეულობამდე.

**— რამდენჯერ შეხვდით მინსკში თარგამაძეს უდალცოვთან და რაზვოზჟაევთან ერთად?**

— ამ შემადგენლობით — სამჯერ. პირველად 2012 წლის მარტში. მივედით დეპუტატ ილია პონომარიოვის მანქანით. გავიცანით, დავლიეთ. შევეცადეთ, დაგვეწერა რაღაც ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ უკვე მთვრალები ვიყავით. გივისთან ყოველთვის ბევრი ხალხი იყო, მას ჩვეულებად ჰქონდა ამალით მოგზაურობა. ერთხელ სადღაც ჩავიდა 40 კაცის თანხლებით. ჩასახლდნენ სასტუმროში, ჩაუსხდნენ და დალიეს, როგორც ყოველთვის. ჩვეულებრივ, საქმეები ასე წყდება: ორ დღეს სვამენ, მესამე დღეს რამეს მოიგონებენ, შემდეგ გაემგზავრებიან. ამ 40-მა კაცმა იქეიფა და აეროპორტისკენ დაიძრნენ. სადღაა მეთაური? მთავარი კაცი სასტუმროში დარჩათ. არ გაუღვიძებიათ. იგი დარჩა და ძილი განაგრძო.

აგვისტოს ბოლოს მესამედ ჩავედით ვასილიჩთან *(თარგამაძესთან. — რედ.)* ერთად. მანამდე ერთი საღამოს განმავლობაში ლიტვაში 26 ბოთლი ღვინო ოთხმა დავლიეთ. და ამ დროს ვასილიჩი გვეუბნება: „სასწრაფოდ მივდივართ მინსკში. დაურეკე სერიოგას... ჩვენს წასაყვანად მოვიდა მანქანა დიპლომატიური ნომრებით. საჭესთან მთვრალი ჯდება ლიტვაში საქართველოს ელჩი, რომელიც ჩვენთან ერთად ამ ბოთლებს ცლიდა, და საათში 140 კილომეტრს სისწრაფით მივფრინავთ საზღვრამდე. იქ ვსხდებით სხვა მანქანაში დიპლომატიური ნომრებით, როგორც ჩანს, ბელარუსში საქართველოს ელჩის მანქანა იყო. მივედით ბინაში, ვაგრძელებთ სმას. სერიოგა და ლიონია მეორე დღეს ჩამოვიდნენ და ჩვენ ყველამ ერთად გავაგრძელეთ სმა...

**— არ გეჩვენებათ, რომ უცნაურია რევოლუციის დაგეგმვა და ასეთი ლოთობა?**

— ეს სხვა კულტურაა, ჩვენსას არ ჰგავს. თუ ქართველებთან ერთად არ სვამ, მათი მტერი ხარ. ასეთ შეურაცხად მდგომარეობაში „აგვარებდნენ“ საქმეებს. ვასილიჩი რეალურად ალკოჰოლიკია, გახრწნილი ადამიანია. როგორც აქტივისტი და სტრატეგი, იგი უკვე ჩაიჩუტა.

**— რომელი შეხვედრის ჩანაწერია ჩართული ნტვ-ს ფილმში „პროტესტის ანატომია“?**

— მეორე შეხვედრის. ივნისში... ვიყავით მე, სერიოგა, ლიონია და ჩემი ძველი თანამოსაქმე აიმალეტდინოვი... თარგამაძე და კიდევ ერთი მოჭიდავე იყო, გიორგი, რომელსაც ლუკა ბრაზის ეძახდნენ *(ფილმ „ნათლიმამას“ პერსონაჟის სახელს. — რედ.).* უზარმაზარი იყო, კარელინს ეჭიდავებოდა...

**— ეს შეხვედრა ჩაწერეთ ვიდეოკამერაზე თუ დიქტოფონზე?**

— ქართველებთან შეხვედრას ზოგჯერ მართლაც ვიწერდი აუდიოფირზე, მაგრამ ეს შეხვედრა არ ჩამიწერია. რატომ ვიწერდი? 2010 წელს, როცა კვლავ მიმიწვიეს მინსკში სამუშაოდ, უკვე ვიცოდი, რომ ისინი 2008 წლიდან შეურიგდნენ ბელარუსებს. ლუკაშენკო მაშინ ევროპისკენ შებრუნდა და მასთან ბერეზოვსკი ჩამოვიდა. ქართველები ბელარუსებს მათი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, სუხარენკოს, მეშვეობითაც შეურიგდნენ.

* * *

**აქ გავწყვიტოთ ლებედევის „აღიარებითი ინტერვიუ“ და ჩვენი პუბლიკაციის შესავალში ნათქვამს დავუბრუნდეთ, კერძოდ იმას, რომ სააკაშვილის ტელეგამოსვლის გამოხმაურებადაც შეიძლება მივიჩნიოთ დღეს შემოთავაზებული მასალა.**

**რა თქვა სააკაშვილმა, რით მოიწონა თავი, როგორც პოლიტიკოსმა, რომელმაც შეძლო ბელარუსის პრეზიდენტს ლუკაშენკოსთვის გადაეთქმევინებინა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება?**

**16 აპრილს „პოზიციაში“ ნინო შუბლაძესთან ტელესაუბარში პატივცემულმა მიხეილმა სიტყვასიტყვით განაცხადა:**

„როგორ გავაჩერეთ აღიარება ბელარუსში? ბელარუსში მართლა ვაჟკაცურად მოიქცა ლუკაშენკო. და რამდენიც არ უნდა იძახონ ეხლაო, ლუკაშენკო, ასეთი და ისეთი, ჩვენთან მიმართებაში მოიქცა ვაჟკაცურად. პრაქტიკულად გამზადებული იყო აღიარება, არა მხოლოდ დიდი დაწოლის ქვეშ იყო, რამდენიმე მილიარდს აძლევდნენ. და მოგვიხდა... და რაღაცნაირად მოვახერხეთ ამის გაჩერება. ამ ყველაფერს აქვს ფასი თავისი...“

**ყურადღება მიაქციეთ ბოლო ფრაზას: „და რაღაცნაირად მოვახერხეთ ამის გაჩერება. ამ ყველაფერს აქვს ფასი თავისი“.**

**დავუბრუნდეთ ლებედევს, რომელიც აგვიხსნის, რას ნიშნავს ეს „რაღაცნაირად“ და რა ფასზეა ლაპარაკი?**

**ყურადღება!**

**ლებედევი ამბობს:**

— 2010 წელს თარგამაძემ მომიყვა, რა პირობით შერიგდნენ: მათ ძალიან სურდათ, ლუკაშენკოს რუსეთისთვის ზურგი შეექცია. ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ მათ ხელთ არსებული ყველა მონაცემი ბელარუსის ოპოზიციის შესახებ, რომელთანაც ისინი ძალიან დიდხანს მუშაობდნენ და ბევრი ფულიც დაახარჯეს, უნდა გადაეცათ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისთვის. ქართველებმა დაასახელეს მათ მიერ დაფინანსებული ყველა აქცია და „ჩაუშვეს“ ყველა ბელარუსი ოპოზიციონერი, ვისთანაც მუშაობდნენ.

2010 წლის არჩევნებზე მომცეს დავალება, შემომევლო მეგობარი ოპოზიციონერები, გამეგო მათი გეგმები და მომეყოლა მათთვის. მას მერე ვიყიდე დიქტოფონი და დავიწყე ამ საუბრების ჩაწერა. მოვასმენინე ადგილობრივ მეგობარ-აქტივისტებს. ისინი, რა თქმა უნდა, გაშტერდნენ. უსიამოვნო სიტუაცია იყო.

**— რატომ არ გაწყვიტეთ ყოველგვარი კონტაქტი თარგამაძესთან ამ ისტორიის შემდეგ?**

— ...მათ ჰქონდათ ფული. ჩვენთვის, მემარცხენეებისთვის ეს ისეთი იშვიათობაა. გადავწყვიტე, რომ არ შეიძლება დავკარგო რე- ▶

ვაი ქვეყნისაგან
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოაბიტაცია დღეს მმართველ უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უფრო გარიგების, ჩადენილი დანაშაულის პატიება-არპატიების, დასჯა-დაუსჯელობის შესახებ შეთანხმების ხასიათს ატარებს, ვიდრე თანაცხოვრების გზების ძიების**



◀ სურსი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის საუკეთესო მეგობრის სახით.

**— მორალურად არ იტანჯებოდით?**

— ჩემთვის ყველაფერი მარტივი იყო. რეჟიმთან ბრძოლისთვის თითოეული კაპიკი წმინდაა... თარგამაძეს რევოლუციების მომწყობის იმიჯი აქვს, სადაც გინდა, მზადაა... ისინი გვეუბნებოდნენ: „თქვენ ახლა კარგად იმუშავებთ, ჩვენ ლონდონში გაგამგზავრებთ და თქვენი პარტიისთვის მოგცემთ ფულს“. შეიძლება ჩვენ ერთმანეთს ელემენტარულად ვატყუებდით... ბუნებრივია, რომ ჩვენ და თარგამაძეს განსხვავებული მიზნები გვქონდა, მაგრამ, რახან ამ ვიწრო სივრცეში ერთმანეთს შევხვდით, შევეცადეთ რაღაც გაგვეკეთებინა, და აი შედეგიც. მე არ ვფარისევლობდი, სერიოგასთან და ლიონიასთან პატიოსნად ვიქცეოდი, იმთავითვე ვუთხარი, ვინ იყვნენ ის ადამიანები. გივისაც ვუთხარი, იმედი არ ჰქონოდა, რომ ქუსლებს ავულოკავდით...

**— ...თქვენ ქართველებს ზოგჯერ იწერდით დიქტოფონით. ვიდეოკამერით არასოდეს ჩაგიწერიათ?**

— არა. აზრი არ ჰქონდა. დიქტოფონი საჭირო იყო იმისთვის, რომ, თუ გადაწყვეტდნენ, მოგვქცეოდნენ ისე, როგორც ბელარუსებს, მე შევძლებდი მათზე გარკვეული ზემოქმედება მომეხდინა. ბელარუსის ისტორიამ მაჩვენა, რომ ადამიანები თავიანთი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ. ჩვენ და მათი ინტერესები მხოლოდ ერთ პუნქტში გადაიკვეთება: მათ სძულთ პუტინი და ჩვენც გვძულს იგი. ამიტომ არ ვენდობოდით.

**— ვიდეოკამერაზე გკითხეთ იმიტომ, რომ თქვენმა მეგობრებმა თქვენს ბინაში იპოვეს ფარული კამერა, რომელიც პოლოს მაისურში იყო ჩამონტაჟებული. სად ისარგებლეთ ამ კამერით?**

— კამერა სახელმწიფო სათათბიროს 2007 წლის არჩევნების დროს დამკვირვებლებისთვის იყიდეს. მაშინ ღია გადაღებისთვის უბნებიდან აგდებდნენ, ჩვენც გადავწყვიტეთ შეგვეძინა... კამერას ღილის ფორმა აქვს...

**— მაშ, რა კამერა იყო მინსკში?**

— ჩემი აზრით, ტელევიზორში იყო ჩამონტაჟებული.

**— თქვენ თუ არ იწერდით, ვინ იწერდა?**

— ვარიანტი ბევრია, მაგრამ მგონია, თვითონ ქართველები იწერდნენ, ყოველი შემთხვევისთვის...

**— რუსეთში როგორ მოხვდა ეს ჩანაწერი?**

— არის ვერსია, რომ ლონდონიდან შეიტანეს... თუ გივიკოს მართლა ჰქონდა კავშირი ბოროდინთან (*მოსკოვის ბანკის ყოფილი პრეზიდენტი. — რედ.*), მას შეეძლო წარედგინა ეს ჩანაწერი იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ჩვენთან ერთად მუშაობს. გივი ამბობდა, რომ ბოროდინისგან ნახევარი ლიმონი მიიღო, მაგრამ არა მგონია, რომ ის ფული, რომელსაც გვაძლევდა, ბოროდინის იყო... ეშმაკმა იცის, ვისი იყო.

**— მაგრამ არა მისი პირადი...**

— არა, რა თქმა უნდა, ერთი კაცისთვის მეტისმეტი ჩანს. საქართველოს მთავრობის ფული? საეჭვოა: საამისოდ რა მუხლი უნდა იყოს ბიუჯეტში?! ერთი სიტყვით, გივი დარწმუნებით მეუბნებოდა, რომ ნახევარი მილიონი მას უკვე აქვს.

**— რატომ განიხილავდით თარგამაძესთან ერთად ტრანსციმბირის მაგისტრალის აფეთქებას?**

— ...ლიონიამ მოინდომა ქართველების გაბითურება ფულის გამო, ჩემი აზრით, მოინდომა, თავი იმაზე მეტ გიჟად წარედგინა, ვიდრე სინამდვილეში იყო. რა თქმა უნდა, მაგისტრალის აფეთქების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. საერთოდ კი, ბევრი რამ, რასაც თვით ქართველები გვთავაზობდნენ, არარეალური იყო. მაგალითად, გვთავაზობდნენ რუსეთის ფსბ-ს შენობისთვის კატაბალახის (ვალერიანის) წვეთები შეგვესხა, რათა კატებს იქ მოეყარათ თავი, ან ცაში გაგვეშვა ბუშტი პუტინის გამოსახულებით და დაგვეხვრიტა იგი...

**— რამდენს დაგპირდნენ და რამდენს გიხდიდნენ რეალურად?**

— მოლაპარაკებული ვიყავით 35 ათას დოლარზე თვეში. თანხა დიდი არ არის, მაგრამ მემარცხენეებისთვის ბევრს ნიშნავს. ფულს ტრანშებით მე მიგზავნიდნენ: მეტროს გადასასვლელში ვყიდულობდი სიმბარათიან ტელეფონს, ვრეკავდი, მაცნობებდნენ შეხვედრის ადგილს, მივიდოდი, იქ მოსულ ადამიანს ვაჩვენებდი პასპორტს და კონვერტში ჩადებულ ფულს ვიღებდი...

ივნისში, 6 მაისის შემდეგ, მივიღეთ 90 ათასი დოლარი... აგვისტოში — ბოლო ტრანში — 42 ათასი დოლარი.

* * *

**ახლა უკვე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გაკეთება.**

**პირველი არის ის, რომ მიშა და მისი გუნდი ჩვენი დროის პირწავარდნილი ტროცკისტები არიან, ლეიბა ბრონშტეინის უმთავრესი პრინციპის — რევოლუციის უწყვეტობის — ცხოვრებაში გამტარებლები: სხვადასხვა ქვეყანაში „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზების გზით მსოფლიოში ამერიკის გაბატონებისთვის ვარდ-ყვავილოვანი ფიანდაზის დამგებნი.**

**იყვნენ და არიან მარიონეტები: ასეთ მასშტაბებს არა მარტო ვერ შესწვდებოდნენ, ვერც გაიაზრებდნენ. ამიტომაა, რომ თოჯინებით მოთამაშეები, რომელთაც რუსულად კუკლოვოდები ჰქვია, თავგამოდებით ცდილობენ, შეინარჩუნონ ისინი პოლიტიკური სცენის თუნდაც ბნელ კულისებში: რა იცი, როდის დასჭირდებათ ძაფების ათამაშება.**

**მათი დაჟინებული კოაბიტაცია ამას ადასტურებს.**

**მესამე დასკვნა, თავადაც კარგად მოგეხსენებათ: საქართველო და მისი მკვიდრი მოსახლეობა ფეხებზე ეკიდათ და ყველა მათი განცხადება-დაპირება საქართველოს გაბრწყინების შესახებ ისეთივე სიცრუე იყო, როგორიც სააკაშვილის პრეზიდენტობა და თარგამაძის ჩე გევარობა.**

**დაბოლოს, რაც მთავარია, პრიმიტიული ჩამშვებები და გამყიდველები აღმოჩნდნენ, ფლიდები და შუბლის ძარღვგაწყვეტილი „დანოსჩიკები“.**

**ოხრანკის აგენტები.**

**ბელარუსის მაგალითმა ეს თვალნათლივ დაგვანახა.**

**ბატონი ბიძინა კი უთუოდ სიტყვას შეასრულებს და, ამ კვირაში თუ არა, მომავალ კვირას დანარჩენს გვეტყვის.**

**„КОММЕРСАНТЪ“-ის მიხედვით**

# ცისფერი ლაჟვარდი

**ყვერული ყიოდა მამლის ჯინაზე პალე ბურბონის სანახებში და ფალცეტი ამოსდიოდა ყელიდან. ბურბონების სასახლეში საფრანგეთის ეროვნული კრება მუშაობს. 138 საათის განმავლობაში მსჯელობდნენ საფრანგეთის კანონმდებლები, მიეღოთ თუ არა ერთსქესიანთა ქორწინების კანონი. 138 საათის განმავლობაში ცდილობდა პარლამენტი კაცობის შენარჩუნებას და ვერ შეძლო: საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ საბოლოოდ დაამტკიცა ეს სკანდალური, სამარცხვინო, პირდაპირ ვთქვათ, ყვერულების საამებელი კანონი. ნამამლარების!**




**„კაცები — დაძონძილი, როგორც საავადმყოფო, ქალები — გაცვეთილი, როგორც ანდაზა“.**

ერთ დროს ვლადიმერ მაიაკოვსკის მიერ წარმოთქმული ეს ფრაზა დღევანდელ საფრანგეთს ზუსტად მოერგო, ყოველ შემთხვევაში, მისი მოქალაქეების იმ ნაწილს, რომელიც მრავალათასიან დემონსტრაციებს მართავდა ამ კანონის მხარდასაჭერად და რომელსაც ასევე მრავალათასიანი აქციებით ებრძოდა ამ ქვეყნის მოსახლეობის წარუყვნელი ნაწილი.

მაგრამ ვერაფერს გახდა.

**რა დაემართა საფრანგეთს, რატომ გადადგა ჭკუიდან?**

„ეს ყველაფერი, ვფიქრობ, ხდება იმიტომ, რომ ხალხს წარმოუდგენია, თითქოს ადამიანის ტვინი თავშია მოთავსებული; სრულიადაც არა: იგი ქარს მოაქვს კასპიის ზღვის მხრიდან“, — გიპასუხებთ ნიკოლაი გოგოლის „გიჟის ჩანაწერების“ გმირი აქსენტიი პოპრიშჩინი.

ამ ქარის ფრთებზე ამხედრებულმა ტვინმა ეს გიჟი ესპანეთის მეფე გახადა.

ბოდვითი წარმოდგენით.

მაგრამ, თუ იმავე წარმოდგენით ადამიანის თავის ტვინის ცოტა დაბლა, წელს ქვემოთ გადმოტანას იკადრებ, შეიძლება საფრანგეთის პრეზიდენტობასაც რეალურად გამოჰკრა ხელი.

როგორც ეს პრეზიდენტმა ოლანდმა გააკეთა, რომელმაც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების დაპირებით მოიგო საფრანგეთის პირველი პირის წინასაარჩევნო მარათონი.

ქარი ქრის და თავქარიანობას დღეს დემოკრატიის სრულყოფა ჰქვია, სიბილწით წარყვნას — ადამიანის უფლებათა დაცვას ეძახიან, მათ შორის, — მამათმავლობასაც.

ფრანგი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, მათ შორის ისიც, რაზეც ვლაპარაკობთ, მოწმობს, რომ **დაწყებულია საზოგადოების რღვევის, ერთგვარი დანაწევრების პროცესი.** მართალია, ჯერ არ ჩანს ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც გამოწვეული იქნება ხელისუფლების საქმიანობის უკმაყოფილების მზარდი მუხტით, მაგრამ არსებული მდგომარეობის სიმყიფე აშკარად იგრძნობა **(ჟერომ სენტ-მარი, CSA-ს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის განყოფილების ხელმძღვანელი).**

ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მთავრობის დღევანდელი პოლიტიკის **პრობლემა ადამიანების ცხოვრების ფუძემდებლური მომენტებისადმი უპატივცემლობაშია გამოხატული,** რაც მოქალაქეებს წინააღმდეგობის გაწევისაკენ უბიძგებს. „ჩვენ მოწმენი ვართ სამოქალაქო საზოგადოების გამოღვიძების, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფო არ ჩაერიოს იმაში, რაც მას არ ეხება. კი **არ შეეცადოს ახალი ადამიანის შექმნას**, არამედ აღასრულოს მისი უშუალო მოვალეობა“ **(ტიბო კოლენი, ფილოსოფოსი და მწერალი).**

მიაქციეთ ყურადღება: ინტელექტუალები საფრანგეთში კატეგორიულად ილაშქრებენ ისეთი მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლის განხორციელება მიხეილ სააკაშვილმა თავისი ზეობის პერიოდში საქართველოში დაიწყო. მისი „ჩარეცხილების“ ცრუ თეორია აქედან მოდის.

საფრანგეთს ერზაცდემოკრატიის პერფომანსი ფარავს. ამის აშკარა მაგალითია პოზიციათა „კონფლიქტი“, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების გარშემო განვითარდა. საქმეში ღრმად ჩახედული ანალიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ **ეს კონფლიქტი მოჩვენებითია**, იგი ხელოვნურად არის შექმნილი და შენარჩუნებული, „რადგან ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში მიღებული წესები შეუძლებელს ხდის მემარცხენეებისა და მემარჯვენეების კოალიციის ფორმირებას; ამ შემთხვევაში *(კოალიციის შემთხვევაში. — ა.ს.)* **ყველა დაინახავდა და დარწმუნდებოდა, რომ უმსხვილეს მმართველ პარტიათა შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს“.**

ამ და ბევრი სხვა პრობლემისთვის თავის გართმევა, პოლიტოლოგების ერთი ნაწილის აზრით, შესაძლებელია **ეროვნული სოლიდარობის ახლებურად გააზრების შემდეგ (ერიკ დეშევანი, ფილოსოფიის პროფესორი).**

ეროვნული სოლიდარობის ახლებურად გააზრების წინაშე დგას ჩვენი ხელისუფლებაც. შეიძლება გვეთქვა, პოლიტიკოსებიო, მაგრამ რა ვქნათ, როცა ამ რანგში თვითაღზევებული მედროვეები გვყავს და ჭეშმარიტი მოღვაწის მოძებნა დღის სინათლეზე სანთლითაც შეუძლებელია?

ხოლო მომჩივნების რიგში გადაყვანილ მცხეთა-თიანეთის ყოფილ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს **მოძღვარი** და **წინამძღოლი** უწინდებურად ერთმანეთში ერევა. ასეთი დონეა!

კოაბიტაცია (ამ ტერმინის სწორად წარმოთქმა ვერა და ვერ შეძლო ჩვენმა პოლიტელიტამ), დღეს მმართველ უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უფრო გარიგების, ჩადენილი დანაშაულის პატიება-არპატიების, დასჯა-დაუსჯელობის შესახებ შეთანხმების ხასიათს ატარებს, ვიდრე თანაცხოვრების გზების ძიების: ცივილიზებულ (და არა ცივილურ) საზოგადოებაში როგორი უნდა იყოს ეს თანაცხოვრება, დღემდე ვერ გაგვირკვევია.

საზოგადოების **მორალური განხეთქილება თანამედროვე საფრანგეთში ორი ანტაგონისტური კლასის — მდიდართა და უპოვართა კლასების დაპირისპირებით არის გამოწვეული.** სიმდიდრე კულტურულ და ინტელექტუალურ ღირებულებათა შეძენის, ლამაზი ცხოვრების მოწყობის საშუალებას იძლევა. ვისაც აქვს, იგი სიმდიდრის გამრავლებას ისწრაფვის, ვისაც არაფერი გააჩნია, ცდილობს, მოიპოვოს. განხეთქილება, ამბობენ ანალიტიკოსები, **სტრუქტურული**, **სოციალური** და **მორალური** ფაქტორების ერთგვარი ტრიფტიქის სახით წარმოგვიდგება.

საფრანგეთი „უნდობლობის საზოგადოებად“ არის ცნობილი, ჰომოსექსუალური ქორწინების ლეგალიზაციამ ქვეყნის საფუძველთა-საფუძვლების — დემოკრატიისა და რწმენის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ მისი ეს თვისება კიდევ უფრო გაამძაფრა, **წარმოიქმნა სერიოზული კონფლიქტი დემოკრატიულ თანამედროვეობასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის.**

ფრანგულ მასმედიაში ხშირად გამეორებული მოწოდებები წინააღმდეგობის გაწევის დროს მხოლოდ მშვიდობიანი ფორმების გამოყენების შესახებ ადასტურებს, რომ აღნიშნული კანონის მიღებით გამოწვეული უკმაყოფილება შეიძლება გახდეს და გახდება კიდეც საზოგადოებრივი აფეთქების მიზეზი.

საფრანგეთმა იცის, რა ძვირად უჯდება სახელმწიფოს ასეთი პერმანენტული აფეთქებები.

**ცნობისთვის:** საფრანგეთი გახდა **მეთოთხმეტე ქვეყანა**, რომელმაც მამათმავლობა დააკანონა: პედერასტებს ოჯახის შექმნისა და შვილად აყვანის ნება დართო.

რუსეთი დაფიქრდა და დაიბადა ინიციატივა ისეთი ღონისძიებების პაკეტის შემუშავების, რომელიც არ დაუშვებს საფრანგეთის ერთსქესიანთა ოჯახებში რუსეთიდან ბავშვების გაშვილებას...

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „...გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი შეცვალეს ბუნების საწინააღმდეგოთი.**

**ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი წესი და გახურდნენ ავხორცობით ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისთვის...**

**იციან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ; მაგრამ არამარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც კვერს უკრავენ“ *(რომ. 1,26-27, 32).***

**საფრანგეთის ლაჟვარდოვანი სანაპირო კი ყვერულის გათენებული დილის ცისფერ ბურუსში უკვე გაეხვია.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველომ ფრონტზე მეომრებად გააგზავნა ზუსტად 687 ათას 590 ადამიანი! ანუ მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტი, რაც, პროპორციულად თუ ავიღეთ, მსოფლიოში ყველაზე დიდი მაჩვენებელია! თითქმის 300 ათასი ჩვენი მეომარი დარჩა ბრძოლის ველზე, ანუ ყოველი მეთორმეტე! საქართველოს მაშინდელი მოსახლეობიდან საშინელმა ომმა თითქმის ამოძირკვა მისი საუკეთესო ნაწილი — ახალგაზრდობა...“



ლევან დოლიძე:

# გამარჯვების დღეს გილოცავთ, ძვირფასო ვეტერანებო!




## მარადიული ხსოვნა 300 ათას დაღუპულ ქართველ მეომარს!

**1945 წლის 9 მაისი! დიდი სამამულო ომის აპოთეოზი — გამარჯვების დღე! 1418 დღე გრძელდებოდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომი ფაშისტურ გერმანიასთან, უფრო სწორად, ფაშისტურ ევროპასთან (ბრიტანეთის გამოკლებით). დედამიწის ასობით მილიონი ადამიანი ელოდებოდა ამ დღეს და, როგორც იქნა, დადგა 9 მაისი, როდესაც მოსკოვში გამოსცეს უმაღლესი მთავარსარდლის უკანასკნელი ბრძანება. იმ დროისთვის საბჭოთა ჯარი 10,5 მილიონზე მეტ მეომარს ითვლიდა; არც მანამდე და არც შემდგომ ასეთი მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალა არავის ჰყოლია.**

**ამ დიდ ომზე ათასობით წიგნი და ათიათასობით სტატია დაიწერა. მე, როგორც ქართველს, ერთი საკითხი მაინტერესებდა, რომელზეც ამომწურავ პასუხს ვერსად ვპოულობდი, კერძოდ, რა წვლილი შეიტანა საქართველომ და მისმა მოსახლეობამ ამ გამარჯვებაში, რომელმაც პლანეტა იხსნა ე. წ. ყავისფერი ჭირისგან. სამწუხაროდ, ის წყაროები, რომელთაც გავეცანი, ჩემს კითხვაზე იძლეოდა მხოლოდ მიახლოებულ პასუხს; ამიტომ შევხვდი ჩემს უფროს კოლეგას, რომელიც 50 წელზე მეტია, ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს და თითქმის ამდენივე დრო მიუძღვნა სამხედრო თემას. თავის დროზე მისი რესპონდენტები გახლდნენ გამოჩენილი საბჭოთა მთავარსარდლები: გენერალური შტაბის უფროსი, მარშალი ალექსანდრე ვასილევსკი, მარშალი ივანე ბაგრამიანი, არმიის გენერალი პავლე ბატოვი და სხვ. ვესაუბრები საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომანტს, საქართველოს გენერალიტეტის მემატიანეს, ოთხი წიგნის, მრავალი ბროშურისა და ბუკლეტის ავტორს, ღირსების ორდენოსანს — ლევან დოლიძეს.**



**საქართველოს ბევრი რამ აქვს საამაყო. ჩვენი თანამემამულე იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი!**

**— ბატონო ლევან, თუ გახსოვთ 1945 წლის 9 მაისის დღე თბილისში?**

— ჩვენს ეზოს მაშინდელ ძერჟინსკის ქუჩის ექვს ნომერში, „ამშვენებდა“ მხოლოდ ერთი „შავი თეფში“ (ასე ეძახდნენ იმ დროს ხმამაღლა მოლაპარაკეს); მასთან შეიკრიბა მთელი ჩვენი მრავალეროვანი მეზობლობა — ნორჩი და ხანშიშესული. საკავშირო დიქტორმა, განთქმულმა იური ლევიტანმა წაიკითხა უმაღლესი მთავარსარდლის — ი. ბ. სტალინის უკანასკნელი ბრძანება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი, რომლის თქვენი მკითხველისთვის სიტყვა-სიტყვით გაცნობა დღეს მიზანშეწონილად მიმაჩნია: **„1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლების მიერ ხელი მოეწერა აქტს გერმანული შეიარაღებული ძალების უპირობო კაპიტულაციაზე. დიდი სამამულო ომი, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა ხალხი გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, გამარჯვებით დასრულდა. გერმანია განადგურებულია.**

**ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, გილოცავთ თქვენ დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასრულებას.**

**გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად, დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს 22:00 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი, სამშობლოს სახელით, 30 საარტილერიო ზალპით ათასი ქვემეხიდან სალუტს აძლევს წითელი არმიის ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ნაწილებს და გემებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება.**

**მარადიული დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის!**

**გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!“**

მაშინ ექვსი წლის ვიყავი და ასეთი გახარებული თბილისი, როგორც 1945 წლის 9 მაისს იყო, დღემდე არ მინახავს! ჩვენი საცხოვრებელი სახლი ლავრენტი ბერიას სახელობის (ახლანდელი თავისუფლების) მოედნიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრში მდებარეობდა. ბავშვებმა უმალ იქითკენ გავქუსლეთ. მახსოვს საყოველთაო ზეიმი, ცრემლები, სიცილი. ყველანი — დიდები და პატარები მთელი ძალით გავყვიროდით: „ვაშა! ვაშააა!!!“

ჩვენ, ბავშვებს, ხელში აგვიტაცებდნენ და გვაბურთავებდნენ. თვალებით ვეძებდი მამას, მეგონა, მას ან მე ვიცნობდი, ან ის მიცნობდა. ძალიან მინდოდა მისი ნახვა, ომიდან გმირად, ორდენებითა და სამხრეებით დაბრუნებულისა... ერთი თვის ვიყავი, როცა 1939-ში მამა ჯარში გაიწვიეს. იგი დაიღუპა ხარკოვთან 1942 წელს, მაგრამ დედა ამაზე არაფერს მეუბნებოდა...

**იმ დღეს, 1945 წლის 9 მაისს თბილისის, მგონი, ყველა სახლის ფანჯრიდან ისროდნენ! ისროდა ყველა, ვისაც იარაღი ჰქონდა. დამამახსოვრდა, აგრეთვე, მოედანზე დიდი ავტომანქანები უზარმაზარი პროჟექტორებით, რომლებიც ღამის ცას ანათებდნენ და საზეიმო სალუტის ეფექტს აძლიერებდნენ. ერთი სიტყვით, იყო გამარჯვებით გამოწვეული სახალხო ბედნიერება!**

**— ბატონო ლევან, რა წვლილი შეიტანა საქართველომ ამ დიდ გამარჯვებაში? ვიცი, რომ მოპოვებული გაქვთ უტყუარი სტატისტიკა.**

— ომის სტატისტიკა ულმობელია და ტრაგიკული, განსაკუთრებით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის გამაოგნებელმა ენთუზიაზმმა გააოცა არა მხოლოდ მაშინდელი საკავშირო მთავრობის წევრები, არამედ თვით სტალინიც! როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი ახმოვანებდა სტატისტიკურ მონაცემებს, ასახელებდა საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობის ციფრებს ამ საშინელ ომში, საკავშირო სხდომის დარბაზში ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ კი ტაშმა იქუხა!

რამდენიმე ასეულ ცოცხლადდარჩენილ ომის ვეტერანს კარგად უნდა ახსოვდეს 1941 წლის ივნის-ივლისში ქართულ სამხედრო კომისარიატებთან მოხალისეთა გრძელი რიგები. არც თუ ისე ცოტა ფაქტია, როდესაც ერთი ოჯახიდან ფრონტზე მიდიოდა გასაწვევი ასაკის ყველა ძმა. გასული საუკუნის 70-იან წლებში გაზეთ „თბილისში“ და „ვეჩერნი თბილისში“ მიმყავდა სპეციალური რუბრიკა „ძმათა სისხლით“. ჩემს მასალებში ვწერდი 5-6, ხანდახან 7 ძმაზე, რომლებიც ერთ ოჯახიდან წავიდნენ საომრად!

ეს არაა ხმამაღალი სიტყვები, ეს არაა ტრაბახი, მხოლოდ ფაქტია: **საქართველომ ფრონტზე მეომრებად გააგზავნა თავის მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტი, რაც, პროპორციულად თუ ავიღეთ, მსოფლიოში ყველაზე დიდი მაჩვენებელია!**

**— მაინც რამდენი, ბატონო ლევან?**

— ზუსტად გეტყვით — 687 ათას 590 ადამიანი! მაშინ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, 1939 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით, შეადგენდა 3 მილიონ 540 ათას 760 ადამიანს. არადა, ეს ხომ ყოველი მეხუთე საქართველოს მცხოვრები იყო, თან ყველაზე ენერგიული, ყველაზე ახალგაზრდა, რომელიც ყველგან და ყოველთვის ერის ბირთვი გახლდათ.

მოქმედ არმიაში გაწვეული ჩვენი თანამემამულეებისგან შეიქმნებოდა, დაახლოებით, 60 სამხედრო დროის სრულფასოვანი საბჭოთა ფეხოსანთა დივიზია.

თითქმის 300 ათასი ჩვენი მეომარი დარჩა ბრძოლის ველზე, ანუ ყოველი მეთორმეტე! **საქართველოს მაშინდელი მოსახლეობიდან ომმა თითქმის ამოძირკვა მისი საუკეთესო ნაწილი — ახალგაზრდობა...**

დღემდე საქართველო გრძნობს სამხედრო ზარალს, უკვე მეოთხე დემოგრაფიული ტალღიდან ვერ ინაზღაურებს დანაკარგს! ძალიან, ძალიან დიდხანს ქართველი ქალები ძაძებში იყვნენ გახვეულნი...

**— რაც მთავარია, ბატონო ლევან, ეს მსხვერპლი არ იყო უაზრო.**

— გეთანხმებით... **საქართველოს ბევრი რამ აქვს საამაყო. ჩვენი თანამემამულე იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი! დაწყებული სტალინიდან, საქართველოდან წარგზავნილებს ჰქონდათ სსრკ-ში არსებული ყველა სამხედრო წოდება, საბჭოთა კავშირის ადმირალის ჩათვლით. ჩვენი ფრონტელები დაჯილდოვდნენ სსრკ-ის ყველა მედლითა და ორდენით. მათი რიცხვი 277 ათას 684-ს უდრის.**

აქედან საქართველოს 169 სახელოვან შვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მათ შორის არიან **პირველი ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი, მომავალში ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ნანეიშვილი და სერჟანტი მელიტონ ქანთარია,** რომელმაც დამხობილი რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების წითელი დროშა აღმართა; **ძირძველ თბილისელს, მფრინავ ვიტალი პოპკოვს კი საბჭოთა კავშირის გმი-** ▶

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ქართველი ხალხი არ შედრკა და 70 წლის წინ შეუძლებელიც შეძლო — ჯართან ერთად გაიმარჯვა კავკასიისთვის ბრძოლაში. საქართველოს მოსახლეობა დაეხმარა საბჭოთა მეომრებს ცოცხალი ძალით, საბრძოლო მასალებით, ტექნიკით, სურსათით, ტანსაცმლით, 50 ათასზე მეტი ადამიანი დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისთვის“.

**რის წოდება ორჯერ მიენიჭა!**

ყველა ფრონტზე, ნაკლებად ცნობილი ირანული ფრონტის ჩათვლით, თავი ისახელეს 84 გენერალმა და ადმირალმა საქართველოდან; აქედან ქართველი იყო — 59, სომეხი — 9, რუსი — 8, ებრაელი — 4, ოსი — 3 და ერთი აფხაზი. ჩვენი სამი თანამემამულე არმიებს სარდლობდნენ: გენერალ-პოლკოვნიკები — კონსტანტინე ლესელიძე, პორფირე ჩანჩიბაძე და გენერალ-ლეიტენანტი, ძირძველი თბილისელი — ვლადიმერ ლვოვი. **შვიდი ჩვენი გენერალი სათავეში ედგა კორპუსებს, 20 გენერალი მეთაურობდა დივიზიებს. 364 საქართველოს მკვიდრმა ომი დაასრულა პოლკოვნიკის და პირველი რანგის კაპიტნის წოდებებით.**

**— რამდენადაც ვიცი, ქართველებმა თავი ისახელეს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც, ხომ ასეა?**

— დიახ. **ალექსანდრე მანაგაძე გახდა იუგოსლავიის ეროვნულ გმირი.** მე კარგად მახსოვს ბატონი ალექსანდრეს აღტაცებული მოთხრობები მაგ მშვენიერ ქვეყანაზე, მის შეხვედრებზე იუგოსლავიის ლიდერთან — იოსიპ ბროზ ტიტოსთან.

მეორე მსოფლიო ომში **„იტალიის ეროვნული გმირის“ წოდება მხოლოდ ორ უცხოელს ერგო: რუს ფიოდორ პოლეტაევს** და ქართველ **ფორე მოსულიშვილს.** 1971 წლის მარტში, მოსკოვში, იტალიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ფორე მოსულიშვილის ძმებს გადასცა ოქროს მედალი „სამხედრო გმირობისთვის“ და ბრძანა, რომ იტალიას მარადიულად ეხსომება ქართველი მეომრის გმირობა.

**— ქართველ პარტიზანებზეც მსმენია.**

— პარტიზანულ ბრძოლებშიც ისახელეს თავი ჩვენმა თანამემამულეებმა. თავგანწირვის მაგალითებს იძლეოდნენ ქართველები ლეგენდარულ უკრაინულ პარტიზანულ დივიზიაში, რომელსაც მეთაურობდა სიდორ კოვპაკი. ამ დივიზიის **პირველი პოლკის მეთაურს, დავით ბაქრაძეს,** მამაცობისთვის და განსაკუთრებული დამსახურებისთვის უკრაინულ პარტიზანულ მოძრაობაში მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ასობით ქართველი პარტიზანი იბრძოდა არა მხოლოდ უკრაინასა და ბელორუსიაში, არამედ იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, სლოვაკეთში, იუგოსლავიაში, ბელგიაში, პოლონეთში და სხვაგან. **ცნობილია ქართული ბატალიონის აჯანყება ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე, სადაც ზუსტად 60 წლის წინ გაიხსნა ძეგლი დაღუპული ქართველი გმირების პატივსაცემად; იქიდან მოყოლებული მათი საძმო სასაფლაო წითელ ტიტებშია ჩაფლული.**

**— კიდევ კარგი, რომ სააკაშვილს — ჰოლანდიელების სიძეს ხელი არ მიუწვდა ტექსელის მემორიალის ასაფეთქებლად...**

— მოდით, ამ დიდებულ დღესასწაულზე გაზეთის ფურცლები არ გავსვაროთ იმ არაადამიანების სახელებით, რომლებმაც შეურაცხყვეს ფაშიზმთან დაღუპულ მილიონობით მეომართა ხსოვნა. არ ვახსენოთ იმათი სახელი, ვინც სახელწოდება შეუცვალა მსოფლიოს სამხედრო დიდების ქალაქს — სტალინგრადს; არ ვახსენოთ ჩვენი ზნედაცემული ვაითანამემამულეები, რომლებმაც ააფეთქეს საბრძოლო დიდების ძეგლები და მემორიალები, სახელწოდებები შეუცვალეს მოედნებს, ქუჩებს და სკოლებს, რომლებიც ატარებდნენ დიდი სამამულო ომის გმირების სახელებს; არ ვახსენოთ ის კაცუნები, რომლებმაც გორში — სტალინის მშობლიურ ქალაქში, ღამით ქურდულად მოხსნეს ბელადის ძეგლი... ეს ქონდრისკაცები, დაე, ღმერთმა განსაჯოს!

**არ შეიძლება, საქართველოს მედიკოსები არ ვახსენოთ, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მტერზე საერთო გამარჯვებაში. ომის პირველივე დღეებიდან საქართველოს საავადმყოფოები და ჯანმრთელობის კერები გადაიქცა ევაკოჰოსპიტლებად. ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობდა 72 ჰოსპიტალი. მათი წყალობით, ათიათასობით მეომარი ისევ მწყობრში ჩადგა. ამ სამედიცინო დაწესებულებებში ნებაყოფლობით და უანგაროდ შრომობდნენ ქართველი მხედართმთავრების, ოფიცრების ცოლები და ქვრივები.** ერთ-ერთი მათგანი იყო დიდებული ქალბატონი, **ლეგენდარული გენერლის — კონსტანტინე ლესელიძის** მეუღლე **ნინო შეწირული,** რომლის 16 წლის ვაჟი — **ოთარი** მამასთან გაიქცა ფრონტზე მოხალისედ და ომის დამთავრებამდე იბრძოდა სახელგანთქმულ მე-18 სადესანტო არმიაში. სხვათა შორის, ასეთი მაგალითები უამრავია. **სტალინგრადის ბრძოლის გმირის, ავიაციის გენერლის — ესტატე ტატანაშვილის** შვილი, ისიც სახელად **ოთარი,** გაიპარა მამასთან სტალინგრადში. სიტყვამ მოიტანა და, **საქართველომ შეიფარა ათიათასობით ობოლი ბავშვი!**

უფლება არ გვაქვს, ცალკე არ გამოვყოთ ორი ჩვენი თანამემამულე მედიკოსი, რომელთა სიმამაცემ, განსაკუთრებულმა პიროვნულმა თვისებებმა და უმაღლესმა პროფესიონალიზმმა მოუტანა მათ უდიდესი ავტორიტეტი ჯარსა და ფლოტში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ **საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი, საკავშირო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი და სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იუსტინე ჯანელიძე.** იუსტინე ივლიანის ძემ პირველმა რუსეთში და, შესაძლოა, მსოფლიოშიც გააკეთა იმ დროისთვის (1913 წ.) ურთულესი ოპერაცია გულზე. იმ წვლილისთვის, რომელიც შეიტანა გამარჯვების საქმეში, ბატონი იუსტინე დაჯილდოვდა სტალინის სახელობის პირველი ხარისხის პრემიით. მისი სახელი და საქმე დღესაც წმინდაა სანკტ-პეტერბურგში, სადაც იუსტინე ჯანელიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

მეორე მხცოვანი ექიმი, **საკავშირო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი სიმონ გრიგოლავა** ომის წლებში მოღვაწეობდა საბჭოთა არმიის მთავარი ქირურგის მოადგილედ. 1943 წელს ბატონი სიმონიც გახდა სტალინური პრემიის ლაურეატი, ასევე, პირველი ხარისხისა. სიმონ სიმონის ძემ, პირველმა საბჭოთა კავშირში, კუთვნილი პრემია მთლიანად გადასცა დაობლებულ ლენინგრადელ ბავშვებს...

საქართველოს ასეულათასობით მშრომელი გმირობას იჩენდა! მართალია, ჩვენს ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები, ის არ იბომბებოდა, მაგრამ ამით ცხოვრება არ იყო უფრო იოლი. ომის დაწყებიდანვე საქართველოს მოაწყდა ლტოლვილთა უზარმაზარი ტალღა, მათ შორის, ევაკუირებული სამეცნიერო, სასწავლო დაწესებულებები და კულტურის კოლექტივები. საკმარისია ითქვას, რომ **ჩვენთან განთავსდა და უმოკლეს დროში შეუდგა პროდუქციის გამოშვებას 20-ზე მეტი მსხვილი ევაკუირებული საწარმო. მაგალითად, თბილისში „გადმობარგებულმა“ ავიაქარხანამ უკვე 1941 წლის ნოემბერში დაიწყო თვითმფრინავების გამოშვება, ხოლო ბათუმსა და ფოთში სამხედრო გემებს არემონტებდნენ.**

განსაკუთრებული კრიტიკული მდგომარეობა საქართველოში შეიქმნა 1942 წლის ზაფხულში, როდესაც ყირიმში, როსტოვთან და ხარკოვთან სასტიკად დამარცხებული წითელი არმია ჩრდილოეთ კავკასიისკენ იხევდა. ჰიტლერი, ახორციელებდა რა ამიერკავკასიის დაპყრობის მის მიერვე შედგენილი გეგმის — „ბლაუ-III“-ს მესამე სტადიას, რაც საბოლოოდ ითვალისწინებდა ნავთობით უმდიდრეს ბაქოსთან გასვლას, კავკასიისკენ უზარმაზარი ძალები დაძრა. მის შემადგენლობაში იმყოფებოდა ცნობილი რჩეული ალპური დივიზია „ედელვაისი“. მტერმა მოახერხა და დაიკავა კავკასიის მთავარი უღელტეხილები, 5-ათასიანი ჯარი ქალაქ გუდაუთას 25 კილომეტრით მიუახლოვდა. და, აი, ამ უმძიმეს ვითარებაშიც, როდესაც ჩვენი ჩეკისტები და მესაზღვრეები, **გენერალ-ლეიტენანტ ნესტორ ლაბაძის** მეთაურობით, ყოველდღიურად აკავებდნენ მტრის სადივერსიო ჯგუფებს, როდესაც ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ თურქეთის მილიონიანი ჯარი დისლოცირებულია საქართველოს საზღვართან და ელოდება მხოლოდ ფაშისტური ჯარების შემოჭრას ჩვენს ქვეყანაში, **ქართველი ხალხი არ შედრკა და 70 წლის წინ შეუძლებელიც შეძლო — ჯართან ერთად გაიმარჯვა კავკასიისთვის ბრძოლაში. საქართველოს მოსახლეობა დაეხმარა საბჭოთა მეომრებს ცოცხალი ძალით, საბრძოლო მასალებით, ტექნიკით, სურსათით, ტანსაცმლით; 50 ათასზე მეტი ადამიანი დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისთვის“.**

საკმარისია, ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობამ მარტო 1942 წლის პირველი იანვრისთვის გადასცა მეომრებს 20 ათას 700 წყვილი ნაბდის ჩექმები, 65 ათას 150 წყვილი შალის ხელთათმანი, 53 ათას 300 წყვილი თბილი საცვალი, 139 ათას 220 წყვილი შალის წინდა, ათი ათასობით დაბამბული ჯუბა და მრავალი სხვა; და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. **უკვე 1943 წელს საქართველოს მრეწველობა, 1939 წელთან შედარებით, ორჯერ(!!!) გაიზარდა. კავკასიის ბრძოლის მონაწილეებს საქართველო აწვდიდა ყველაფერ აუცილებელს: ადგილზე ამზადებდა ჭურვებსა და ნაღმებს, ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებს, ნაღმტყორცნებს, ვაზნებსა და მრავალ სხვას.**

მთლიანად ომის საჭიროებისთვის საქართველოს მოსახლეობამ პირადი დანაზოგიდან გადასცა 3 მილიარდ 150 მილიონი მანეთი. შეგროვილი თანხით აშენდა რამდენიმე ავიაესკადრილია, სატანკო კოლონა, წყალქვეშა ნავი „საბჭოთა სვანეთი“, რომელიც გადაეცა ლეგენდარულ **იაროსლავ იოსელიანს — საბჭოთა კავშირის გმირს, I რანგის კაპიტანს.** ომის წლებში იაროსლავ იოსელიანმა ჩაძირა მტრის 16 გემი და მათ მიაყოლა 40 ათასი ფაშისტი. ჰიტლერმა ქართველ კაპიტანს „დიდი პატივი“ დასდო — იაროსლავ იოსელიანი შეიყვანა თავისი პირადი მტრების სიაში!..

**— ბატონო ლევან, გვიახლოვდება დიადი გამარჯვების 68-ე წლისთავი. რას ეტყვით რამდენიმე ასეულ ცოცხლადდარჩენილ ვეტერანს?**

— ჩვენო ძვირფასო მამებო და ბაბუებო! ვამაყობთ თქვენით, ვამაყობთ თქვენს თანამებრძოლთა დიდი და დაუმარცხებელი არმიით, რომლებიც, არნახული სიძნელეების მიუხედავად, თამამად მიდიოდნენ ბრძოლაში შეძახილებით „სამშობლოსთვის! სტალინისთვის!“ ბრძანების გარეშე, ნებაყოფლობით საკუთარი სხეულით ეფარებოდნენ ამბრაზურებს, ხელყუმბარების შეკვრით უვარდებოდნენ მტრის ტანკებს და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩენდნენ თანამებრძოლებს. მხოლოდ ასეთი გმირობით შეიძლებოდა ჭკვიანი, ძლიერი, კარგად შეიარაღებული და ვერაგი მტრის დამარცხება; იმ მტრის, რომელმაც სულ რამდენიმე კვირაში მუხლებზე დააჩოქა თითქმის მთელი ევროპა!

**გილოცავთ გამარჯვების დღეს, ძვირფასო ვეტერანებო! მარადიული ხსოვნა 300 ათას დაღუპულ ქართველ მეომარს!**

...სამწუხაროდ, დიდი სამამულო ომის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა, ძალიან მინდა, რომ ჩვენ მაგალითი ავიღოთ ებრაელი ხალხისგან, რომელმაც ზუსტად დაადგინა ყველა ებრაელი ჯარისკაცის ვინაობა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ და თითოეულ მათგანს პატივი მიაგო!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**



# საცემი «ნაცები»

**ოთხი წლის წინათ, როცა რუსთაველის პროსპექტი კარვების ქალაქად გადაიქცა და მერაბიშვილის პირბადიანი ზონდერები მშვიდობიან მანიფესტანტებს ფეხდაფეხ დასდევდნენ, „საქართველო და მსოფლიოში“ წერილი გამოქვეყნდა სათაურით „ნაცების ნაცემები“. მასში იმ ოთხთვიანი აქციების დროს მომხდარ სისხლიან დარბევებსა და კონკრეტულ ფაქტებზე, დაზარალებულ ადამიანებზე ვიუწყებოდით. წინამდებარე წერილის სათაურმა, ალბათ, ნაწილობრივ მიგახვედრათ, რომ დღეს ჩვენი საუბრის თემა რადიკალურად განსხვავებულია, ანუ, მაშინ თუ „ნაცების“ ნაცემ მოქალაქეებზე ვწერდით, ახლა სწორედ იმ „ნაცებზე“ გვინდა მოგახსენოთ, რომელთა ნაწილმაც ქართველი ხალხისგან უკვე მიიღო საპასუხო „პოუშამი“, ნაწილი კი, დიდი ალბათობით, მომავალში მიიღებს.**

თავის დროზე ახალაიების დასაცავად ზუგდიდში ჩასულ მინაშვილ-თაქთაქიშვილებს რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ლაყე კვერცხების „ფეიერვერკი“ მოუწყო, ძველი ამბავია, ამიტომ აღარ გავიხსენებ. რაც შეეხება ბოლო ფაქტს, ერთი კვირის წინ მოხდა, — დაახლოებით დღის ორ საათზე ფალიაშვილის ქუჩაზე „ნაცმოძრაობის“ წევრსა და ერთ-ერთ აქტიურ პროპაგანდისტს, გიგა ნასარიძეს, ახალგაზრდების ჯგუფმა ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. **ინციდენტიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მივიდნენ, თუმცა „დაზარალებულმა“ სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ ჩაშვების ინსტიტუტს ცივი უარი სტკიცა და ძალოვანებთან თანამშრომლობა არ ისურვა.** ამის შემდეგ დაიწყო მთავარი: მოსალამოვდა თუ არა, სოციალურ ქსელებში „ნაცმოძრაობის“ „ლიბერასტული“ აქტივის წარმომადგენლები მარტის კატებივით ერთ ხმაში აკნავლდნენ, დემოკრატია თავზე გვენგრევა და გვიშველეთო.

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ევროპის სახალხო პარტიიდან კიდევ ერთხელ თუ არ ვიხილავდით „პოლიტმედიკოსებს“ „დაზარალებულის“ საძინებელში, მაგრამ ნასარიძე, თაქთაქიშვილისგან განსხვავებით, ისე აზიზად და ოსტატურად აღმოჩნდა ნაცემი, რომ ვერანაირი ძალადობის ნიშნები მის სხეულზე ვერ იპოვეს. ერთი სიტყვით, ფაქტი შავ პიარად ვერ გამოდგა, საცემი კი იცემა და მცემელსაც, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა ყველაფერი. ამის შემდეგ, ალბათ, ერთი-ორად გაიზრდება იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებიც დიდი სიამოვნებით გააჭიტლაყებენ ნებისმიერ „ნაციონალს“ ქუჩაში. ისე, ჭიტლაყს როგორმე გაუძლებს კაცი, მაგრამ **ცოცხთან და „დუბინკასთან“ გაიგივებულ პარტიას, ვფიქრობ, ლოგიკურად სხვა უფრო სერიოზული საფრთხეებიც ემუქრება.**

გამომდინარე აქედან, გამოსავალი სულ ორადორია: ან საერთოდ უნდა გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან „ცოცხოსნები“, ან, თუ მაინცდამაინც ქუჩა-ქუჩა წოწიალს გადაწყვეტენ, მათგან შეურაცხყოფილი ხალხისგან ჭიტლაყისთვის მუდმივად მზად უნდა იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიყენებული შეურაცხყოფის სისასტიკის კოეფიციენტი, მის შედეგზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრად უფრო მძიმე შეიძლება აღმოჩნდეს და თან ევროპასთანაც შერცხვებიან — უხერხულია პარტნიორების ასე ხშირად შეწუხება; არაა დემოკრატიული დასავლეთისთვის სხვის ნაგავში ქექვა დამახასიათებელი. ყოველ შემთხვევაში, მათი დეკლარირებული პოლიტიკა ასეთია და ახლა **სააკაშვილის გულისთვის რომ მენაგვეობას არავინ დაიწყებს, მე მგონი, ყველასთვის დღესავით ნათელია.**

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე ისევ მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი, ოღონდ სულ სხვა კონტექსტში — **ახლა თუ საცემ „ნაცებზე“ ვლაპარაკობთ, მოკლე ხანში, ალბათ, ნაცემ „ნაცებს“ ვიხილავთ...**

ეჰ, რას ვიზამთ, ბატონებო, ასეა სამყარო მოწყობილი: ყოველი ქმედება იწვევს უკუქმედებას. ფიზიკა უნდა გესწავლათ კარგად თავის დროზე და გეცოდინებოდათ.

**ჯაბა ჭყანია**

?????????

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეატრის დირექტორის მოადგილის ჩაბმა დანაშაულში საჭირო იყო „ავტორიტეტისათვის“ და ტექნიკური პერსონალის დასარწმუნებლად, რომ ხანძარი საჭიროა კაპიტალური რემონტის თანხების მისაღებად. ამ გზით მომზადდა ეს დანაშაული, რომელიც განხორციელდა 9 მაისს. სამართალში მიცემულთა განმარტებით, გამარჯვების დღე იმიტომ შეარჩიეს, რომ თეატრის შენობაში თანამშრომელთა მცირე რაოდენობა იქნებოდა.**



# შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი იხსენებს, როგორ დაიწვა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი




**საქართველოს შს ორგანოების დამსახურებულმა მუშაკმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა გურამ გვეტაძემ პირად არქივში დაგროვილი დოკუმენტების გამოყენებით, რომლებიც საინტერესო ისტორიულ ფაქტებს შეიცავდა, გადაწყვიტა, წიგნი გამოეცა, რომელსაც სათაურიც შესაბამისი აქვს: „გენერლის მოგონებათა ზარდახშა“.**

**„პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის მქონდა გამახვილებული. ეს თვისება ბავშვობიდანვე მომყვებოდა. სწორედ ამ გარემოებამ მიბიძგა ამ წიგნის დაწერისკენ... ეს წიგნი არის ჩემთვის ძვირფას მოგონებათა საცავი“, — აღნიშნავს წინასიტყვაობაში ავტორი.**
**წიგნი ოთხი ნაწილისგან შედგება.**
**იგი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულითაა გაჯერებული. მასში აღწერილია გენერლის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, ხშირად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე, მოხსენიებულია ის ადამიანები, რომლებთან ერთადაც სწავლობდა, მეგობრობდა და საქმიანობდა ავტორი.**
**წიგნში ობიექტურად, შეულამაზებლადაა ასახული წარსული პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები და საზოგადოების დამოკიდებულება ამ მოვლენების მიმართ, რაც საშუალებას მისცემს მკითხველს და მომავალ თაობას სწორად შეაფასონ გასული ეპოქის პერიპეტიები.**
**ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდს შს ყოფილი მინისტრის — გურამ გვეტაძის წიგნიდან, რომელიც ფრიად გახმაურებულ და მტკივნეულ თემას ეხება — როგორ დაიწვა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.**

„მკითხველს მინდა შევახსენო ჩვენი კულტურის დიდი ცენტრის — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდი — 1973 წლის ხანძარი და მისი გამომწვევი მიზეზები. თეატრი დაარსების 150 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება. შესაძლებელია, ეს პუბლიკაცია მემატიანეებს თეატრის ისტორიის ამ ტრაგიკული ეპიზოდის მართებულად გაშუქებაში დაეხმაროს.

როგორც პროფესორი პავლე ხუჭუა გვამცნობს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის წიგნში, თბილისში პირველი საოპერო სპექტაკლი დაიდგა 1851 წლის 9 ნოემბერს. მაშინდელი ქარვასლის შენობაში არსებულ თეატრში წარმოადგინეს დონიცეტის ოპერა „ლუჩია და ლამერმური“, იტალიის საოპერო თეატრის მოწვეული დასის ძალებით. **ეს შესანიშნავი შენობა არსებობდა 1874 წლის 11 ოქტომბრამდე. ამ დღეს უნდა წარმოედგინათ ბელინის „ნორმა“, მაგრამ მაყურებელს არ დასცალდა სპექტაკლის ნახვა თეატრში უეცრად გაჩენილი ხანძრის გამო.**

შევეცადე, ოპერის თეატრის არქივში, საქართველოს სახელმწიფო არქივში, ამ პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციებში მომეძებნა დამატებითი ინფორმაცია ხანძართან დაკავშირებით. **სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა ცნობები ამ ხანძრის გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების შესახებ...**

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახლანდელი შენობის მშენებლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

მიწის ნაკვეთი თეატრის ასაშენებლად ქ. თბილისის საბჭომ შეიძინა მოქალაქეების: ზუბალაშვილის, ჩითახოვისა და ემონოვისგან. 1876 წელს გამოცხადდა ღია კონკურსი ოპერის თეატრის პროექტირებაზე. კონკურსზე წარმოდგენილი 4 პროექტიდან პირველი პრემია მიეკუთვნა პეტერბურგელი არქიტექტორის — ე. ა. შრეტერის პროექტს. ის თბილისში ჩამოვიდა და, სამშენებლო კომისიის მითითებით, ორჯერ გადააკეთა პროექტი. მხოლოდ 1880 წლის 18 თებერვალს დაამტკიცეს იგი და იმავე წლის ივლისში შეუდგნენ მშენებლობას. **1884 წელს აღიმართა თეატრის კედლები, მაგრამ ამ დროისთვის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები ამოიწურა და მუშაობა შეჩერდა. შენობა გადაუხურავი დარჩა. მაშინდელმა მეფისნაცვალმა დონდუკოვ-კორსაკოვმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს ინსტანციაში და თანხა გამოითხოვა. სახელმწიფო საბჭომ მხოლოდ თანხის ნაწილი გამოყო, რითაც შესაძლებელი გახდა შენობის გადახურვა.**

1894 წლამდე თეატრის მშენებლობა შეჩერებული იყო. როგორც კი საჭირო თანხა გამოინახა, მუშაობაც გაგრძელდა. 1896 წელს სამუშაოთა მწარმოებლად დაინიშნა შიმკევიჩი. ნოემბრისთვის თეატრი მზად იყო, მაგრამ პროექტის მიხედვით ბევრი რამ აკლდა. სცენის მოწყობა საიმპერატორო თეატრის დეკორატორს ვალცს დაევალა. 400 სავარძელი თეატრისთვის შეუკვეთეს იაკობ და იოსებ კონის ფაბრიკას ქ. ნოვოროდომსკში.

**1896 წლის 3 ნოემბერს ახალ შენობაში დაიდგა გლინკას „ივან სუსანინი“. ახალმა თეატრმა მიიღო სახელწოდება „თბილისის სახაზინო ოპერის თეატრი“. მთელი მშენებლობა 870 ათასი მანეთი დაჯდა.**

ეს შენობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქ. თბილისის არქიტექტურული ძეგლი და საქართველოს მუსიკალური კულტურის ცენტრია.

მის კედლებში დახელოვნდნენ და მსოფლიო აღიარება მოიპოვეს ქართული მუსიკალური კულტურისა და საოპერო ხელოვნების ისეთმა კორიფეებმა როგორებიც იყვნენ: **ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, დავით გამრეკელი, დავით ანდღულაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, პეტრე ამირანაშვილი, ნოდარ ანდღულაძე,** თანამედროვე ხელოვნების ღირსეული წარმომადგენლები **პაატა ბურჭულაძე, ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, ლამარა ჭყონია** და სხვები.

რაოდენ ტრაგიკული და გულდასაწყვეტი იყო, რომ **ასეთი მდიდარი და სახელოვანი ტრადიციების მქონე თეატრის შენობა 1973 წელს მთლიანად იმსხვერპლა საეჭვო ვითარებაში გაჩენილმა ხანძარმა.**

მომხდარ ხანძართან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ იმ პერიოდის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, შემდეგ კი მინისტრს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ გურამ გვეტაძეს. ბატონმა გურამმა შემდეგი მიამბო:

1973 წლის 9 მაისს ნათელი, მზიანი დღე გათენდა. ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, თბილისში დილიდანვე საზეიმო განწყობილება სუფევდა. ხალხი მხიარულად ხვდებოდა ფაშიზმზე გამარჯვების 28-ე წლისთავს.

იმ პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი, კურირებდი სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ და საგამოძიებო სამსახურებს. შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალ კეთილაძის ბრძანებით, იმ დღეს სამინისტროს პასუხისმგებელ მორიგედ დავინიშნე.

სამორიგეო სამსახური სისტემატურად მაწვდიდა ქალაქებიდან და რაიონებიდან შემოსულ ინფორმაციას ოპერატიული ვითარების შესახებ, საგანგაშო არაფერი ჩანდა.

**დღის 3 საათისთვის კაბინეტში შემოვიდა სამორიგეო სამსახურის ოფიცერი და შეშფოთებით მაცნობა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან კვამლი გამოდის, ეჭვი ხანძარზეაო.**

დაუყოვნებლივ გავეცი განკარგულება, გამოეძახათ სახანძრო სამსახური, ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობა და მეც შემთხვევის ადგილზე გავედი.



**ხანძრის დაწყებიდან 40 წუთის შემდეგ ჩამოიქცა თეატრის თალი და კვამლს შეერია მტვერი, რამაც თითქმის სრულიად შეზღუდა მხედველობის არე. მთლიანად დაიწვა მაყურებელთა დარბაზი და სცენა. განადგურდა საქართველოს სახალხო მხატვრის — სერგო ქობულაძის ქმნილება — უნიკალური ფარდა**

▶

# მთელი საოპერო დასის აღშფოთება გამოიწვია მსჯავრდებულთა მოქმედებამ, რომლებმაც პირადი ამბიცია და ინტერესი დააყენეს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა და ცეცხლს მისცეს ქართული კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი.

სოლომიადა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპერის თეატრის ფანჯრებიდან მუქი კვამლი გამოდიოდა. შენობიდან გამოსული პერსონალის განმარტებით, მაყურებელთა დარბაზი იწვოდა.**

შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ მოხსენდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. სამაშველო და საევაკუაციო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოძახებულ იქნა შინაგანი ჯარის ქვედანაყოფი.

**ხანძრის ქრობა მეტად გაძნელდა, ვინაიდან ცეცხლის კერასთან მისვლას ხელს უშლიდა შენობაში დაგროვილი კვამლი. ამას დაერთო ის გარემოება, რომ ხანძრის დაწყებიდან 40 წუთის შემდეგ ჩამოიქცა თეატრის თაღი და კვამლს შეერია მტვერი, რამაც თითქმის სრულიად შეზღუდა მხედველობის არე. მთლიანად დაიწვა მაყურებელთა დარბაზი და სცენა. განადგურდა საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის ქმნილება — უნიკალური ფარდა.**

რთულ ვითარებაში მეხანძრეებმა, მილიციის მუშაკებმა და ჯარისკაცებმა მაქსიმალური ორგანიზებულობა, სიმამაცე და თავგანწირვა გამოავლინეს. მოხერხდა ხანძრის ლოკალიზება, რამაც გადაარჩინა თეატრის ფოიე და დამხმარე სათავსოები. შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია. საღამოს 7 საათისთვის ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა.

მუშაობას შეუდგა საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი გამომძიებელი, საგამომძიებლო განყოფილების უფროსი **გიორგი ნანეიშვილი.**

გამოკითხული ყველა მოწმე ადასტურებდა, რომ ხანძარი დაიწყო პარტერში, ერთდროულად რამდენიმე ადგილას. სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ პარტერში არ არის არავითარი კომუნიკაციები, რომელთა დაზიანებითაც შესაძლებელი იყო ხანძრის გაჩენა. **ამ გარემოებათა გათვალისწინებით, თავიდანვე დაისახა ვერსია, რომ ხანძარი გამოწვეული იყო დაუდევრობით ან ბოროტმოქმედთა მიერ.** დანაშაულის გასახსნელად კვალიფიციური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები განხორციელდა. ამოქმედდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ოპერატიული, ტექნიკური, სამძებრო ძალა და საშუალება. გამოძიების მსვლელობა პირად კონტროლზე აიყვანა რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. გამოძიების მსვლელობის შესახებ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის წინაშე ინფორმაციით წარსდგა შინაგან საქმეთა მინისტრი კონსტანტინე კეთილაძე.

**გატარებული ღონისძიებების შედეგად, გამოიკვეთა დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა წრე. ძირითადად, ოპერისა და ბალეტის თანამშრომლებს შორის, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო უთანხმოება ჰქონდათ ადმინისტრაციასთან.**

**ამასთან გაძნელდა კონკრეტული მტკიცების შეგროვება მათი დანაშაულში მონაწილეობის შესახებ.**

უპირველეს ყოვლისა, **ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ოპერის თეატრის სახანძრო დაცვის მუშაკები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. ისინი ხანძრის დაწყების წინ ოპერის თეატრის საწყობის გამგემ დაპატიჟა სასტუმრო „ივერიის“ სახინკლეში** (არც აქ და არც შემდგომ ბოროტმოქმედთა გვარებს არ დავასახელებ, რათა ტკივილი არ მივაყენო მათ შთამომავლებს უფროსი თაობის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო). მოწმეთა ჩვენებებიდან გაირკვა, რომ ხანძრის დაწყებამდე მაყურებელთა დარბაზში იმყოფებოდა თეატრის რადისტი, რომელსაც თითქოს წესრიგში მოჰყავდა რადიოაპარატურა.

**გამოძიების ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ თეატრის ერთ-ერთი მომღერალი — სოლისტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადმინისტრაციის მიმართ, წამყვან პარტიებს არ მაძლევენ სპექტაკლებშიო.**

შეგროვილი მასალების ანალიზიდან, მოწმეთა ჩვენებებიდან, ექსპერტიზის დასკვნებიდან გამოიკვეთა ხანძრის გაჩენის გარემოებები.

**გამოძიებით დადგინდა, რომ განაწყენებულმა სოლისტმა გადაწყვიტა, რომ შური ეძია ადმინისტრაციაზე და ხანძარი გაეჩინა თეატრში. რაკი ამის შესრულება მარტოს არ შეეძლო, დანაშაულში ჩააბა სხვა პირები.** ეს შემდეგნაირად მოხდა:

ოპერის თეატრის ელექტროტექნიკოსი დიდი ხნის განმავლობაში იყო ბინის მიღების აღრიცხვაზე. მან სოლისტს სთხოვა დახმარება ბინის მიღებაში, რისთვისაც 3000 მანეთი გადასცა. ელექტროტექნიკოსმა რამდენიმე ხნის შემდეგ შემოიერთა თავისი საცხოვრებელი ბინის გვერდით გამოთავისუფლებული ერთი ოთახი. ეს გარემოება გამოიყენა **სოლისტმა** და **ელექტროტექნიკოსი დაითანხმა ხანძრის მოწყობაში დახმარებოდა.**

ამასთან დაარწმუნა, რომ ხანძრის მოწყობა თვით თეატრის ადმინისტრაციას სურს, რათა თანხები მიიღოს ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობის კაპიტალური რემონტისთვის.

**ასევე შანტაჟის გზით ჩააბა სოლისტმა დანაშაულში თეატრის რადისტი,**



**გამოძიებით დადგინდა, რომ „დამკვეთმა“ გადაიხადა 50 ათასი მანეთი, რომელიც ბოროტმოქმედებმა გაინაწილეს. ხანძრის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 1 მილიონ 408 ათასი მანეთი შეადგინა იმ პერიოდის კურსით**

რომელსაც დაემუქრა შესაბამის ორგანოებს ვაცნობებ, რომ შენმა ოჯახმა აგარაკი 8500 მანეთად გაყიდა, საბუთებში კი 3500 მანეთად გააფორმა, რითაც სახელმწიფოს გადასახადი დააკლოო.

**სოლისტმა ასევე დაიყოლია ხანძრის მოწყობაზე თეატრის დირექტორის მოადგილე, მხატვარ-გამნათებელი და საწყობის გამგე.**

დამნაშავეთა ჯგუფის წევრთა შორის ფუნქციები განაწილდა. თითოეულ მათგანს სოლისტი დავალების შესრულების შემდეგ გასამრჯელოს დაჰპირდა.

მხატვარ-გამნათებელს დაევალა, შეემუშავებინა მეთოდი, რომლითაც გააჩენდა ხანძარს. ამისათვის მან შესთავაზა, გამოეყენებინათ ცეცხლოვანი ეფექტი, რომელსაც იყენებდნენ გუნოს ოპერა „ფაუსტში“ (ამ მეთოდის აღწერაზე არ შევჩერდები, რათა არ გამოიყენონ სხვა ბოროტმოქმედებმა), აღვნიშნავ, რომ ამ მეთოდით შესაძლებელია გამოიწვიო თვითაალება ქიმიური რეაქციის საშუალებით.

რადისტს დაევალა ქიმიური რეაქტივების შეტანა პარტერში, სადაც ხანძრის წინ იგი დააფიქსირეს მოწმეებმა, საწყობის გამგის როლზე ზემოთ ვთქვი.

**თეატრის დირექტორის მოადგილის ჩაბმა დანაშაულში საჭირო იყო „ავტორიტეტისათვის“ და ტექნიკური პერსონალის დასარწმუნებლად, რომ ხანძარი საჭიროა კაპიტალური რემონტის თანხების მისაღებად.**

ამ გზით მომზადდა ეს დანაშაული, რომელიც განხორციელდა 9 მაისს. სამართალში მიცემულთა განმარტებით, გამარჯვების დღე იმიტომ შეარჩიეს, რომ თეატრის შენობაში თანამშრომელთა მცირე რაოდენობა იქნებოდა.

**გამოძიებით დადგინდა, რომ „დამკვეთმა“ გადაიხადა 50 ათასი მანეთი, რომელიც ბოროტმოქმედებმა გაინაწილეს.**

**ხანძრის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 1 მილიონ 408 ათასი მანეთი შეადგინა იმ პერიოდის კურსით.**

თბილისის საქალაქო სასამართლომ 1976 წლის 29 ნოემბრიდან 1977 წლის 24 იანვრამდე საჯარო სხდომაზე მოსამართლე მ. მახარაძის თავმჯდომარეობით განიხილა ეს საქმე. პროცესში ბრალმდებლად გამოდიოდა პროკურორი ვ. რაზმაძე. **სამართალში მიცემულმა პირებმა პროცესზე სცადეს, შეეცვალათ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული აღიარებები, იმ მოტივით თითქოს გამოძიების პროცესში მათზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ. სასამართლომ გადაამოწმა ყველა მათი პრეტენზია და უსაფუძვლოდ ცნო.** მაგალითად, რადისტს წინასწარი გამოძიების დროს თავისი ხელით დაწერილი ჰქონდა 32 ჩვენება, სადაც ის აღიარებდა ხანძრის გაჩენაში მონაწილეობას, ამხელდა თანამონაწილეებს. ბრალდებულთა ყველა აღიარებითი ჩვენება დაფიქსირებული იყო მოწმეთა თანდასწრებით ვიდეომაგნიტურ ფირზე. გამომძიებლებმა შეძლეს აღიარებითი ჩვენებები გაემაგრებინათ ნივთმტკიცებებით, სქემებით, საგამოძიებო ექსპერიმენტებით და სხვა მტკიცებებით.

**სასამართლომ ყველა ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით. დაისაჯნენ თეატრის სახანძრო დაცვის მუშაკებიც, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი საგუშაგოები.**

ამგვარად, სამართალში მიცემული ყველა პირის ბრალდება დადასტურდა და სათანადო სასჯელი მიეზღო. **წინასწარ გამოძიების დროს ვერ დადგინდა დაფინანსების წყარო.** ამ ნაწილში გამოიყო მასალები. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, გაეგრძელებინა საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებები და დაედგინა, რა წყაროებიდან იყო მიღებული აღნიშნული თანხა, რა დაედო მას საფუძვლად. **დანაშაულის ბოლომდე გახსნას ხელი შეუშალა ზოგიერთი მსჯავრდებულის გარდაცვალებამ.**

ამით დაეკარგა პერსპექტივა შემდგომ გამოძიებას.

მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის იმ პერიოდის დირექტორი ბატონი ირაკლი ბერიძე, თეატრის სოლისტები და თანამშრომლები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გამოძიებას დანაშაულის გახსნაში.

**მთელი საოპერო დასის აღშფოთება გამოიწვია მსჯავრდებულთა მოქმედებამ, რომლებმაც პირადი ამბიცია და ინტერესი დააყენეს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა და ცეცხლს მისცეს ქართული კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი.**

ბრალდებულთა უზნეობას და მათ ამორალურ სახეს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა ისარგებლა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობით და 1991-92 წლებში მიტინგებზე ცილს სწამებდა სამართალდამცავ ორგანოებს.

**დანაშაულის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მოითხოვა თეატრში სამუშაოდ დაბრუნება, მაგრამ კოლექტივმა მას კარი მიუხურა.**

ხანძრის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო სპეციალური დადგენილება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენის და რეკონსტრუქციის შესახებ.

გამოცხადდა კონკურსი შენობის რეკონსტრუქციის პროექტზე. 1973 წლის ოქტომბერში შეჯამდა კონკურსის შედეგები. **საუკეთესოდ მიიჩნიეს საპროექტო ინსტიტუტის პროექტი, რომელსაც სათავეში ედგა აწგანსვენებული ბატონი გოგი ანდრონიკაშვილი. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები მეძმარიაშვილი, ჩაჩანიძე, ინჟინერ-კონსტრუქტორი ბოკერია.** პროექტის ღირსება ის იყო, რომ შენარჩუნდა შენობის გარეგნული სახე, ამავე დროს დაკმაყოფილდა თანამედროვე თეატრალური ტექნიკის ყველა მოთხოვნა. შენობის მოცულობა 40 პროცენტით გადიდდა. ფაქტობრივად, თავიდან აშენდა სცენა. მაყურებელთა დარბაზი დაამშვენა ცენტრალურმა ჭაღმა (ავტორი ნ. ერგემლიძე), რომელიც დეკორატიული ხელოვნების ნიმუშია.

მშენებლობა დაიწყო 1973 წელს, დასრულდა 1977 წლის მაისში. ნოემბერში გაიხსნა ახალი თეატრალური სეზონი.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ფერფლისგან აღდგა.

ასეთი გახლავთ მისი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ფურცელი“.

**გურამ გვეტაძე,**
**„გენერლის მოგონებათა ზარდახშა“**

**გამოძიებით დადგინდა, რომ განაწყენებულმა სოლისტმა გადაწყვიტა, რომ შური ეძია ადმინისტრაციაზე და ხანძარი გაეჩინა თეატრში. რაკი ამის შესრულება მარტოს არ შეეძლო, დანაშაულში ჩააბა სხვა პირები**

**P.S. გამოძიების შედეგიანად წარმართვა და ჭეშმარიტების დადგენა განაპირობა გამომძიებელ გიორგი ნანეიშვილის მაღალმა პროფესიონალიზმმა და ფართო ერუდიციამ, აგრეთვე, მჭიდრო კონტაქტმა და თანამშრომლობამ ოპერატიულ სამსახურსა და საგამოძიებო აპარატს შორის.**

**გიორგი ნანეიშვილი დაიბადა 1929 წელს ქ. თბილისში, 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგ ექვსი წელი მუშაობდა უკრაინის სხვადასხვა ქალაქის პროკურატურის ორგანოებში გამომძიებლად და პროკურორის მოადგილედ. შემდგომ დაბრუნდა საქართველოში და გააგრძელა საქმიანობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, მათ შორის 20 წელიწადი სათავეში ედგა ამ სამმართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან განყოფილებას. მისი ხელმძღვანელობით გამოძიებული იქნა არაერთი მძიმე და გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე.**

**გიორგი ნანეიშვილი იყო შესანიშნავი აღმზრდელი ახალგაზრდა გამომძიებლების. მისი აღზრდილები არიან შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ცნობილი ხელმძღვანელები, ჯემალ გახოკიძე და გურამ ქარქაშაძე. თადარიგში გასვლის შემდეგ მან არ მიატოვა საყვარელი საქმე და განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. დაღუპვის დღეს იგი ჩვეულებრივად დაემშვიდობა მეუღლეს და გაემართა აკადემიაში, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია, მას შრომისაგან გადატვირთულმა გულმა უმტყუნა.**

**გიორგი ნანეიშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი სახელმწიფო ორდენითა და მედლით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება. იგი იყო მაღალი კულტურის, ფიზიკური სრულყოფისა და უმწიკვლო ავტორიტეტის მქონე ოფიცერი.**

**დიდი მადლობა, გოგა, გაწეული სამსახურისთვის!**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინაიდან გეოპოლიტიკური ჰეგემონიისთვის გამანადგურებელი ომი სხვის ტერიტორიაზე უმაღლესი რანგის პრიორიტეტია თვით საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლის გახანგრძლივებასთან შედარებით, ხელისუფლება, რომელიც ასე იქცევა, ყველანაირ ლეგიტიმურობას კარგავს.**

## «საქართველოში ბოევიკების ბაზები ისევ არსებობს»

**„ბოევიკებმა, რომლებიც საქართველოს შუამდგომლობით ადრე ჩეჩნეთში ომობდნენ, დასავლეთის რიგი ქვეყნების მხარდაჭერა მიიღეს“. ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელის, რამზან კადიროვის, განცხადებას „პირველი რადიო“ აქვეყნებს.**

„ადამიანები, რომლებიც აქ ომობდნენ, უკან ბრუნდებოდნენ, ჩეჩნეთში და მათ უზრუნველყოფას ახდენდა დასავლეთი, მათი ბაზები დღემდე არსებობს საქართველოში, მათ ეხმარებოდნენ ყველაფერში და უზრუნველყოფდნენ იარაღით, ტანსაცმლით, საკვებით და ეს სხვადასხვა ვიდეომასალაშიც კარგად ჩანს. ძირითადად, ასეთ დახმარებას ბოევიკებს ქართული სპეცსამსახურები უწევდნენ, რომლებმაც სამშობლო ამერიკელებს მიჰყიდეს“, — აცხადებს კადიროვი. რამზან კადიროვი კონკრეტული ადამიანების გვარებსაც ასახელებს. მისი თქმით, ერთ-ერთმა ყოფილმა ბოევიკმა, რუსლან გელაევმა, დეტალურად უამბო კადიროვს, თუ როგორ და სად ამზადებენ საქართველოში ბოევიკებს. რამზან კადიროვის ინფორმაციით, ათასზე მეტი ბოევიკი ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან გადავიდა. დაკავებულების უმეტესობა კი ყვება, რომ ქართული სპეცსამსახურები მათთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და იარაღით ამარაგებდნენ.

## «რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების რეცეპტი არსებობს»

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების რეცეპტი არსებობს, თუმცა ის შეიძლება არ იყოს მაგიური. ამის შესახებ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ როუზ-როსის სემინარზე საფრანგეთის წარმომადგენლის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმადაც, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში ხომ არ აქვს საქართველოს მთავრობას რაიმე მაგიური რეცეპტი.**

პრემიერის თქმით, პირველ ეტაპზე რაც მოხერხდა, ეს არის სავაჭრო ურთიერთობებისა და კულტურული ურთიერთობების დაწყება.

**„ძირითადი რეცეპტი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს საინტერესო, საქართველოს მოსახლეობა უნდა ახერხებდეს დასაქმებას, დევნილები უნდა დავუბრუნოთ საკუთარ სახლებს, მხოლოდ რუსეთის გადასაწყვეტი არ არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და მე ვფიქრობ, ამ ყველაფრის მოგვარებას რამდენიმე წელიწადში მოვახერხებთ“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

# «გუანტანამო მკლავს»

**სამირ ნაჯი ალ-ხასან მოკბელი 2002 წლიდან გუანტანამოს ციხის ტყვეა. მან ტელეფონის საშუალებით საქველმოქმედო იურიდიულ ორგანიზაცია „Reprieve“-ს საკუთარი ისტორია უამბო.**





„გუანტანამო, კუბა. ერთი ადამიანი აქ სულ რაღაც 35 კილოგრამს იწონის, მეორე — 45-ს. უკანასკნელად როდესაც ამწონეს, დაახლოებით 60 კილოგრამი ვიყავი.

10 თებერვალს შიმშილობა გამოვაცხადე და მას შემდეგ 14 კილოგრამზე მეტი დავიკელი. მე არ შევჭამ არაფერს, ვიდრე ისინი საკუთარი ღირსების გრძნობას არ დამიბრუნებენ.

მე გუანტანამოში ვარ გამოკეტილი 11 წლისა და სამი თვის მანძილზე. დანაშაულის ჩადენაში არანაირი ბრალდება ჩემთვის არასდროს წაუყენებიათ, არასდროს ჩატარებულა სასამართლოს სხდომა.

შემეძლო, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დავბრუნებულიყავი სახლში, რადგან სერიოზულად არავინ მიმიჩნევს სახიფათო პიროვნებად. მაგრამ მე ჯერ კიდევ აქ ვარ. რამდენიმე წლის წინ სამხედროებმა განაცხადეს, რომ მე უსამა ბენ ლადენის მცველი ვიყავი, მაგრამ ეს სრული სიცრუეა და ძალიან ჰგავს იმ ამერიკულ ფილმებს, რომლებიც მინახავს. მათ უკვე თავადაც აღარ სჯერათ ამის, მაგრამ მათთვის სულერთია, კიდევ რამდენ ხანს ვიჯდები აქ.

როდესაც იემენში, საკუთარ სახლში ვცხოვრობდი, 2000 წელს ჩემმა ერთ-ერთმა ბავშვობის მეგობარმა მიამბო, რომ ავღანეთში ბევრად უფრო მეტი ფულის გამომუშავებას შევძლებდი, ვიდრე ის 50 დოლარი იყო, რომელსაც ქარხანაში მუშაობისთვის თვეში მიხდიდნენ და შესაბამისად, საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფასაც მოვახერხებდი. ამ მომენტამდე არსად ვყოფილვარ და ავღანეთის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცოდი. მაგრამ გადავწყვიტე, რომ მოსინჯვად ღირდა.

შევცდი, როდესაც მას დავუჯერე. იქ არანაირი სამუშაო არ იყო. მინდოდა, შინ დავბრუნებულიყავი, მაგრამ ბილეთის საყიდლად ფული არ მქონდა. 2001 წელს, ამერიკელების შემოჭრის შემდეგ პაკისტანში გავიქეცი, ისევე, როგორც სხვა ყველა. როდესაც იემენის საელჩოსთვის მიმართვა მოვინდომე, პაკისტანელებმა დამაპატიმრეს. ამის შემდეგ ყანდაგარში გამამგზავრეს და გუანტანამოს პირველივე თვითმფრინავში ჩამსვეს.

**15 მარტს ავად გავხდი, დამაწვინეს ციხის საავადმყოფოში, მაგრამ საჭმელზე უარი ვთქვი. პალატაში შემომივარდა სამხედრო პოლიციის სპეცრაზმის რვა სამხედრო მოსამსახურე, მათ ხელებით და ფეხებით საწოლზე დამაბეს, შემდეგ ძალით ჩამიდგეს ვენაში შპრიცი და ვენიდან კვება დამიწყეს. ამ მდგომარეობაში გავატარე 26 საათი. მთელი ამ დროის განმავლობაში ტუალეტშიც კი არ მიშვებდნენ, ლოცვის უფლებასაც არ მაძლევდნენ.**

არასდროს დამავიწყდება პირველი შეგრძნება, როდესაც ცხვირში მკვებავი მილი შემარჭეს. არ შემიძლია აღვწერო, თუ რამდენად მტკივნეული იყო, როცა მილს სულ უფრო ღრმად არჭობდნენ, გული მერეოდა, მაგრამ არაფერი შემეძლო. ყველაფერი მტკიოდა: მკერდი, ყელი, მუცელი... ამგვარი ტკივილი მანამდე არასდროს განმეცადა, არავის ვუსურვებ ესოდენ სასტიკ სასჯელს.

ამ დრომდეც ძალით მაჭმევენ. დღეში ორჯერ მაბავენ სკამზე ჩემს კამერაში, მიბავენ ხელებს, ფეხებს და თავს. ისინი ყოველ ჯერზე მოულოდნელად მოდიან, ხანდახან გვიან ღამითაც, როდესაც უკვე მძინავს.

შიმშილობაში იმდენად ბევრი ადამიანი მონაწილეობს, რომ იძულებითი კვებისთვის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი არ კმარა. არანაირი განრიგი არაა დაცული, ისინი ადამიანებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში კვებავენ, ოღონდ კი მოასწრონ.

ერთ-ერთი ამგვარი პროცედურისას მედდამ კუჭში თითქმის ნახევარი მეტრის სიგრძეზე შემარჭო მილი იმის გამო, რომ ძალიან ჩქარობდა. ტკივილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ. თარჯიმანს დავუძახე, რომ მას ექიმისთვის ეკითხა, სწორად აკეთებდა თუ არა მედდა პროცედურას.

ეს იმდენად მტკივნეული იყო, რომ ვევედრებოდი მათ, შეეწყვიტათ პროცედურა. მედდამ უარი მითხრა. როდესაც დაასრულეს, „საჭმელის“ ნაწილი ტანსაცმელზე დამესხა. ვთხოვე, გამოეცვალათ ტანსაცმელი, მაგრამ მცველმა საკუთარი ღირსების უკანასკნელი ნარჩენების შენარჩუნებაზეც უარი მითხრა.

**თუ არ მინდა, რომ იძულებითი კვების დროს დამაბან, ისინი სამხედრო პოლიციას უხმობენ, ასე რომ, არჩევანი არ არსებობს: ან უნდა ვისარგებლო ციხეში გამომწყვდევის გაპროტესტების უფლებით და მცემენ, ან უნდა დავთანხმდე ძალადობრივ გამოკვებას.**

ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ჯერ კიდევ აქ ვარ, არის პრეზიდენტი ობამას უარი პატიმრების იემენში გადაგზავნასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს უაზრობაა. მე ადამიანი ვარ და არა პასპორტი, მე ვიმსახურებ ადამიანურ მოპყრობას.

არ მინდა აქ მოვკვდე, მაგრამ, ვიდრე პრეზიდენტი ობამა და იემენის პრეზიდენტი რაიმეს არ გააკეთებენ, ამის საშიშროება ყოველ დღე არსებობს.

სად არის ჩემი ხელისუფლება? მე მზად ვარ დავემორჩილო „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნებისმიერ ზომებს“, როგორიც კი სჭირდებათ, თვით ყველაზე არასაჭირო ზომებსაც კი, ოღონდ სახლში დამაბრუნონ.

**დავთანხმდები ყველაფერს, ოღონდ თავისუფლება დავიბრუნო.** ახლა 35 წლის ვარ, ყველაფერი, რაც მჭირდება, ისაა, რომ კიდევ ვნახო ჩემი ახლობლები და საკუთარი ოჯახი შევქმნა.

განწირული სიტუაციაა. ყველა პატიმარი უდიდეს ტანჯვაშია. აქ 40 ადამიანი შიმშილობს, ადამიანები ყოველ დღე ეცემიან გამოფიტვის გამო, ხანდახან სისხლს ვანთხევ.

და ჩვენს პატიმრობას ბოლო არ უჩანს. ამიტომაც ჩვენ გავაკეთეთ არჩევანი — ვშიმშილობთ და ყოველ დღე ვდგავართ სიკვდილის საფრთხის წინაშე.

**იმის იმედი მაქვს, რომ იმ ტკივილის გამო, რომელსაც ჩვენ აქ განვიცდით, მსოფლიო კიდევ ერთხელ მიაპყრობს ყურადღებას გუანტანამოს, ვიდრე გვიანი არ არის“.**

**The New York Times**

# აშშ-ის ხელისუფლება სიმსივნით დაავადებულთა ფულს ტერორისტებს უხდის



**აშშ-ის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ სირიაში ბოევიკებს, რომელთაც ღიად მართავენ „ალ ქაიდას“ ტერორისტები, 123 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარებას გაუწევს, სამაგიეროდ, კიბოთი დაავადებულ ათასობით ადამიანს ბიუჯეტის შემცირების გამო საავადმყოფოებიდან სახლებში გაუშვებს. გულგრილობის დანაშაული, რომლის გამოც ამერიკელები იძულებულნი არიან, გვერდზე ეძებონ სიმსივნესთან ბრძოლის საშუალებები, კიდევ უფრო მძიმდება იმით, რომ სირიაში ტერორისტებისთვის გაწეული დახმარება გამოყენებულ იქნება სექტანტების მიერ მართვადი ორწლიანი ჰუმანიტარული კატასტროფის გასახანგრძლივებლად.**

123 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარება, რომლის შესახებაც კერიმ თურქეთში განაცხადა, მოიცავს ჯავშანჟილეტებს, ჯავშანტექნიკას, კავშირგაბმულობის თანამედროვე აპარატურას და ღამით ხედვის ხელსაწყოებს.

1 აპრილიდან შემცირდა მედიქერის დაფინანსებაც, რის გამოც აღარ არის საშუალება, ქიმიოთერაპიისთვის საჭირო ძვირადღირებული პრეპარატები იქნეს გამოყენებული.

**თუ გავითვალისწინებთ, რომ სირიაში კონფლიქტი აშშ-ის, საუდის არაბეთისა და ისრაელის დაგეგმილია 2007 წელს, რათა ჩამოაგდონ სირიის ხელისუფლება და დაასუსტონ მეზობელი ირანი, აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შეშლილი და დამნაშავეობრივი არსი კიდევ უფრო უხამსი ხდება.**

პულიტცერის პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტი სეიმურ ხერში ჯერ კიდევ 2007 წელს წერდა „New Yorker“-ში დაბეჭდილ სტატიაში სათაურით „მიმართულების ცვლილება: ხელისუფლების ახალ პოლიტიკას სარგებლობა მოაქვს ჩვენი მტრებისთვის ტერორიზმთან გაჩაღებულ ომში?“ წერდა ამის შესახებ:

**„აშშ-მა მონაწილეობა მიიღო საიდუმლო ოპერაციებში, რომლებიც მიმართული იყო ირანისა და მისი მოკავშირე სირიის წინააღმდეგ. ამ მოღვაწეობის გვერდითი ეფექტი გახდა სუნიტური ექსტრემისტული დაჯგუფებების მხარდაჭერა, დაჯგუფებებისა, რომლებიც ისლამის საომარ ხედვაზე ქადაგებენ, მტრულად არიან განწყობილნი ამერიკის მიმართ და „ალ ქაიდასთან“ თანამშრომლობენ“.**

ახლა უკვე ცხადია, რომ მაშინ, როდესაც დასავლეთი ვითომდა ვერ ხედავს სირიაში „ალ ქაიდას“ ექსპანსიის დაწყებასა და სწრაფად გავრცელებას, 2007 წლის გეგმები პირველ ნაყოფს ისხამს. როგორც „London Telegraph“-მა და „Washington Post“-მა აღმოაჩინეს, „არალეტალური“ ამერიკული დახმარება ახლა სირიაში „ალ ქაიდას“ ქვეგანყოფილების — ალ-ნუსრას ფრონტის მიერ გამოიყენება, როგორც პოლიტიკური იარაღი, რათა ლოიალობა მოიპოვონ ოკუპირებულ მიწებზე.

ვინაიდან გეოპოლიტიკური ჰეგემონიისთვის გამანადგურებელი ომი სხვის ტერიტორიაზე უმაღლესი რანგის პრიორიტეტია თვით საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლის გახანგრძლივებასთან შედარებით, ხელისუფლება, რომელიც ასე იქცევა, ყველანაირ ლეგიტიმურობას კარგავს.

**antizoomby.livejournal.com**

**გასულ 10 წელიწადში 1,56 მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი, ანუ ერაყისა და ავღანეთის ომების ყველა ვეტერანთა 56% საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, დახმარება კი მათ სიცოცხლის ბოლომდე უნდა უხადოს სახელმწიფომ.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის არაადამიანური ექსპერიმენტები რადიაციით





**წელს 20 წელი სრულდება რადიაციით იმ ექსპერიმენტების შესახებ მონაცემების გახმაურებიდან, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ატარებდა. ამ ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა 20 000-ზე მეტი განწირული ადამიანი, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა ხდებოდა მათ თავს. მათ შორის იყვნენ სამოქალაქო პირები, პატიმრები, ფედერალური სამსახურების თანამშრომლები, საავადმყოფოების პაციენტები, ორსული ქალები, მოზარდები, ფსიქიკური გადახრების მქონე ბავშვები და სამხედრო უწყებების თანამშრომლები.**

„გასაიდუმლოებული სამეცნიერო ექსპერიმენტები, რომლებმაც ათასობით კაცი, ქალი და ბავშვი უსახელო არსებად აქცია", — წერს ამერიკელი ჟურნალისტი ეილინ უელსონი თავის წიგნში: „პლუტონის მასალები: ამერიკის ხელისუფლების საიდუმლო ექსპერიმენტები ცივი ომის პერიოდში".

საბრალო ადამიანებზე, მათი თანხმობის გარეშე, ახდენდნენ რადიაციულ დასხივებას პლუტონით და სხვა ნივთიერებებით, რათა შეესწავლათ დასხივების მომენტალური და ხანმოკლე პერიოდში გამოვლინებული ეფექტები.

იმ წლებში ვანდერბილტის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ამგვარ ექსპერიმენტში 829 ორსულმა ქალმა, რომლესაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, რადიაქტიული მეტალის დოზა მიიღო. მეორე ექსპერიმენტში 188 ბავშვმა მიიღო რადიაციული მეტალის დოზა, რომელიც ლიმონათში იყო შერეული. 1963-დან 1971 წლამდე პერიოდში ათობით პატიმარს ორეგონსა და ვაშინგტონში დაასხივეს რენტგენის სხივებით, რათა გაერკვიათ, რადიაციის რა დონის შემთხვევაში ჩნდება უნაყოფობა.

ერთ-ერთ სკოლაში შენელებული განვითარების ბავშვებმა მიიღეს რადიაციის და კალციუმის დოზა. ამასთან, მშობლების მიერ ხელმოწერილ თანხმობის განცხადებებში მსგავსი არაფერი ეწერა. **მთელი ამერიკის მასშტაბით ფსიქიატრიული საავადმყოფოების პაციენტებს რადიაციული იოდის ინექციებს უკეთებდნენ.**

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე ცნობილი იყო, რომ რადიაცია იწვევს უჯრედების სიკვდილს, სხივურ დაავადებებს და სიკვდილიანობას. ქვემოთ მოყვანილია მონაცემები იმ სპეციალური კომიტეტის ანგარიშიდან, რომელიც 1933 წელს ადამიანებზე რადიაციით უკანონო ექსპერიმენტების შემთხვევათა შესასწავლად შეიქმნა.

40-იან და 50-იან წლებში მთელ მსოფლიოში ბოროტად იყენებდნენ რენდგენის სხივებს. ყველა დაავადებას რენდგენის საშუალებით მკურნალობდნენ, რადგან გრძელვადიანი რისკები ან უცნობი იყო, ან არარსებულად იყო შეფასებული.

**ბავშვები რეგულარულად იღებდნენ რადიაციის დიდ დოზას თვით ფეხსაცმლის მაღაზიებშიც კი, როდესაც „ფლუროსკოპის" საშუალებით მათი ფეხის ზომის დადგენა ხდებოდა.**

რადიაციის კაფსულებს ცხვირის ნესტოებში უდებდნენ ავადმყოფებს, რომელთაც სმენა ჰქონდათ დაქვეითებული და დღეს სწორედ ეს ითვლება სიმსივნის განვითარების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, კბილებთან დაკავშირებული პრობლემებისა და იმუნური სისტემის მოშლის საბაბად.

რადიაციით ექსპერიმენტები მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდებოდა.

ცნობილია უფრო მასშტაბური ექსპერიმენტებიც, ვიდრე ზემოთაა ჩამოთვლილი. მაგალითად, 1985 წელს აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტრომ მოაწყო რადიაციის გაჟონვა მთელი აიდაჰოს შტატის მასშტაბით. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ორგანიზებულ იქნა, სულ მცირე, რვა გაჟონვა იუტას შტატის უდაბნოში.

ატომური ბომბის 235 გამოცდა და ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვა ოფიციალურად არ ითვლება რადიაციასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტად. მიუხედავად ამისა, აშშ-ის სამხედრო პერსონალიდან 250-დან 500-მდე ადამიანმა რადიაციული დასხივება მიიღო ამ გამოცდების ჩატარებისას და იაპონიის ომისშემდგომი ოკუპაციისას.

კომიტეტმა ასევე გამოააშკარავა დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ცნობილი გახდა, რომ სამხედრო პირებმა იცოდნენ რადიაციული ნალექის მოსვლის დიდი რისკის თაობაზე ნევადის პოლიგონზე ატომური ბომბის გამოცდის შედეგად. მიუხედავად ამისა, გენერლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გამოცდა არ გადაეტანათ ფლორიდაში არსებულ გაცილებით უფრო უსაფრთხო ადგილას, საიდანაც ქარი რადიაციულ ღრუბელს ზღვისკენ განდევნიდა.

აშშ-ის კიბოს ნაციონალურმა ინსტიტუტმა 1997 წელს გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმადაც ატომური ბომბის გამოცდისას 160 მილიონმა ამერიკელმა მიიღო რადიაციული დასხივება რადიაციული ნალექის მოსვლის შედეგად. ეს ატომური ომის შედეგების შესაბამისი მაჩვენებელია, ოღონდ ეს ომი ამერიკელებს საკუთარმა ხელისუფლებამ მოუწყო.

mixednews.ru

# რა დაუჯდათ ამერიკელებს ერაყსა და ავღანეთში ომი



**საკითხი იმის შესახებ, თუ რა დაჯდა ვაშინგტონის მიერ გაჩაღებული ომები ერაყსა და ავღანეთში და რა წყაროები აფინანსებდნენ მას, დაფარულია არა მხოლოდ საიდუმლოების გაუმჭვირვალი ფარდით, არამედ ცალსახა ტყუილითაც, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია ავრცელებს. ზუსტად ისევე, როგორც ამ ომების ნამდვილი მიზეზები, რომელთა დაფარვას ვაშინგტონელი ქორები ასე თავგამოდებით ცდილობდნენ ხან „მასობრივი განადგურების იარაღის", ხანაც „ტერორიზმთან მსოფლიო ომის" საბურველით.**

ჯერ კიდევ ერაყის ომის დასაწყისიდან ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ირწმუნებოდა, რომ ამ ომის ხარჯებს ერაყის ნავთობის შემოსავლები აანაზღაურებდა. როდესაც თეთრი სახლის ეკონომიკურმა მრჩეველმა ლოურენს ლინდსიმ პირველად განაცხადა, რომ ამ ომის ღირებულება 200 მილიარდ დოლარს არ გადააჭარბებდა, იგი ხელისუფლების დანარჩენმა წევრებმა ჯერ ისე სასტიკად გააკრიტიკეს, შემდეგ კი აიძულეს, გადამდგარიყო.

**2010 წელს გაზეთი „The Washington Post"-ი წერდა, რომ მხოლოდ ერაყის ომი ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს 3 ტრილიონი დოლარი დაუჯდათ. მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ეს ციფრი ხელოვნურად შემცირებულია. ახლახან ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ერაყსა და ავღანეთში ამერიკის ათწლიანი აგრესიის საფასური 6 ტრილიონ დოლარს აღწევს, ანუ ყველა ამერიკულ ოჯახს ის 75 000 დოლარი უჯდება.**

ეს ხარჯები დაკავშირებულია არა მხოლოდ დიდი რაოდენობით სამხედრო აღჭურვილობის შეძენასთან, არამედ ჯარისკაცების კონტრაქტების ანაზღაურებაზე, მათ სამედიცინო მომსახურებაზე, სოციალურ დახმარებებზე, რომლებიც გაიცემა ამ ჯარისკაცების დაჭრის, დაინვალიდების ან გარდაცვალების შემთხვევაში. უკვე თავად ამერიკელებმა დაითვალეს, რომ მათ ავღანეთში ერთი წლის განმავლობაში ერთი ჯარისკაცის შენახვა მილიონი დოლარი უჯდებათ. არ დაგავიწყდეთ, რომ **ამ დრომდე ავღანეთში 60 000 ამერიკელი სამხედროა.**

ამ ომებმა ამერიკელებს დაუტოვა ვალების უმძიმესი ტვირთი, რასაც მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება ფედერალური ხელისუფლებისთვის არაერთი ათწლედის მანძილზე, რადგან საჭირო იქნება არა მხოლოდ ომისთვის აღებული კრედიტების პროცენტების გადახდა, არამედ ასიათასობით ვეტერანი ჯარისკაცის სოციალური და სამედიცინო ხარჯების გაღება. საქმე ისაა, რომ ეს ხარჯები ყოველწლიურად გაიზრდება, ამას ადასტურებს 1980-იან წლებში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის ანალოგიური ხარჯების ზრდა და ვიეტნამის ომის ვეტერანებისთვის ამ ხარჯების ახლანდელი მატება.

**გასულ 10 წელიწადში 1,56 მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი, ანუ ერაყისა და ავღანეთის ომების ყველა ვეტერანთა 56% საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, დახმარება კი მათ სიცოცხლის ბოლომდე უნდა უხადოს სახელმწიფომ.** გარდა ამისა, ამ ომების ყოველმა მეორე ვეტერანმა უკვე წარადგინა საბუთები სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდობის სტატუსის მისაღებად, შესაბამისად, სათანადო დახმარებისაც.

ეს ციფრები აბათილებს ამერიკის ხელისუფლების მიერ ადრე წარმოდგენილ ცნობებს, რომელთა თანახმადაც ომებში სულ რაღაც 50 000 ჯარისკაცი დაზარალდა. ვეტერანების მესამედი შინ დაბრუნებისთანავე განიცდიდა პოსტტრავმულ სტრესსა და დეპრესიას. 250 000-ზე მეტმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ამ ომებში თავის ქალის დაზიანებები მიიღო, ვეტერანთა და ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციებში მონაწილე ჯარისკაცთა შორის გაორმაგდა თვითმკვლელობის შემთხვევები.

ახლა ამერიკის ხელისუფლება უკვე ხარჯავს წელიწადში 134 მილიარდ დოლარს ერაყისა და ავღანეთის ომების ვეტერანთა სამედიცინო მომსახურებისა და დახმარებებისთვის, უახლოეს წლებში კი ეს ხარჯები 836 მილიარდით გაიზრდება.

როგორც ახლა გაირკვა, ამერიკის ხელისუფლება იტყუებოდა ამ ომების დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებითაც. აღმოჩნდა, რომ ერაყსა და ავღანეთში ამერიკა უცხოელი კრედიტორებისგან ნასესხები 2 ტრილიონი დოლარით ომობდა. ეს 2001-2012 წლების შუალედში მთელი ამერიკული სახელმწიფო ვალის 20%-ს შეადგენს. ამერიკას მრავალი წლის მანძილზე მოუწევს ამ ვალისთვის პროცენტის სახით მილიარდობით დოლარის გადახდა.

და, რაც მთავარია, ეს ფული მთლიანად ქარმა წაიღო. ის არ ყოფილა ინვესტირებული ეროვნულ საჭიროებებში, მაგალითად, სამედიცინო მომსახურებაში, განათლებაში, ინფრასტრუქტურაში, მეცნიერებაში... შესაბამისად, ეს ვალები ამერიკელი ხალხისთვის აბსოლუტურად უსარგებლოა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოფიციალური მონაცემებით, ახლა საცავში 147,3 მილიონი უნცია ოქრო დევს. მაქსიმალურ რაოდენობასთან შედარებით ოქროს რაოდენობა ფორტ-ნოკსში 79%-ით შემცირდა. ოფიციალური ტყუილის დამადასტურებელი დოკუმენტები და მათი არაკომპეტენტურობა, ვისაც მთელი ოქროს მარაგი ანდეს ამერიკელებმა, შოკის მომგვრელია.**

# დიდი ამერიკული ტრაგედია: რამდენი ოქრო დარჩა ფორტ-ნოკსში?



**სულ მალე 42 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც აშშ-ის ხელისუფლებამ გაკოტრების შესახებ გამოაცხადა, მაშინ ამას სხვა სახელი დაარქვეს. ასეა თუ ისე, 1971 წლის 15 აგვისტოს აი რა მოხდა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაარღვია პირობა, დოლარების სანაცვლოდ ოქრო გადაეხადა. ამ ავბედით დღემდე ოქრო მსოფლიო ფულადი სისტემის კანონიერი ღერძი იყო. მართალია, ყველა ვალუტა განისაზღვრებოდა აშშ-ის დოლართან მიმართებაში, თავად დოლარის ღირებულება 1/35 ტროიული უნცია ოქროთი განისაზღვრებოდა. ამის შემდეგ საერთაშორისო სავალუტო სისტემა ცენტრალური ელემენტის გარეშე დარჩა. სარეზერვო ვალუტად აშშ-ის დოლარი დარჩა. მაგრამ დღეს აღარ არსებობს იმის ოფიციალური განსაზღვრება, თუ რას წარმოადგენს თავად ეს დოლარი. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ვალუტის შემთხვევაში, სავალუტო ბაზრებზე ვაჭრობისას მისი ღირებულება იცვლება ყოველ ათ წამში ერთხელ და მისი ფასიც ყოველწლიურად ეცემა.**

მას შემდეგ, რაც ოქროსთან უკანასკნელი კავშირიც გაწყდა, დოლარისთვის მტკიცე კურსის შენარჩუნება სულაც აღარ იყო საჭირო. 2009 წელს 1971 წლის დოლარისგან მხოლოდ 18 ცენტი იყო დარჩენილი. ამრიგად, ამ პერიოდში დოლარმა თავისი მსყიდველუნარიანობის 80%-ზე მეტი დაკარგა.

1934 წლიდან 1971 წლამდე პერიოდში მხოლოდ უცხოელებს შეეძლოთ ლეგალურად წარმოედგინათ თავიანთი ამერიკული დოლარები და სანაცვლოდ ამერიკის ხელისუფლებისგან ოქრო მიეღოთ. 1971 წლის 15 აგვისტოს კი ვალუტის თავისუფალი გაცვლის ეს უკანასკნელი მამოძრავებელი ძალაც დაიბლოკა.

1934 წელს ამერიკის მოქალაქეებს ჩამოართვეს ოქრო, მონეტებიდან ზოდებად გადაადნეს და მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე მთელ ოქროს კენტუკის შტატში, ფორტ-ნოკსის ახალ საცავში მოუყარეს თავი. ამის შემდეგ ოქროს ოფიციალური ფასი 20,67 დოლარიდან 35 დოლარამდე გაიზარდა, ვალუტა დევალვირდა, რათა როგორმე ეკონომიკა დეპრესიიდან გამოეყვანათ. მაგრამ ამან არ უშველა, სამაგიეროდ, მოხდა ისე, რომ ოქროს არნახული რაოდენობა ერთ ადგილას აღმოჩნდა თავმოყრილი.

**იმ დროს, როდესაც დეფლაცია ახშობდა ფასებს ყველანაირ აქტივებზე, ოქროზე ფასის დიდმა ზრდამ განაპირობა ის, რომ ირგვლივ ყველამ მოინდომა, თავისი ოქრო აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსთვის მიეყიდა. მრავალი წლის მანძილზე ერთი უნცია ოქროს ფასი 35 დოლარი მის საბაზრო ღირებულებაზე მეტი იყო, ამიტომაც უცხოელი გამყიდველებისთვის ეს ძალიან მომგებიანი საქმე გახდა.**

ფორტ-ნოკსში ოქროს მაქსიმალურმა რაოდენობამ 701 მილიონ უნციას 1949 წელს მიაღწია. ეს რაოდენობა მთელი მსოფლიო ოქროს 69,9%-ს შეადგენდა. მანამდე არასდროს არავის შეუგროვებია ერთ ადგილას ამდენი ყვითელი ლითონი.

**ფორტ-ნოკსში ოქროს მაქსიმალურმა რაოდენობამ 701 მილიონ უნციას 1949 წელს მიაღწია. ეს რაოდენობა მთელი მსოფლიო ოქროს 69,9%-ს შეადგენდა. მანამდე არასდროს არავის შეუგროვებია ერთ ადგილას ამდენი ყვითელი ლითონი**

მაგრამ ცოტა ხანში ფორტ-ნოკსიდან ოქროს გატანა დაიწყეს. მას უცხოელ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს უგზავნიდნენ, თუ ისინი 35 დოლარს ჩადებდნენ ყოველი უნცია ოქროსთვის ფედერალური სარეზერვო ბანკის ბანკნოტებში. რაღაც მომენტში, კერძოდ, 1950 წელს, ერთი უნცია ოქროსთვის 35 დოლარი ძალზე დაბალი ფასი აღმოჩნდა.

მას შემდეგ 1972 წლამდე აშშ-ის ოფიციალური ოქროს მარაგების 75% ქვეყნიდან გატანილ იქნა და გადაიცვალა ქაღალდის დოლარებზე, რომელთა ბეჭდვაც თვითნებურად შეიძლებოდა. თუმცა ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ფორტ-ნოკსში რეალურად დარჩენილი რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლები იყო. **ოფიციალური მონაცემებით, ახლა საცავში 147,3 მილიონი უნცია ოქრო დევს. მაქსიმალურ რაოდენობასთან შედარებით ოქროს რაოდენობა ფორტ-ნოკსში 79%-ით შემცირდა.**

**ოფიციალური ტყუილის დამადასტურებელი დოკუმენტები და მათი არაკომპეტენტურობა, ვისაც მთელი ოქროს მარაგი ანდეს ამერიკელებმა, შოკის მომგვრელია.**

ადამიანი, სახელად ედვარდ დარელი მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდა მიმოწერას ამერიკის ხელისუფლების უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებთან. იგი თითქმის 90 წლის იყო, მდიდარ და წარმატებულ მეწარმედ ითვლებოდა, რადგან ათწლეულების მანძილზე აფინანსებდა არაერთი პოლიტიკოსის კამპანიებს. ვინაიდან დიდი სიცოცხლე აღარ დარჩენოდა, მოინდომა, რომ სიკვდილის წინ გამოქვეყნებული იყო მისი შფოთვის ყველა მიზეზი.

როდესაც პრეზიდენტმა ნიქსონმა ოქროს ფანჯარა დაკეტა, დარელმა მოისმინა საუბრები, რომლებმაც ფორტ-ნოკსში დარჩენილი ოქროს ხარისხსა და რაოდენობაზე დააფიქრა. ვინაიდან მთელი ცხოვრება რესპუბლიკელი იყო, დარელი არასდროს ენდობოდა ნიქსონს და მას პირველი კლასის მატყუარად მიიჩნევდა.

მიუხედავად ამისა, 1974 წელს, ნიქსონის გადადგომისას დარელი დაუკავშირდა თავის დიდი ხნის მეგობარს, რომლის საარჩევნო კამპანიაც არაერთხელ ჩატარდა მისი ფულით — უილიამ საკსბის. საკსბი პირველი შემხვედრი არ იყო: იმ პერიოდში იგი ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორი გახლდათ და ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს უმაღლესი წარმომადგენელი. გამოჩნდა რა ახალი პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი, რომელსაც დარელი გაცილებით უფრო კეთილსინდისიერად მიიჩნევდა ვიდრე ნიქსონს, მან საკსბის სთხოვა, ჩაეტარებინათ ფორტ-ნოკსის ოქროს სრული შემოწმება.

საკსბიმ სწრაფად მიიღო ზომები, რათა დარელს გული არ დაწყვეტოდა და ექვსი კვირის შემდეგ, 1974 წლის 23 სექტემბერს აშშ-ის ხაზინის დირექტორმა მერი ბრუკსმა კონგრესის ექვსი წევრი და ერთი სენატორი ფორტ-ნოკსში წაიყვანა. ფრანკლინ რუზველტის 1943 წლის 28 აპრილის ვიზიტის შემდეგ პირველად, ხაზინის და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა გარდა, სხვებსაც დართეს ნება, მოენახულებინათ საცავი. რამდენადაც ცნობილია, მას შემდეგ იქ უცხო არავინ შესულა.

ეს ოქროს მარაგის აუდიტორული შემოწმება ან ინვენტარიზაცია არ იყო — კონგრესმენებსა და სენატორს ფორტ-ნოკსში უბრალოდ ექსკურსია მოუწყვეს.

საბოლოოდ, დარელის მასალებზე დაყრდნობით კრისტოფერ ვებერმა დაწერა წიგნი სახელწოდებით **„ოქროსთან თანასწორობა: როგორ დავკარგეთ ოქროს რეზერვები და როგორ გავაუფასურეთ დოლარი“.** მაგრამ წიგნში არავინ ყვიროდა, რომ ფორტ-ნოკსში ოქრო აღარ დარჩა, მასში მხოლოდ ხელისუფლების პასუხები და ამ პასუხების არადამაკმაყოფილებლობა იყო ასახული, მაგრამ, ვინაიდან წიგნი საამისოდ მოუმზადებელ საზოგადოებაში გამოვიდა, მისდამი გამოჩენილმა გულგრილობამ, სავარაუდოდ, დააჩქარა კიდეც დარელის სიკვდილი.

წიგნის სათაურის პირველი ფრაზა აღებულია პრეზიდენტ კენედის გამოსვლიდან 1961 წლის იანვარში. როგორც მაშინ ახლადარჩეული პრეზიდენტი ამბობდა, **„უცხოური დოლარის რეზერვების ზრდა აშშ-ს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს — შეინარჩუნოს დოლარი, როგორც თავისუფალი მსოფლიოს ძირითადი სარეზერვო ვალუტა. ამისთვის საჭიროა, რომ მრავალმა ქვეყანამ დოლარი ოქროს თანასწორად აღიქვას. ამ რწმენის მხარდაჭერა ჩვენი პასუხისმგებლობაა“.**

**სამწუხაროდ, კენედი იმავე პოლიტიკას უჭერდა მხარს, რასაც სხვა პრეზიდენტები რუზველტიდან დაწყებული ობამამდე. ყველა მათგანი დოლარის კურსს მიიჩნევდა რაღაც ისეთად, რაც შეიძლება გაიწიროს სხვა მიზნებისთვის. ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც აშშ-ის დოლარი ამ დრომდეც მსოფლიო სარეზერვო ვალუტაა, ისაა, რომ ამ დრომდე ვერც ერთმა სხვა ქვეყანამ ვერ დაუპირისპირა მას საკუთარი ვალუტა.**

მაგრამ დოლარი უკვე დიდი ხანია, აღარ აღიქმება ოქროს თანასწორად და სხვა დანარჩენი ვალუტებიც გაიაფდა ძვირფას ლითონთან მიმართებაში.

ფორტ-ნოკსში ოქროს ერთადერთი შემოწმება ჩატარდა დუაიტ ეიზენჰაუერის გაპრეზიდენტებიდან სულ რამდენიმე დღეში, 1953 წლის იანვარში. დემოკრატების 20-წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ ამერიკელებს სურდათ, დარწმუნებულიყვნენ, რომ მათთვის ჩამორთმეული ოქრო ჯერ კიდევ ადგილზეა. ამრიგად, ახალმა პრეზიდენტმა უფლებამოსილების ჩაბარებიდან რამდენიმე საათში ბრძანა ფორტ-ნოკსის შემოწმება.

მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ეს შემოწმება სინამდვილეში სულაც არ იყო შემოწმება და დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

აუდიტების ჯგუფის წევრებს უფლება მისცეს, შეედგინათ შემოწმების წესები. საქმესთან შეხება არ ჰქონია არც ერთ დამოუკიდებელ ექსპერტს. შემოწმებაში მონაწილე სახელისუფლებო ბიუროკრატებს არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ მსგავსი ამოცანების გადაჭრაში და ამას თავადაც აღიარებდნენ. **მსოფლიოში უდიდესი ოქროს მარაგის სრული შემოწმება სულ შვიდ დღეს გაგრძელდა. მოგვიანებით ჩინოვნიკებმა აღიარეს, რომ მათ მხოლოდ ოქროს 5% შეამოწმეს. ამის შემდეგ ოფიციალურმა კომისიამ გამოაცხადა, რომ, თუ მთელი მარაგი შემოწმდებოდა, ყველაფერი დარეგისტრირებული მაჩვენებლების შესაბამისი იქნებოდა. ამრიგად, თუ შემოწმება კეთილსინდისიერად ჩატარდა, მომდევნო წლებში ოქროს მარაგის 80% საზღვარგარეთ გაიზიდა, თუ შემოწმება არაზუსტი იყო, მაშინ დაკარგუ-**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უდიდესი ოქროს მარაგის სრული შემოწმება სულ შვიდ დღეს გაგრძელდა. მოგვიანებით ჩინოვნიკებმა აღიარეს, რომ მათ მხოლოდ ოქროს 5% შეამოწმეს. ამის შემდეგ ოფიციალურმა კომისიამ გამოაცხადა, რომ, თუ მთელი მარაგი შემოწმდებოდა, ყველაფერი დარეგისტრირებული მაჩვენებლების შესაბამისი იქნებოდა. ამრიგად, თუ შემოწმება კეთილსინდისიერად ჩატარდა, მომდევნო წლებში ოქროს მარაგის 80% საზღვარგარეთ გაიზიდა, თუ შემოწმება არაზუსტი იყო, მაშინ დაკარგული ოქროს რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.**



**ლი ოქროს რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.**

ამ პირველმა და ერთადერთმა შემოწმებამ დაამშვიდა 1953 წლის ამერიკა, მაგრამ ის ამერიკა მიჩვეული იყო ოფიციალური სახელისუფლებო განცხადებების სიმართლედ აღქმას. მას შემდეგ, რაც ამერიკამ იმავე ხელისუფლებისგან არაერთი ტყუილი იწვნია, მისი განცხადებებისადმი რწმენა და პატივისცემა ახლანდელ ამერიკას თითქმის აღარ დარჩა.

1953 წლის შემდეგ, მართალია, მდიდარ ამერიკელებს საშუალება ჰქონდათ, ოქრო ხელსაყრელ ფასად დაეგროვებინათ, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგივე შეეძლოთ ამერიკის მტრებსაც: გადაეცვალათ ქაღალდის დოლარები ოქროში — ერთი უნცია 35 დოლარად.

1960-იან წლებში ვაშინგტონი შეეცადა ოქროზე ფასის დაკლებას, მაგრამ 1970-იან წლებში ძვირფასი ლითონის ფასი იზრდებოდა და ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ფასით მუდმივად მანიპულირებდნენ. როგორც კი მანიპულაცია შეწყდა, ფასები მალე და საგრძნობლად გაიზარდა, რათა მიეღწია იმ ნიშნულისათვის, რომელზეც მანიპულაციების გარეშე იქნებოდა და 1980 წლის იანვარში გახდა კიდევაც ერთი უნციის ფასი 850 დოლარი. ეს 2329%-იანი ზრდა იყო მაშინ, როდესაც სხვა ყველა სახის აქტივები ან იაფდებოდა, ან საერთოდ არ იცვლიდა ღირებულებას.

**1980 წელს დაწყებული ზომიერი ინფლაციის პერიოდის შემდეგ ოქროს ფასი 256 დოლარი გახდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა — 35 დოლარიან მინიმუმს. 2001 წელს ოქროს ფასმა ზრდა დაიწყო და ამ დრომდეც იზრდება.**

ამ ყველაფერზე კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ ფორტ-ნოკსში დარჩენილი ოქრო ძალზე შორსაა „საიმედო“ სტანდარტისაგან.

საიმედოდ არანაკლებ 995 სინჯის ოქრო ითვლება. სუფთაოქრო არის 999 სინჯის ძვირფასი ლითონი, მაგრამ 995 სინჯი მისაღებია ისეთი მყიდველებისთვის, როგორებიც ბანკები და კვალიფიციური ინვესტორები არიან. მთელი ოქრო, რაც კი ფორტ-ნოკსში იყო ოქროს ფანჯრის დახურვისას, საიმედო სტანდარტს შეესაბამებოდა.

მაგრამ დარელიმ შოკისმომგვრელი აღიარება მოისმინა აშშ-ის მთავარი საბიუჯეტო-საკონტროლო სამმართველოს მთავარი ჩინოვნიკისაგან — **ფორტ-ნოკსში ამ სტანდარტის ოქრო თითქმის აღარ დარჩა!**

ეს 1974 წლის ექსკურსიიდან რამდენიმე თვეში მოხდა. ამ ოთხსაათიანი მოვლენის დროს მნახველებს მხოლოდ ის აჩვენეს, რაც უნდა ენახათ არა ექსპერტებს, არამედ ფინანსთა სამინისტროს რჩეულ წარმომადგენლებს. მნახველებისთვის გახსნეს 13-დან მხოლოდ ერთი საცავი, კამერების შუქზე კონგრესმენებმა რამდენიმე ზოდი აწონეს, მაგრამ რომელიმეს ანალიზი არავის ჩაუტარებია.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ დამთვალიერებლებს უცნაური ნარინჯისფერი ზოდები აჩვენეს, ეს კი იმის ნიშანია, რომ ამ ზოდებს ოქროსთან არაფერი აკავშირებდათ.

ბოლოს და ბოლოს ფინანსთა სამინისტრო დათანხმდა ოქროს შემოწმებას, მაგრამ ჩინოვნიკებმა მისი მხოლოდ 20%-ის შემოწმებაზე გასცეს ნებართვა. სავარაუდოდ, შემოწმება ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ის ექსკურსიიდან მეორე დღესვე დაიწყო. შედეგები 1975 წელს გამოქვეყნდა. მაგრამ დარელს ეს არ ჰქონდა მხედველობაში, როდესაც გენერალურ პროკურორს შემოწმება სთხოვა. მან სამართლიანად ჩათვალა, რომ მოატყუეს, ისევე, როგორც მთელი დანარჩენი საზოგადოება. მაგრამ საკსბი ინდოეთში აშშ-ის ელჩი იყო და დარელი იძულებული გახდა, უკმაყოფილება ადგილობრივი კონგრესმენის მეშვეობით გადაეცა მისთვის. ამის შედეგად საბიუჯეტო სამმართველომ ოთხი თანამშრომელი გაგზავნა დარელის ფერმაში, რათა იგი შემოწმების კანონიერებაში დაერწმუნებინათ.

**1980 წელს დაწყებული ზომიერი ინფლაციის პერიოდის შემდეგ ოქროს ფასი 256 დოლარი გახდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა — 35-დოლარიან მინიმუმს. 2001 წელს ოქროს ფასმა ზრდა დაიწყო და ამ დრომდეც იზრდება**

სწორედ ამ შეხვედრისას უთხრეს დარელს სტუმრებმა, რომ ფორტ-ნოკსში იმ დროისთვის დარჩენილი ოქროს 10%-ზე ნაკლები აკმაყოფილებდა 995 სინჯის სტანდარტს. „დელეგაციის“ ხელმძღვანელმა კრიგერმა ეს დარელისთვის 1975 წლის 11 აპრილს მიწერილ წერილშიც დაადასტურა.

**ასე რომ, არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი და რა სინჯის ოქროა ახლა საცავში. 1972 წელს ფინანსთა სამინისტრო ამბობდა, რომ იქ 264 მილიონი უნცია ოქრო იყო, მაგრამ მალე ეს რაოდენობა 147,3 მილიონ უნციამდე შეამცირეს. ოქროს რაოდენობა საცავში მას შემდეგ ოფიციალურად არ შეცვლილა.**

მას შემდეგ, რაც კრიტიკოსებს გაუჩნდათ კითხვები, სად გაქრა ოქრო და რატომ დარჩა 147 მილიონი უნცია 264-ის ნაცვლად ან რა სტანდარტის იყო ეს დარჩენილი ოქრო, ფარდა საბოლოოდ დაეშვა. მომდევნო პრეზიდენტი ჯიმი კარტერი უარესი იყო, მას საერთოდ არ ადარდებდა ინფორმაციის გახსნილობა, შესაბამისად, არც მის ჩინოვნიკებს.

რეიგანი, მართალია, ბევრს ლაპარაკობდა ოქროს სტანდარტთან დაბრუნებაზე, მაგრამ მისი ჩინოვნიკები სამართლიანი და კეთილსინდისიერი აუდიტის ყველა შეთავაზებას მარჯვედ დაუსხლტნენ. **ფინანსთა სამინისტროს საქციელი კი ათწლეულების მანძილზე მიანიშნებს იმაზე, რომ მას დასამალი ბევრი რამ აქვს და ნაწილობრივ მისი დამსახურებაა ისიც, რომ რიგითი ამერიკელები აღარ ენდობიან არც ერთი პარტიის წარმომადგენელ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას.**

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ლაბორატორია, რომელიც ნიუ იორკში მდებარეობს, ერთადერთია, რომელიც 1934 წლის კონფისკაციიდან მოყოლებული ოქროს ზოდებად გადადნობას ახორციელებდა. რამდენიმე წლის წინ სულ სხვა ისტორიასთან დაკავშირებით გახმაურდა, რომ ამ ლაბორატორიიდან 5 ათას უნციაზე მეტი ოქრო მოიპარეს. ჩინოვნიკებმა და ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადეს, რომ „სიმართლე შესაძლოა ვერასდროს გავიგოთ, რადგან დოკუმენტები ძალზე ცოტაა“. ამ შემთხვევის გამო ბრალდება ფინანსთა სამინისტროს ორ თანამშრომელს წაუყენეს, მაგრამ არავინ იცის, კიდევ რამდენი ამგვარი შემთხვევა იყო — ამას არავინ აკონტროლებს. ყველამ იცის, რომ ყოველი სახელმწიფო სკანდალის უკან კიდევ ათასი ამგვარი სკანდალი იმალება, რომელთა გამოაშკარავება ხელს არავის აძლევს.

ეპოქაში, როდესაც მსოფლიო კვლავ უბრუნდება ოქროს, ამერიკის შეერთებული შტატები თავის ოფიციალურ ოქროს რეზერვს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებს, თუ მას ბაზარზე იყიდის ან კვლავ საკუთარ მოსახლეობას წაართმევს.

სხვათა შორის, ამერიკის ხელისუფლებამ, შესაძლოა, მართლაც მოითხოვოს მოქალაქეებისგან ოქროს კონფისკაცია — მისგან უკვე ყველაფერია მოსალოდნელი. მაგრამ დღევანდელი ამერიკელები აღარ ჰგვნან მათ, ვინც 1933 წელს იყვნენ. ისინი ეჭვით უყურებენ საკუთარ ხელისუფლებას და, სავარაუდოდ, ევროპელების მსგავსად მოიქცევიან — გადამალავენ საკუთარ ოქროს. 1933 წლის კონფისკაცია მხოლოდ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი, მაშინ ამერიკელები სახელმწიფოს აძლევდნენ მთელ თავიანთ ოქროს და ამას პატრიოტულ აქტად მიიჩნევდნენ, დღეს ეს აღარ მოხდება.

სავარაუდოდ, ამერიკა განაგრძობს ოქროს დაუფასებლობას, რასაც აკეთებდა კიდეც უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. ჩინოვნიკთა უმეტესობა, სინამდვილეში კი არც ერთი ჩინოვნიკი არ სცემს პატივს ოქროს და ამით ძალიან ჰგავს ამერიკელ ინვესტორებს. მომავლის ისტორიკოსები გაოცდებიან ამერიკის ესოდენ სწრაფი ვარდნის გამო, მაგრამ წარსულშიც უამრავი მაგალითია იმისა, რომ ვერც ერთმა დიადმა ხალხმა ვერ შეძლო ოქროს სტანდარტზე უარის თქმა და საკუთარი სიდიადის შენარჩუნება.

1933 წელს, როდესაც ამერიკელებმა თავიანთი ოქრო ნებაყოფლობით მისცეს საკუთარ სახელმწიფოს, მათ უნციისათვის 20,67 დოლარი გადაუხადეს. ის ამერიკელები, თითო უნცია მაინც რომ შემოენახათ თავისთვის, ახლა მას 1200 დოლარად გაყიდიდნენ. იმავე ამერიკელებს, მაშინდელი 20,67 დოლარი რომ დღემდე შემოენახათ, ახლა იმდროინდელი საზომებით 1,32 დოლარი ექნებოდათ.

აი, რა დაემართა დოლარს და რა დაემართა ოქროს.

თუ ამერიკელებს ოდესმე კიდევ დაუპირებენ ოქროს კონფისკაციას, ისინი არჩევანის წინაშე დადგებიან. იციან რა საკუთარი ისტორია, მშვენივრად ახსოვთ, რომ, როდესაც ხალხს უკანასკნელად ჩამოართვეს ოქრო, ხელისუფლება მათ ცუდად მოექცა. ხელისუფლებამ ლითონი სადღაც გაფლანგა, გაცვალა საკუთარ უფასურ ქაღალდებში... და **ვინ იცის, რამდენი ოქრო მოიპარეს თავად სახელისუფლო პირებმა?** მაგრამ გაცილებით მეტი ოქრო დაიკარგა ისეთი სულელური პროგრამების გამო, როგორიც, მაგალითად, ცსს-ს მიერ პოლონეთში მილიონი დოლარის ღირებულების ზოდების პარაშუტებით ჩაყრა და ვითომდა გავლენიანი ანტისაბჭოთა მოძრაობის მხარდაჭერა იყო. სინამდვილეში ეს მოძრაობა საბჭოთა კავშირმა ცსს-ს აქციამდე რამდენიმე წლით ადრე გაანადგურა და მისი მთავარი პირები ორმაგ აგენტებად აქცია.

ამერიკელები, რომელთაც ოქრო შერჩათ, არიან მდიდრები, რომლებმაც საზღვარგარეთ შეიძინეს ძვირფასი ლითონი. სწორედ ამგვარად მოხდა კაპიტალის გადანაცვლება საშუალო ფენიდან მდიდარ ფენაში ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ, ვიდრე ადამიანები ამ ტენდენციას შეამჩნევდნენ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ის ხელისუფლებამ სრული ქაოსი შექმნა და გაანადგურა ყველაფერი ღირებული, რასაც კი ხელი შეახო.

სინამდვილეში, ამერიკელებს თუ ოდესმე კიდევ ელით ოქროს კონფისკაცია, ამას ცენტრალური ხელისუფლება ველარ გააკეთებს, რადგან მან საბოლოოდ დაკარგა ლეგიტიმურობა. სამაგიეროდ, მის ნაცვლად ამას გააკეთებენ ადგილობრივი ძალოვნები, საველე მეთაურები, რომლებიც ადრე სხვა ქვეყნებს ავიწროებდნენ (ეს ხდებოდა იაპონიასა და ევროპაში და დღემდეც ხდება ავღანეთში). ამ ბოევიკებიდან ზოგიერთებს, მაგალითად, ახმედ შაჰ მასუდას „ჩრდილოეთ ალიანსს“ სწორედ ამერიკა უჭერს მხარს.

როგორც ჩანს, ამერიკა უკვე მივიდა იმ მომენტამდე, როდესაც უნდა ვიფიქროთ, რომ, თუკი ოდესმე გაჩნდება კიდეც სუფთა ფული, ეს მხოლოდ სახელმწიფოსგან ფულის განცალკევების დონეზე მოხდება.

სახელმწიფოს ჰქონდა შანსი, ეკონტროლებინა მთელი თავისი ფული, მან კი ყველაფერი ქაოსად აქცია.

goldenfront.ru




**როგორც ჩანს, ამერიკა უკვე მივიდა იმ მომენტამდე, როდესაც უნდა ვიფიქროთ, რომ, თუკი ოდესმე გაჩნდება კიდეც სუფთა ფული, ეს მხოლოდ სახელმწიფოსგან ფულის განცალკევების დონეზე მოხდება**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება, რომელიც ომის ვეტერანებს, ომში დაღუპულების ოჯახებს არ ეხმარება, ყურადღებას არ აქცევს და მათ ღირსებას არ იცავს, შეუძლებელია, ხალხზე ფიქრობდეს.“**

ვახტანგ ჯაფარიძე:

# ხელისუფლება, რომელიც ომის ვეტერანებს არ იცავს, შეუძლებელია, ხალხზე ფიქრობდეს

**საყოველთაო ნგრევისა და თავაშვებულობის ჟამმა ბევრი კარგი სიტყვა გაცვითა და გააფერმკრთალა, მათ შორის სიტყვა — „ლეგენდარული“. მისით ვინ არ შეამკეს: უხმო მომღერლები, უნიჭო მსახიობები, უსმენო კომპოზიტორები, უგემოვნო დიზაინერები და ა.შ. საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებას შემორჩნენ ადამიანები, რომლებსაც ეს სიტყვა მიესადაგებათ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლეგენდარული ოპერმუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ძველი თბილისის რაიონის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე, 91 წლის პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე. სკეპტიკოსთა ეჭვის გასაქარწყლებლად ვიტყვი: ბატონმა ვახტანგმა ბრწყინვალედ გახსნა 48 დანაშაული, დააკავა უამრავი დამნაშავე ისე, რომ არც ერთს ფრჩხილიც არ დაუზიანა, მათ შორის, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ცოცხლადდამწვარი ევგენი აფრასიძე... რედაქციაში გვესტუმრა და „ნაციონალების“ მიერ 19 აპრილს გამართულ მიტინგთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გამოთქვა ვახტანგ ჯაფარიძემ:**

— 19 აპრილს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უნებლიეთ დაადასტურა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიც გააყალბა. ვეკითხები მის ლიდერებს: სადაა მოსახლეობის ის 40 პროცენტი, რომელმაც თქვენ ხმა მოგცათ? თქვენ მიერ იქ მორეკილი ხალხის რაოდენობა, თუნდაც 20 ათასი, ამას არ ადასტურებს. მაგდენი ხალხი საპროტესტოდ რომ იკრიბებოდა თქვენი მმართველობის დროს, ხალხმრავლად არ ითვლებოდა!

ოთხი ათეული წელია, რაც ომის ვეტერანების ინტერესების დასაცავად ვიბრძვი. დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ღირსებას მაინც არავინ შეგვილახავს, თუმცა არიან პიროვნებები, რომლებიც წინა ხელისუფლებას მისტირიან. სწორედ ისინი მაიძულებენ ხელში კალმის აღებას. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არის სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია. მეც ვსარგებლობ ამით და თავს უფლებას ვაძლევ, შევეხო პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ხელმოუწერელ დოკუმენტებს, რომელთაც მკვეთრად გააუარესეს ომის ვეტერანების ყოფა.

**2006 წლის 26 ნოემბერს ქ. მინსკში ჩატარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების საზეიმოდ აღნიშვნის თაობაზე. გადაწყვეტილებაში ჩაწერილია, რომ უნდა განხორციელდეს ღონისძიებები მამულის დამცველთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, მებრძოლთა სამარხების, მემორიალური კომპლექსების, ძეგლებისა და ობელისკების, ძმათა სასაფლაოების, მებრძოლ პარტიზანთა და იატაკქვეშელთა ცალკეული საფლავების შენარჩუნებისა და კეთილმოწყობის მიზნით. ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის, რუსეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და უკრაინის სახელმწიფოს მეთაურებმა. სამწუხაროდ, ხელი არ მოაწერეს მხოლოდ თურქმენეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა.**

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ანალოგიური სხდომა 2007 წლის 5 ოქტომბერს ქ. დუშამბეში ჩატარდა, სადაც მიიღეს სერიოზული გადაწყვეტილება — ვეტერანთა მიმართ დასახული ღონისძიებებისთვის ფინანსების გამოყოფის თაობაზე. გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოს მეთაურებმა, მათ შორის თურქმენეთის სახელმწიფოს მეთაურმაც კი. ამ შემთხვევაში ხელი არ მოაწერა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა. რატომ განაცხადა პრეზიდენტმა უარი სახელმწიფო დოკუმენტებზე ხელის მოწერაზე მინსკსა და დუშამბეში, ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ამაზრზენი კანონის შინაარსს რომ გაგაცნობთ, თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება.**

2011 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფლების ქარტიის“ სახელწოდებით; რატომღაც კანონის მიღებას გია თორთლაძის ინიციატივა უწოდეს. ამ კანონში პირდაპირ ჩამოთვლილია, რომ უნდა დაინგრეს, განადგურდეს საბჭოთა სიმბოლიკები, მემორიალები, მონუმენტები, ძეგლები; უნდა შეიცვალოს სახელწოდებები, გაუქმდეს თავშეყრის ადგილები, რაც მთავარია, **საბჭოთა იდეოლოგია გაუთანაბრეს ფაშისტურ იდეოლოგიას! პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა!** ამრიგად, თამამად ვამბობ, რომ სამამულო ომის მონაწილეთა უკვდავსაყოფ მემორიალების მშენებლობაზე, ვეტერანთა კეთილდღეობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლის დოკუმენტიც მინსკსა და დუშანბეში იყო მიღებული, სახელმწიფო მეთაურთა გადაწყვეტილებით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი არ მოაწერა, სამაგიეროდ, **საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აშენებული სიმბოლიკების, მემორიალების, ობელისკების, ძეგლების დანგრევაზე, სახელწოდებების შეცვლაზე მიღებულ კანონს მან ხელი მოაწერა! დასაფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ სააკაშვილს კანონზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი, ქუთაისში მემორიალი რომ ააფეთქეს, მემორიალი, კომუნისტებმა ააგეს სამამულო ომში დაღუპული 300 ათასი ქართველი ახალგაზრდა მეომრის ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომელსაც დედაშვილის სიცოცხლე შეეწირა!..**

რამდენად დიდი ბოროტება, ზიზღი და სიძულვილი უნდა გქონდეს პიროვნებას, რომ მემორიალი ააფეთქო! ამასაც ხომ მოვესწარით!.. ომის ვეტერანებს მიგვაჩნია, თუ ხელისუფლებას მემორიალის ადგილზე პარლამენტის აშენება ჰქონდა დაგეგმილი, რატომ მემორიალი არ გადაიტანეს სხვა ადგილზე ან, პირიქით, რატომ მაინც და მაინც მემორიალის ადგილზე დაიგეგმა პარლამენტის შენობის აგება?! **დარწმუნებული ვართ, რომ მემორიალი აფეთქდა და განადგურდა შეგნებულად, წინასწარი განზრახვით და უშუალოდ სააკაშვილის ინიციატივით! ამას პარლამენტის მიერ მიღებული კანონიც ადასტურებს.**

რატომ, რისთვის მოხდა არნახული ვანდალიზმი, ეს უნდა დადგინდეს! ამის გამო ჩვენ, ომის ვეტერანები კატეგორიულად მოვითხოვთ, ამ საქმეში ჩაერთოს პროკურატურა! მან უნდა დააზუსტოს მონუმენტის აფეთქების მიზეზები და პასუხი მოსთხოვოს დამნაშავეებს!

საბჭოთა კავშირის მიმართ სიძულვილის გამო სააკაშვილს, შესაძლოა, ჩვენ მიმართაც სიძულვილი აქვს, მაგრამ რა დააშავეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებმა? როდესაც აფხაზეთის ომის ვეტერანებმა მძიმე სოციალური პირობების გამო შიმშილობა გამოაცხადეს გმირთა მოედანზე, მემორიალთან, ხელისუფლებამ ისინი დაარბია, იმ მოტივით, რომ ტერიტორიას ანაგვიანებენო. არავის უკითხავს, რა გაჭირვებამ აიძულა ომის ვეტერანები, შიმშილობა რომ გამოაცხადეს! **ხელისუფლება, რომელიც ომის ვეტერანებს, ომში დაღუპულების ოჯახებს არ ეხმარება, ყურადღებას არ აქცევს და მათ ღირსებას არ იცავს, შეუძლებელია, ხალხზე ფიქრობდეს.**



## საბჭოთა კავშირის მიმართ სიძულვილის გამო სააკაშვილს, შესაძლოა, ჩვენ მიმართაც სიძულვილი აქვს

უფრო მეტიც, როგორ გავიგოთ მეტად დამაფიქრებელი ფაქტი იმის თაობაზე, რომ პარლამენტმა ამ კანონში გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, შეარჩია. ეს მეტად დასაფიქრებელია იმიტომ, რომ მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში განსაკუთრებით საშიშმა დანაშაულებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო, როგორიცაა: უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩაში დახოცვა, უდანაშაულო ადამიანებისთვის ნარკოტიკების, იარაღის ჩადება და გასამართლება, მობილურ და საერთოდ ტელეფონებზე მოსმენა, წინა თაობის აუგად მოხსენიება და მრავალი სხვა.

**2004-2012 წლებში მარტო საპოლიციო ოპერაციის განხორციელებისას დაღუპულია 100 კაცზე მეტი** (ძირითადად, დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობის ან შეიარაღებული თავდასხმის მოტივით). ეს პროფესიონალისთვის საგანგაშო ფაქტია! მაგრამ, **ვინც ვანო მერაბიშვილს მისტირის, მისთვის არაფერს წარმოადგენს 26 მაისს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის ფაქტი. მე, როგორც პროფესიონალს, არ მომწონდა მერაბიშვილის საქმიანობა და მაღიზიანებდა კიდეც. ამიტომაც, არ შევუშინდი მის „დიდ“ ავტორიტეტს, რომელიც იმ პერიოდში ჰქონდა, და 2011 წელს კრიტიკული წერილი გავუგზავნე, რომელშიც ვამხილე მისი დანაშაულებრივი საქმიანობა!** ამასწინათ შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ტელევიზიით საქვეყნოდ განაცხადა: ახალი მთავრობის საქმიანობა ძველ „კაგებეს“ საქმიანობას მაგონებსო. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი ცინიკური, უაზრო განცხადებების გაკეთება? მრავალი წლის მანძილზე საქართველოში კგბ-ს მინისტრი იყო დიდი პროფესიონალი და კაცთმოყვარე ადამიანი — ალექსი ინაური. ყველას ვეკითხები, ვისაც ახსოვს ან სმენია ბატონი ინაურის მინისტრად მუშაობის პერიოდის შესახებ: **თუ მომხდარა თბილისში ახალგაზრდობის ქუჩაში ჩახოცვა და სხვა მრავალი მძიმე დანაშაული, როგორიც მერაბიშვილის მინისტრობის პერიოდში ხდებოდა, და რომელთა ორგანიზატორი პირადად ის გახლდათ?**

ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. კომუნისტების დროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრების ქონება რომ შეკრიბო და გადაიყვანო თანხებში, ახლოსაც ვერ მივა ვანო მერაბიშვილის ქონებასთან! ინაური იყო კორუმპირებული და ვანო მერაბიშვილი პატიოსანი? ეს ხომ ცინიზმია!

**გულისტკივილით მინდა აღვნიშნო ფაქტი — ამერიკის პრეზიდენტ რეიგანის ძეგლი ქართველებმა რიყეზე დადგეს, სტალინის ძეგლი გორში კი წააქციეს და სადღაც სოფელში გადამალეს. სამწუხაროდ, ვინც ეს გააკეთა, ქართველობის რომ არაფერი აქვთ, ამაში მალე მათ თვითონ ქართველები დაარწმუნებენ. ეს ახლო მომავალში მოხდება!**

**ნუ დაგავიწყდებათ, რაც დიდმა ბელადმა — სტალინმა, საქართველოს სიკეთე გაუკეთა, ჯერ არავის გაუკეთებია! და მოვა დრო ყოველივე ამას მომავალი თაობა შეისწავლის და მას ღირსეულ ადგილსაც მიუჩენენ!**

მინდა, გაზეთის საშუალებით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მივმართო: ჩვენ ომის ვეტერანებმა უმძიმესი გზა გავიარეთ სამამულო ომიდან დაწყებული დღემდე, რომლის შესახებ დეტალურად თქვენ მოგახსენეთ, პირველი შეხვედრის დროს. ამ წერილის გაცნობის შემდეგ არ გამოვრიცხავ, რომ ყველა ომების ვეტერანთა მიმართ მთავრობის მხრიდან კიდევ უფრო გაიზრდება ყურადღება, მაგრამ აქვე განსაკუთრებით მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი თაობა არასდროს არ შელახავს თავის ღირსებას და თავს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ რაიმე მოთხოვნები და პრეტენზიები წამოვაყენოთ. კარგად გვესმის, რომ ამის დრო დადგება. მაგრამ ჩვენი სურვილია, თქვენთან დავაყენოთ ისეთი საკითხები, რომელთა გაზეთში დაწერაზე თავს ვიკავებ. მართალია, დატვირთული ბრძანდებით, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რამდენიმე წუთით მიგვიღებთ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, რისთვისაც დიდად კმაყოფილი დავრჩებით!

ჩაიწერა
**გიორგი კორძაძემ**

**ერთმნიშვნელოვნად დასაგმობია პაციენტისა და სამედიცინო დაწესებულებისთვის საზიანო ქმედებები. თუ ონკოლოგიის გადარჩენაზეა ლაპარაკი, მაშინ მოქმედი ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის რეპუტაციის შელახვა ამ მიზანს ვერ მოემსახურება.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «არ ვავნოთ, თუ არ ვარგებთ»

## «საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების» მიმართვა სამედიცინო საზოგადოებისადმი

**ექიმებს დიდი მისია გვაკისრია, რადგან საკუთარი გადაწყვეტილებით ავირჩიეთ ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესია. მოვალენი ვართ, ვიზრუნოთ სხვისი შვილის, დედის, მამის, ახლობლის — ზოგადად, სხვა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლეზე. ექიმს მორალური, პროფესიული და იურიდიული მოვალეობები აქვს, როგორც ავადმყოფის, ასევე კოლეგების მიმართაც.**




არსებობს სამედიცინო ეთიკა, ქცევის წესები, რომლებიც, ალბათ, თითოეულმა ჩვენგანმა ზეპირადაც კი ვიცით; თუმცა, კოლეგებო და მეგობრებო, დაგვეთანხმებით, რომ ეს თვისებები ნებისმიერმა ჩვენგანმა არამცთუ უნდა დაივიწყოს ან უარყოს, არამედ მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა განავითაროს და სრულყოს. ბოლო ათეული წლების მანძილზე მიღებულია დეკლარაციები, კოდექსები, წესები, რომლებიც განსაზღვრავს ექიმის ქცევის ეთიკურ ნორმებს. მათში ბევრ სხვა საკითხთან ერთად საუბარია ექიმის ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალურ მისიაზე, ამიტომ, როგორც თქვენი მეგობრები და კოლეგები, პირდაპირ გეტყვით: არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისა, რომ ეთიკას გადავუხვიოთ, არ უნდა გავხდეთ მსხვერპლნი ამბიციების, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრმა არ უნდა გვიბიძგოს ერთმანეთის ლანძღვისკენ.

სამედიცინო ასიციაციების გაერთიანების წევრებს ამ, უკვე კარგად ცნობილ, პრობლემებზე საუბარი შემთხვევით არ გადაგვიწყვეტია. ბოლო პერიოდში სამედიცინო მუშაკთა ნაწილმა, ვფიქრობთ, დაივიწყა საკუთარი მთავარი მოვალეობა, რომელიც ასე ძლიერ სჭირდება პაციენტებს. ერთმანეთის დისკრედიტაცია, სხვადასხვა ბრალდება (თუნდაც საფუძვლიანი) და დაპირისპირება — ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ქმედებებისა, რომელთაც სხვადასხვა მიზნით სჩადის ჩვენი კოლეგების საბედნიეროდ მცირე ნაწილი.

ჩვენი მთავარი საზრუნავი პაციენტია! ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებების სახელის დაუსრულებელი შელახვა კი, პირველ რიგში, პაციენტებს უკარგავს რწმენას, რაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს, ხოლო შემდგომ უკვე ჩვენივე კოლეგებზე და სამედიცინო დაწესებულების იმიჯზე ახდენს ზეგავლენას, რომელთა ნორმალური ფუნქციონირებაც ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის.

სამედიცინო საზოგადოება უკანასკნელ თვეებში გვერდიდან უყურებს შპს „საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის" გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. ჩვენი პაციენტებისა და კოლეგების საკეთილდღეოდ თავი მოვალეოდ ჩავთვალეთ, რომ ამ პროცესებს გამოვხმაურებოდით, რადგან არაჯანსალი ქმედებები ზიანს აყენებს მთლიანად სამედიცინო საზოგადოებას.

2010 წელს სს „ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრიც", როგორც სამედიცინო დაწესებულებების უმეტესობა, საპრივატიზაციო დაწესებულებათა ნუსხაში მოხვდა და მოხდა მისი განკერძოება. ამ პროცესმა სამედიცინო პერსონალის შიგნით მწვავე დაპირისპირება გამოიწვია. 2012 წლის ნოემბერში ონც-ს თანამშრომელთა შორის დაპირისპირებას გაზეთების, ჟურნალებისა და სატელევიზიო არხების საშუალებით ბრალდებების მთელი ნიაღვარი მოჰყვა მისი გენერალური დირექტორის, რეზო გაგუას მიმართ.


ონკოცენტრის განახლებული ფასადი

ჩვენი აზრით, ეს დაპირისპირება იწვევს არამხოლოდ ონკოცენტრისა და მისი ხელმძღვანელის დისკრედიტაციას, არამედ აღვივებს პაციენტების უნდობლობას ზოგადად დარგის სპეციალისტების მიმართ, რაც მიმართვიანობაზეც აისახება, ხოლო ამას შესაძლოა მოჰყვეს ონკოლოგიური პაციენტებისთვის ადეკვატური დახმარების აღმოჩენის დაგვიანება.

ერთმნიშვნელოვნად დასაგმობია პაციენტისა და სამედიცინო დაწესებულებისთვის საზიანო ქმედებები. თუ ონკოლოგიის გადარჩენაზეა ლაპარაკი, მაშინ მოქმედი ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის რეპუტაციის შელახვა ამ მიზანს ვერ მოემსახურება. უკმაყოფილო თანამშრომელი შეიძლება ნებისმიერ დაწესებულებაში გამოჩნდეს, მაგრამ ეს დაპირისპირება დაწესებულების შიგნით უნდა მოგვარდეს.

ჩვენ დღეს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პრობლემებზე ვსაუბრობთ, თუმცა შექმნილ ვითარებაზე რეაგირება დროზე თუ არ მოვახდინეთ, თუ ერთად არ დავდექით სრულიად სამედიცინო საზოგადოება, პრობლემა, შესაძლოა, გლობალური გახდეს და ნებისმიერ დაწესებულებას შეეხოს.

„ექიმი სხვა არაფერია, თუ არა სულის ნუგეში" (პეტრონიუსი) — ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა ნდობაზეა დამყარებული, მკურნალის მიმართ ნდობა კი გამოჯანმრთელების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამიტომ ჩვენი კოლეგის შეურაცხყოფით ნუ დაუკარგავთ ავადმყოფს კარგად გახდომის იმედს. პრობლემები განვიხილოთ ერთად, დახურულ კარს მიღმა. არ არის საჭირო აფიშირება, ნუ შევქმნით შოუს სკანდალების მოყვარულთათვის. ასე პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ.

**გოჩა ინგოროყვა,**
**პროფესორი, გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე;**
**არჩილ მორჩილაძე,**
**გაერთიანების აღმასრულებელი მდივანი**


ონკოცენტრის კორპუსის გარესამუშაოები დასასრულს უახლოვდება

# განახლებულ აკადემიაში

**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 26 აპრილს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შედგა არჩევნები. 8 ვაკანტურ ადგილზე შემოტანილი იყო 10 განცხადება. ფარული კენჭისყრით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) აირჩიეს პროფესორები: თამაზ კუნჭულია, ჯუმბერ ონიანი, გივი ბადრიშვილი, ვაჟა კვალიაშვილი, გურამ პაპუნიძე, გივი ცაგურიშვილი, თენგიზ ყურაშვილი, ჯემალ გუგუშვილი.**

გადახალისებულ აკადემიაში აქტიურად გრძელდება ღონისძიებათა ციკლი, რომელიც აგროკულტურის დონის ამაღლებისკენ არის მიმართული. ქართული მეხილეობის აღორძინების საკითხებს მიეძღვნა „მრგვალი მაგიდა", რომელიც ჩატარდა აკადემიის სამეცნიერო საბჭოსა და საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების ეგიდით.

„მრგვალი მაგიდის" მონაწილეებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე. მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიის მეხილეობის დარგის ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი იუზა ვასაძე, აკადემიის წევრები: ვაჟა კვალიაშვილი და გივი ბადრიშვილი.

საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ პრაქტიკოს მეხილეებს: გივი აბალაკს, ნუგზარ შენგელიას, თამაზ ნიპარიშვილს, პროფესორებს: კოტე სარაჯიშვილს, ვალერი სუხიშვილს და სხვებს.

მიღებული იქნა დარგის განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციები, რომლებიც გადაეგზავნება სამინისტროს.

„მრგვალი მაგიდის" მუშაობა შეაჯამა აკადემიის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ნაპოლეონ ქარქაშაძემ.

**სალომე კიკნაველიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრესსამსახურის მენეჯერი**

მოკლედ

# ვის რამდენი «შეაწერა» «ნაცმოძრაობამ»

**ათასობით ადამიანი სამართლის აღდგენის მოლოდინშია და წართმეული ქონების დაბრუნებას ელის. მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებმაც თავის დროზე სახელმწიფოს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, თავიანთი ქონება აჩუქეს, რადგან როგორც ამბობენ, სასტიკ ზეწოლას ვერ გაუძლეს.**

საყურადღებოა ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" მიერ შესწავლილი ოთხი წლის მონაცემები, რომელთა მიხედვით ყოველწლიურად სულ უფრო მეტი მოქალაქე „ჩუქნიდა" სახელმწიფოს როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ქონებას, სამეწარმეო წილებს.

2004-2005 წლებში სახელმწიფოსთვის ერთ ლარად ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 4 მილიონ 449.292 ლარი და 218.500 აშშ დოლარი შეადგინა; 2006 წელს — 9.990.898 ლარი, 5.616.800 დოლარი და 10.100 ევრო; ხოლო 2007 წელს 123.396.887 ლარსა და 167 780 აშშ დოლარს გადააჭარბა.

**სულ 2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ 137 მილიონ 837 ათასი ლარი, 6 მილიონი დოლარი და 10.100 ევრო შეადგინა.**

**არაოფიციალური ინფორმაციით, 9 წლის განმავლობაში 2 მილიარდი ლარის ქონება სახელმწიფომ ხალხისგან „საჩუქრად მიიღო".**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეამბოხეებს სტალინის შემცვლელიც ჰყავთ შერჩეული — დაუნდობელი, პატივმოყვარე, მომავალი დიქტატორი — მარშალი ტუხაჩევსკი, რომელიც დაპატიმრებისთანავე აღიარებს, რომ განზრახული ჰქონდათ სტალინისა და მისი გარემოცვის განადგურება.**




## ტელეკომპანია HTB-ს ფილმის საგაზეთო ვარიანტი

# სტალინი ჩვენთანაა

**იგი იყო ადამიანი, რომელმაც ათწლეულობით წინასწარ განსაზღვრა ქვეყნის ბედი. ის იყო ლიდერი, რომელმაც თანამედროვე ევროპის სახე შექმნა. მისი სახელი დაუკავშირეს სასტიკ დანაშაულობებს და დიად გამარჯვებებს. მისი ადგილი ისტორიაში ამოშალეს, მისი პიროვნება მითების გალავნით შემორკალეს, რომლის იქით რეალობა დაიკარგა.**
**ფილმის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაწარმოები არ უნდა ნახონ იმათ, ვისაც სტალინი ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად მიაჩნიათ, არც იმათ, ვისაც იგი ჯოჯოხეთის მოციქული ჰგონიათ. ეს ფილმი არის მცდელობა ბელადის ისეთად წარმოჩენის, როგორიც სინამდვილეში იყო, შავ-თეთრი მითების გარეშე. რატომაა იგი დღემდე ჩვენთან და ზოგიერთებს დღესაც მის თაყვანისმცემლებად მოაქცევს, სხვებში კი სიძულვილს იწვევს? ამ კითხვებზეც იპოვით პასუხებს HTB-ს მრავალსერიან მონათხრობში.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №10-15 (197-202)



მას შემდეგ, რაც გერმანიის სათავეში ფაშისტები მოვიდნენ, დღის წესრიგში თვით საბჭოთა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

„კრემლის შეთქმულება“ რეალურ კონტურებს იძენს. კრემლის კომენდანტ პეტერსონს კიევში, აბელ ენუქიძეს ხარკოვში ერთდროულად დააპატიმრებენ. ასეულობით კილომეტრით ერთმანეთს დაშორებული ეს ორი ადამიანი გამოძიებას ერთნაირ ჩვენებას აძლევს: სიყალბე გამორიცხულია, პროვინციელ გამომძიებლებს, რომლებსაც კრემლი მხოლოდ კინოებში თუ ენახათ, არ შეეძლოთ სცოდნოდათ, შენობაში სად, რომელი ოთახია განლაგებული, როგორი კონფიგურაციისაა კრემლის დერეფნები. პეტერსონისა და ენუქიძის ჩვენებებში ზუსტად ერთნაირად არის მითითებული, ამბოხებულებს სად, რომელ ოთახებში უნდა ჩაეკეტათ ქვეყნის ხელმძღვანელობა — სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი.



მეამბოხეებს სტალინის შემცვლელიც ჰყავთ შერჩეული — დაუნდობელი, პატივმოყვარე, მომავალი დიქტატორი — მარშალი ტუხაჩევსკი, რომელიც დაპატიმრებისთანავე აღიარებს, რომ განზრახული ჰქონდათ სტალინისა და მისი გარემოცვის განადგურება.




ლილია ბრიკი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ყოფილი საყვარელი, გულუბრყვილოდ იხსენებდა მარშლების მეგობრულ შეკრებებს კორპუსის მეთაურის ვიტალი პრიმაკოვის (ვისი ცოლიც გახდა) ბინაში. პრიმაკოვი ტუხაჩევსკისთან ერთად განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდა.

ლილია ბრიკი მიუთითებს, რომ საუბრების დროს სულ უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა „ტირანის“ მოცილების თემა.

ბოლოს და ბოლოს სასამართლო სხდომაზე ტუხაჩევსკი აღიარებს, რომ ფაშისტებთან კარს მომდგარ ომში საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრებთან წითელი არმიის დამარცხება იქნებოდა იმის წინაპირობა, რომ გერმანელები მას მხარს დაუჭერდნენ მოსკოვში.



ვლადიმირ რომმა — საკდესის კორესპონდენტმა ჟენევაში, მისმა მეკავშირემ ჰიტლერელებთან და ტროცკისთან, ტუხაჩევსკის განცხადებით, მას აცნობა, რომ „ტროცკის იმედი აქვს ჰიტლარის ხელისუფლების სათავეში მოსვლის, აგრეთვე, სჯერა, რომ ჰიტლერი მხარს დაუჭერს მას — ტროცკის საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. 1933 წელს პირველად ველაპარაკე ბუხარინს. ბუხარინმა ხელი ჩამავლო და სხაპასხუპით მითხრა, რომ მისთვის ცნობილი იყო ჩემი საქმიანობა სამხედრო ამბოხის ორგანიზებაში. რომ პარტიის პოლიტიკა დამღუპველია, რომ აუცილებელია სტალინის მოცილება და ამიტომ საჭიროა ყოველმხრივ დავაჩქაროთ ამბოხის ორგანიზება და მეამბოხეთა მტკიცედ შეკავშირება“.




დამაფიქრებელია დეტალები: სწორედ ტუხაჩევსკი იყო წითელ არმიაში ავტომატური იარაღის დანერგვის წინააღმდეგი და მოითხოვდა მხოლოდ შაშხანების წარმოების გაზრდას. წინააღმდეგი იყო ნაღმტყორცნებით არმიის აღჭურვის, სამაგიეროდ მოითხოვდა სამხედრო-



საჰაერო ჯარების ფორსირებულად შექმნას მაშინ, როცა ქვეყანას საამისოდ აუცილებელი თვითმფრინავები საერთოდ არ გააჩნდა.

მეამბოხეებს სტალინისადმი უპატივცემლო დამოკიდებულება ჰქონდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ სტალინი მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელია და ფორმალურად არც ერთი სამხედრო მას არ ემორჩილება. მათ შეუძლიათ საერთოდ უარი თქვან მასთან ურთიერთობაზე. მათი ხელმძღვანელია მარშალი ვოროშილოვი, რომელიც ტუხაჩევსკის და მასთან დაახლოებულ ოფიცრებს სძულთ.



სტალინი სამხედროებისთვის ავტორიტეტი არ არის.

1938 წელს ხასანის ტბასთან იაპონელებთან სამხედრო კონფლიქტის დროს სტალინი რეკავს მარშალ ბლიუხერთან, რომელიც ომში ჩართულ დეზორგანიზებულ სამხედრო ნაწილებში მისვლას ვერ ახერხებს იმიტომ, რომ მესამე დღეა გამოუფხიზებლად მთვრალია.

სტალინი ძალიან თავშეკავებულია და ეკითხება მარშალს, აპირებს თუ არა იგი, იაპონელებთან ნამდვილად იომოს. სამაგიეროდ ბლიუხერია თავხედობის აფრებაშვებული.




მარშალი ბლიუხერი ტუხაჩევსკის და სხვათა საჩვენებელ სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მოსამართლე იყო. დაუდასტურებელი ხმებით, მან პირადად დახვრიტა ყოფილი კოლეგა.

ბლიუხერი 1938 წლის ბოლოს ციხეში, დაპატიმრებიდან მე-18 დღეს მოკვდება...

სანამ რეგიონები მასობრივი წმენდისთვის ემზადებიან, ქვეყანაში იქმნება ე.წ. ტროიკები, ტროცკისტული ცენტრის საქმეზე სასამართლო პროცესები მოსკოვში, სვეტებიან დარბაზში ჩუმად, აუჩქარებლად, საფუძვლიანად მიმდინარეობს.

სტალინი შეამჩნევს, რომ რეპრესიებთან დაკავშირებული სიტუაცია კონტროლს ვერ ექვემდებარება, თოვლის გუნდასავით არის ქვეყანაში აგორებული, და ამ სასამართლო პროცესებს საჯაროს ხდის, რათა მსოფლიოს დაანახოს, რომ ბრძოლა მტრებთან უსაფუძვლო და მოგონილი არ არის. საზღვარგარეთის აზრი მისთვის მნიშვნელოვანია, რადგან საბჭოთა კავშირი უკვე გახდა ერთა ლიგის წევრი და ეს-ესაა შექმნა თავისი მოკავშირეების კოალიციები ევროპაში.



ათობით უცხოელი კორესპონდენტი ესწრება ამ პროცესებს. ისინი აფიქსირებენ ბრალდებულთა თითოეულ სიტყვას, მათ დიალოგებს პროკურორ ვაშინსკისთან. ყველაფერი იწერება, ფიქსირდება კინოკამერებით.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ სამართალში მიცემულები სრულიად ბუნებრივად იქცევიან. საქვეყნოდ ცნობილი მწერალი ლიონ ფეხტვანგერი აღნიშნავს, რომ ისინი სულაც არ გვანან წამებით დათრგუნულ და ძალაგამოცლილ, ღონეგამოლეულ, დემორალიზებულ ადამიანებს. ისინი უარყოფენ ბრალდებათა ერთ რიგს, სამაგიეროდ აღიარებენ სხვას. უფრო მეტიც, მათ იციან, რომ სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ არცერთი მათგანი არ ცდილობს ხმამაღალი განცხადების გაკეთებას და დარბაზში ყველას თვალწინ დემარშის მოწყობას.



სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ვიშინსკი ბრალს სდებს სამართალდამცავი ორგანოების კონკრეტულ ხელმძღვანელებს, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ უცხოეთის დაზვერვებთან და სისტემატურად ემსახურებოდნენ მათ. „ხოლო შინაგან საქმეთა ყოფილ სახალხო კომისარ იაგოდას გერმანელი და პოლონელი ჯაშუშები ბუზებივით თავს ეხვიენ, რომელთაც იგი არა მარტო იფარავდა, როგორც თავად აღიარ აქ, არამედ მათი მეშვეობით ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა“.




**ამონარიდი მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის საჯარო პროცესის სტენოგრამიდან. კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი, 1938 წელი.**

**ვიშინსკი:** — განსასჯელო ბუხარინ, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობაზე მითითება ბლოკს ჰქონდა თუ არა?

**ბუხარინი:** — ეს მითითება ჰქონდა. და მე ვფიქრობ, რომ ეს ორგანიზაცია უნდა დავათარიღოთ დაახლოებით 1932 წლის შემოდგომით.

**ვიშინსკი:** — განსასჯელო რიკოვ, რა იცით სერგეი მირონის ძე კიროვის მკვლელობის თაობაზე? იყავით თუ არა თქვენ ენუქიძესთან დაკავშირებული?

**რიკოვი:** — ენუქიძესთან? ძალიან ცოტა.

**ვიშინსკი:** — განსასჯელო იაგოდა, ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ ენუქიძე, ვისზეც ახლა ლაპარაკობდა განსასჯელი რიკოვი, წარმოადგენდა ბლოკის მემარჯვენე მხარეს და უშუალო კავშირი ჰქონდა სერგეი მირონის ძე კიროვის მკვლელობასთან?

**იაგოდა:** — რიკოვიც და ბუხარინიც სიმართლეს არ ამბობენ. რიკოვიც და ენუქიძეც მონაწილეობდნენ ცენტრის სხდომაში, სადაც განიხილებოდა სერგეი მირონის ძე კიროვის მკვლელობის საკითხი.

ასეთ ატმოსფეროში შეიკრიბა პარტიული ელიტა 1937 წლის მარტის პლენუმზე. სტალი-

# ეჟოვს ცალკე მუხლით ბრალს ჰომოსექსუალიზმშიც წაუყენებენ. ეჟოვი თავგამოდებით ეხმარება გამოძიებას — სპეციალურ განცხადებაში არა მარტო ყველა თავისი სექსუალური პარტნიორის სახელები ჩამოთვალა, არამედ სოდომის ცოდვის ჩადენის თარიღებიც მიუთითა. ეს ყველაფერი შეძრავს ადამიანს დღევანდელ დღესაც კი, რომელსაც უსირცხვილობით ის დრო ვერ შეედრება.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნი განაცხადებს, რომ კლასთა ბრძოლა მწვავდება. პლენუმზე 72 ორატორი გამოვიდა და ყველამ მოითხოვა სისხლისღვრა, მტრების გასრესა. მათგან მხოლოდ 20 გადაურჩება მომავალ წმენდას, რომელიც თავად დაბადეს თავიანთი გამოსვლებით.

ყოფილი, მაგრამ ცოდვებმონანიებული ტროცკისტი ნიკიტა ხრუშჩოვი მოითხოვს, ნება დართონ 32 ათასი ხალხის მტრის დახვრეტის, რომლებიც შემორჩენილან მოსკოვსა და მოსკოვიაში.



სასამართლო განაჩენების დასაჩქარებლად შექმნილი ე.წ. ტროიკები, ისეთ ტემპს განავითარებენ, რომ მათი შეჩერება უკვე შეუძლებელი შეიქმნება.

მკვლელების, კონტრაბანდისტების, ბიუჯეტის სახსრების მიმთვისებლების და სისხლის სამართლის სხვა საშიში დამნაშავეების საქმეებსაც ტროიკები განიხილავენ.

ყველაფერი აირია ისტორიაში.




ამხანაგმა რობერტ ეიხემ დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა შეძლო პოლიტბიუროს ნებართვის მიღება მასობრივი დახვრეტების განსახორციელებლად კიროვის მკვლელობამდე კარგა ხნით ადრე.

პლენუმზე **რობერტ ეიხეს გამოსვლიდან:** — აი, ამხანაგო სტალინ, ტროცკისტების რამდენიმე ცალკეულ ეშელონს გადასახლებაში რომ ვაგზავნიდით, იმაზე უფრო საზიზღარი არაფერი გამიგონია, რასაც კოლიმაზე გასაგზავნი ტროცკისტები ამბობდნენ. ისინი უყვიროდნენ წითელარმიელებს: იაპონელები და ფაშისტები დაგკლავენ, ჩვენ კი მათ დავეხმარებით.

რა ჯანდაბად უნდა გავაგზავნოთ გადასახლებაში, ამხანაგებო, ასეთი ადამიანები? ისინი უნდა დაიხვრიტონ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ზედმეტად რბილად ვიქცევით!

ეიხე ტროიკების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო და თვითონაც აქტიურად მუშაობდა ამ სადამსჯელო წარმონაქმნში. მისმა ტროიკამ თავის რეგიონში მსჯავრი დადო 35 ათას ადამიანს. მხოლოდ ერთ წელიწადში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 4762 კაცს, 8576-ს ბანაკებში გადასახლება მიუსაჯა.

მალე ეიხეს თავად ამხელენ ფაშისტების ჯაშუშობაში და იმავე დღეს, 1940 წლის იანვარში დახვრეტენ.

ციფრებით მანიპულირების გააზრებაც კი, არა თუ რეგულირება, შეუძლებელი ხდება.



1938 წლის 15 ნოემბერს დადგენილება, რომელსაც ხელს აწერენ მოლოტოვი და სტალინი ბოლოს მოუღებს ტროიკების პარპაშს. მაგრამ არსებობის წელიწადზე ცოტა მეტი დროის მოღვაწეობით ეპოქას თავის სისხლიან კვალს დაამჩნევს.

მოლოტოვა გამოდის მოხსენებით გადახრების შესახებ. სტალინის დაჯგუფებამ თანდათან დაიწყო რევანშის აღება. პარტოკრატია შეშინდა და ხმა გაკმინდა, თავისი ხელით დაღვრილი სისხლი რომ დაინახა.



**იური ჟუკოვი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— მე ხელში მეჭირა ქაღალდის რამდენიმე ფურცელი, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ სტალინი და მოლოტოვი ცდილობდნენ დაეყოლიათ ეჟოვი გადამდგარიყო. მოითხოვდნენ კიდეც. რადგან მას, შინსახკომის ორგანოების წყალობით ისეთი ძალა ხელთ ეპყრა, რომ ბოლოს და ბოლოს მას შეეძლო სტალინის და მოლოტოვის დაპატიმრება და დახვრეტა. ლენინური გვარდია მას ტაშს დაუკრავდა, ვითარცა სამშობლოს გადამრჩენს.



სახალხო კომისარ ეჟოვს დიდი წვალებით თანამდებობიდან გადააყენებენ. მის ადგილს კავკასიიდან გადმოყვანილი ლავრენტი ბერია იკავებს. ეჟოვი ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს საწყლოსნო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს, ბერია კი უკვე შინაგან საქმეთა ორგანოების წმენდას იწყებს — შვიდი ათასი კაცი დათხოვნილია შინსახკომის სისტემიდან.

პირველი რეაბილიტაციები 1938 წლიდან იწყება.

ნიკოლაი ეჟოვმა, რომელიც კარიერულ კიბეზე ძალიან მაღლა ავიდა, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებისთვის ბრძოლა წააგო.

მას დააპატიმრებენ და ბრალად დასდებენ შინსახკომის შეთქმულების ორგანიზებას, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო გადატრიალებას და ბელადების ლიკვიდაციას საშვიდნოემბრო აღლუმის დროს.



ეჟოვს ცალკე მუხლით ბრალს ჰომოსექსუალიზმშიც წაუყენებენ. ეჟოვი თავგამოდებით ეხმარება გამოძიებას — სპეციალურ განცხადებაში არა მარტო ყველა თავისი სექსუალური პარტნიორის სახელები ჩამოთვალა, არამედ სოდომის ცოდვის ჩადენის თარიღებიც მიუთითა. ეს ყველაფერი შეძრავს ადამიანს დღევანდელ დღესაც კი, რომელსაც უსირცხვილობით ის დრო ვერ შეედრება.



პატიმარმა ნიკოლაი ეჟოვმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგამომძიებლო ნაწილს განუცხადა:

— მოგახსენებთ ჩემს ოდინდელ მანკზე — პედერასტიაზე... დაახლოებით 15-16 წლის ასაკიდან მე მქონდა რამდენიმე გაუკულმართებული კავშირი ჩემს თანატოლებთან. მანკიერება განმიახლდა მეფის ძველ არმიაში, ფრონტულ გარემოში. ჩვენი როტის ერთ ჯარისკაცთან შემთხვევითი კავშირის გარდა, მე სქესობრივი კავშირი მქონდა ვინმე ფილატოვთან, ჩემს ლენინგრადელ მეგობართან, ჩვენ ერთ პოლკში ვმსახურობდით. კავშირი ორმხრივ აქტიური იყო, ანუ ქალი ხან ერთი, ხან მეორე მხარე იყო.

სათქმელია ისიც, რომ, როცა იგი ცოლთან ერთად ბინაში მეწვია, მე სქესობრივი კავშირი მქონდა მის ცოლთანაც. რაც, როგორც წესი, ლოთობის ფონზე ხდებოდა.

საგამომძიებო ორგანოებს ყოველივე ამას ვაცნობებ, როგორც დამატებით შტრიხს ჩემი მორალურ-ყოფითი გახრწნის თაობაზე.

ეჟოვი ინანებს, რომ ყველა მტრისგან ქვეყნის გაწმენდას ვერ მოასწრებს და უცნაურ სიტყვებს იტყვის:

— მე რომ მდომებოდა ტერაქტის მოწყობა მთავრობის რომელიმე წევრის წინააღმდეგ, ამ მიზნის განსახორციელებლად ვინმეს კი არ გადმოვიბირებდი, არამედ გამოვიყენებდი ტექნიკას და ამ საზიზღარ საქმეს ნებისმიერ მომენტში ჩავიდენდი.




ეჟოვის სახალხო კომისრობის 2 წლის განმავლობაში დააპატიმრეს ერთი მილიონ სამას ორმოცდაოთხი ათას ცხრაას ოცდასამი ადამიანი. მათგან 681 ათას 692 კაცი დახვრიტეს. საშუალოდ გამოდის 1000 დახვრეტა ყოველდღე.

ეჟოვი 1939 წელს, განაჩენის გამოტანის მეორე დღესვე დახვრიტეს.

დახვრეტის წინ მან განაცხადა: გადაეცით სტალინს, რომ ვკვდები მისი სახელით ჩემს ბაგეებზე.



1940 წლის აგვისტოში ცხელ მექსიკაში რამონ მერკადერის წერაყინი ბოლოს მოუღებს სტალინის უკანასკნელ მტერს ძველი გვარდიიდან — ლევ ტროცკის.

ტროცკის სიკვდილთან ერთად სიტყვათა შეთანხმება **ტროცკისტულ-ზინოვიევური და ტროცკისტულ-ბუხარინული ბლოკი** საბოლოოდ ბარდება ისტორიას.

სტალინმა გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება პიროსის ნადიმივით იყო და ქვეყნის ისტორიის 4 უმძიმესი წელიწადი შეეწირა.

იწყებოდა დიდი გამოცდის პერიოდი: საბჭოთა კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან მოსალოდნელი ომის სტადიაში შედიოდა.



**პირველი ნაწილის დასასრული**

ტელესერიალის საგაზეთო ვარიანტი
მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**



## სირიაში ირანის ჯარს გაგზავნიან

**ირანელ გენერლებს მიაჩნიათ, რომ დასავლეთისა და არაბული ქვეყნების მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად სირიასა და ირანს შორის ერთობლივი თავდაცვის პაქტი უნდა გაფორმდეს. მთავარსარდლები სირიაში ასობით ირანელი ჯარისკაცის გაგზავნასაც გეგმავენ. გეგმის განხორციელებაში მთავარ პრობლემად მათ კონტინგენტის საჰაერო გზით გადაყვანასთან თანდართული სირთულეები ესახებათ, ამიტომ გენერლებს მიაჩნიათ, რომ უპრიანი იქნებოდა ჯარის სახმელეთო გზით გადაყვანა, რისთვისაც საჭიროა, ერაყთან გაფორმდეს შესაბამისი შეთანხმება.**

ირანის დაზვერვა უკვე ადგილზე გაეცნო არსებულ სიტუაციას. გენერალ-მაიორ რახიმ საფავის განცხადებით, აშშ-ის მიზანია, დაამხონ სირიის რეჟიმი მანამდე, სანამ ირანში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. „რევოლუციის დაუძინებელი მტრები სიონისტები და არაბი პრინცები არიან, ასევე ზოგიერთი არაბული ქვეყანა და თურქეთი, რომელიც ირანის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სირიაში რეჟიმის დახმობას ცდილობს. ომის გასაგრძელებლად დიდძალი ფული იხარჯება. არაბეთის ქვეყნები, მეტწილად კი ყატარი და საუდის არაბეთი, ათასობით დაქირავებულ მებრძოლს აფინანსებენ და სირიაში აგზავნიან. საპრეზიდენტო არჩევნები ირანში 2013 წლის 14 ივნისს ჩატარდება.



## ხვამლის მთის საიდუმლოებით ბიძინა ივანიშვილიც დაინტერესდა

**ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ხვამლის მთის საიდუმლოების ამოხსნასა და ამ მთაზე არქეოლოგიური კვლევების ჩატარებას გეგმავს. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ამბროლაურში მიმდინარე აქციისას განაცხადა.**

**„ლეჩხუმი ის მხარეა, რომელიც, ვინ იცის, უამრავ გასაოცარ საიდუმლოს ინახავს და დღემდე არავის უმხელს. მიხვდით, ალბათ, რომ ხვამლის მთაზე მოგახსენებთ. ისტორიული წყაროების მიხედვით, სწორედ ხვამლის მასივში, მისი გამოქვაბულების სიღრმეში, ინახებოდა ქართველ მეფეთა საგანძური, რომელიც ჯერაც არ არის გამოკვლეული. ამ მთას, სხვათა შორის, თურმე ანტიკური ხანის ავტორებიც იცნობდნენ“.**

ბიძინა ივანიშვილის თქმით, აქ მართლაც საოცარი აღმოჩენები გველოდება. უამრავი ლეგენდაა ხვამლის მთასთან დაკავშირებული. ამ ლეგენდების მიხედვით, ამირანი მის სიღრმეში, კლდეზე იყო მიჯაჭვული. ივანიშვილის მიზანია, რომ ჯერ კიდევ გამოუცნობად დარჩენილი ჩვენი წარსული შესწავლილ იქნას. მისი თქმით, არაერთი ქართველი მეცნიერ-არქეოლოგი დაინტერესებულა ხვამლის მთის პრობლემით, მაგრამ საკმარისი სახსრების უქონლობის გამო სასურველის გაკეთება ვერ შეძლეს.

**„ასეთი კეთილშობილური ოცნებების ასრულებაზე თუ არ ვიზრუნეთ, რაღა „ქართული ოცნება“ ვიქნებით“,** — აღნიშნა „ქართული ოცნების“ ლიდერმა.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## «სიკვდილის სურვილი»

**თუ თვლით, რომ ჩვეულებრივი ყავა არაა ძლიერი და ვერ გეხმარებათ გამოფხიზლებაში, გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ყავას, რომელშიც 200%-ით მეტი კოფეინია. ყავა „სიკვდილის სურვილი" (Death Wish) ნიუ იორკშია მოხალული.** კომპანია Death Wish Coffe Company-ს წარმომადგენლები ინგრედიენტებზე ბევრს არ საუბრობენ, ოფიციალურ კომენტარში განაცხადეს, რომ ყავის მარცვლები ორგანულად იზრდება, შემდეგ მარცვლებს მანამ ხალავენ, სანამ მუქ ფერს არ მიიღებს. კომპანიაში ამტკიცებენ, რომ Death Wish მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ყავაა. **„ეს არაა ჩვეულებრივი დილის ყავა. ეს არაა თქვენს მაღაზიაში შეძენილი ყავა. Death Wish მსოფლიოში კოფეინის ყველაზე მაღალი შემცველია, თავს გაუფრთხილდით".** თუ ასეთი ტექსტი არ გაფრთხობთ, მისი შეძენა 19.99 დოლარადაა შესაძლებელი.

## ყველაზე დიდი ბაღი უდაბნოში



**არაბთა გაერთიანებული საამიროების უმსხვილეს ქალაქ დუბაიში მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაღი გაიხსნა. ბაღი 72 000 კვადრატულ მეტრ ფართობზეა გაშენებული და 45 მილიონზე მეტ ყვავილს იტევს.**

ბაღის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ბევრი მცენარე სპარსეთის ყურის სანაპიროებზე ადრე არასდროს შეუტანიათ. ბაღი გინესის რეკორდების წიგნში შეტანის პრეტენდენტია.

**„ჩვენი ბაღით დავამტკიცეთ, რომ უდაბნოში ოაზისის შექმნა შეიძლება. ყვავილებს მორწყვის სპეცილური ხერხით ვატენიანებთ, ვაგროვებთ დარჩენილ წყალს და სარწყავად ხელახლა ვიყენებთ",** — აცხადებს ბაღის მოვლით დაკავებული კომპანიის თანამშრომელი აბდელ ნასერ რახალი.





## ნიდერლანდური ვენეცია

**პატარა ჰოლანდიური სოფელი გითჰორნი, რომელიც დე ვიდენის ბუნებრივი წყალსაცავის ცენტრში მდებარეობს, ადგილობრივებში ნიდერლანდური ვენეციის სახელითაა ცნობილი.**

ამ სოფელში თითქმის არ არსებობს ქუჩები. ერთმანეთს მოსახლეობა წყლის არხებით უკავშირდება. სულ არხების სიგრძე 7.5 კმ-ს აღწევს. სოფელში 50 პატარა ხიდი და პატარა სახლებია.

სოფელი 1230 წელს დაარსდა. ნიდერლანდების ვენეცია დიდი პოპულარულობით სარგებლობს ტურისტებში. 1985 წელს მის შესახებ ფილმიც კი გადაიღეს. სოფელში სულ რამდენიმე გზაა, რომელთა უმეტესობას სახელიც კი არ აქვს. იქ მცხოვრებნი კი არხებში ელექტრონავებით დაცურავენ და ისე გადაადგილდებიან. ამ სოფელში იშვიათად შეხვდებით მანქანას, რის გამოც სოფელში სუფთა ჰაერია და სიმყუდროვე თითქმის არასდროს ირღვევა.



## 4 წლის ბიჭუნას წელამდე თმები აქვს



**ინგლისის საგრაფო ჰემპშირში მცხოვრები 4 წლის ბიჭუნა ელაიჯა ედნი გოგონას ჰგავს. ბიჭუნას ულამაზესი გრძელი ქერა თმა აქვს და მისი სქესი ყველას ეშლება. მისთვის თმა არასდროს შეუჭრიათ.**

ელაიჯა განიცდის, რომ მას მხოლოდ გოგონები ეთამაშებიან და დედას თმის შეჭრას სთხოვს. ბავშვის მშობლები შვილის სურვილს პატივს სცემენ და უახლოეს დღეებში სილამაზის სალონში წაიყვანენ. ბიჭუნას დედის გადაწყვეტილებით, შეჭრილი თმისგან პარიკს დაამზადებენ და სიმსივნით დაავადებულ გოგონას აჩუქებენ.

**„ელაიჯას ყოველთვის ლამაზი და კარგი ხარისხის თმა ჰქონდა. მისი თმა აბრეშუმივით ბზინავს. თუმცა იმედგაცრუებულია და სწყინს, როდესაც უცხოებს გოგონა ჰგონიათ. კატეგორიულად მოითხოვა, ისეთივე მოკლე ბიჭური ვარცხნილობა ჰქონდეს, როგორიც მის უფროს ძმას აქვს",** — ამბობს ბავშვის დედა.

## სასტუმრო, რომელიც იჭმევა

ინგლისის დედაქალაქში გაიხსნა უჩვეულო სასტუმრო, რომელიც მთლიანად საკვებად ვარგისი მასალისგანაა შექმნილი. ნომრებში ფერადი ბეზეიანი ხალიჩები აგია, აბაზანაში კარამელის ბატი-ბუტი ყრია, ჭერზე კი ქოქოსის ბრები და ზეფირის გირლიანდები კიდია.

შენობაში კედლებისა და ფანჯრის რაფების მირთმევაც შეიძლება. ავეჯი, აქსესუარები და ინტერიერის ნივთები ბისკვიტისგან, ნუშის ორცხობილისგან, ნამცხვრებისგან, ბეზესგან, კრემისგან და სხვა საკონდიტრო ნაწარმისგანაა დამზადებული.

ოთახების შესაქმნელად 14 სპეციალისტი მუშაობდა. მათ „სამშენებლო მასალის" მოსამზადებელ პროცესზე 2 000 საათი, დეკორატიულ შენობაზე კი 900 საათი დახარჯეს.



## სკულპტურა პიტნის საღეჭი რეზინისგან

**ფრანგ ხელოვან ჟერემი ლაფონს რთული გეომეტრიის უნიკალური სკულპტურის შესაქმნელად 4 000-ზე მეტი საღეჭი რეზინი დასჭირდა. ორი მეტრის სიმაღლისა და სამი მეტრის სიგრძის სკულპტურას ავტორი რამდენიმე თვის განმავლობაში ქმნიდა.**



თავიდან ხელოვანი „სამშენებლო მასალას" საკუთარი ფულით ყიდულობდა, მაგრამ მალე მის სპონსორობას საღეჭი რეზინის მსხვილი მწარმოებელი დასთანხმდა.

ლაფონის სკულპტურა ბანქოს ქაღალდის სახლების პრინციპით შესრულდა. მასალის პლასტიკურობის წყალობით მხატვარმა რთული გეომეტრიული ქანდაკება შექმნა: მაღალ სასახლეებს ერთმანეთთან სპირალური ხიდები აკავშირებდათ.

მაგრამ „პიტნის" შედევრის ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. მუშაობის დასრულებისთანავე ხელოვანმა რამდენიმე ფირფიტა გაადნო, რის შემდეგაც მთელი კონსტრუქცია მაყურებლის თვალწინ ნელ-ნელა დაიშალა.



## რა ხდება ინტერნეტში 1 წუთის განმავლობაში?

**ამერიკაში მდებარე კორპორაცია Intel-მა, რომელიც მიკროპროცესორების წარმოებითაა ცნობილი, იმის ზუსტი ნუსხა წარმოადგინა, თუ რა ხდება 1 წუთის განმავლობაში ინტერნეტში.** ალარავის უკვირს, რომ თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინტერნეტს ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ შედეგი მაინც შთამბეჭდავია. აღმოჩნდა, რომ 1 წუთის განმავლობაში 204 მილიონი იმეილი იგზავნება, 47 000 აპლიკაცია იტვირთება, Amazon-ზე კი 83 000 დოლარის ღირებულების შენაძენი კეთდება. რაც შეეხება სოციალურ ქსელებს, „ფეისბუქში“ ყოველ წუთს 20 მილიონი ფოტო იტვირთება, 6 მილიონი გვერდი თვალიერდება და YouTube-ზე კი 1.3 მილიონ ვიდეო კლიპს უყურებენ. წინასწარი პროგნოზით, 2015 წლისთვის ქსელური მოწყობილობები მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობაზე ორჯერ მეტი იქნება.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაფერი ყირამალა

**სერბეთში მცხოვრები 28 წლის ბოჯანა დანილოვიჩი იშვიათი დაავადებით იტანჯება. გოგონა ტექსტს და ზოგადად ყველაფერს თავდაყირა ხედავს. მისი დაავადებით გაოცებულნი არიან როგორც ექიმები, ასევე მეცნიერები.**



ქირურგების თქმით, დანილოვიჩს აწუხებს ტვინის ძალიან იშვიათი დაავადება, რომელიც ცნობილია „სივრცეში ორიენტაციის ფენომენის“ (spatial orientation phenomenon) სახელწოდებით. მარტივად რომ ვთქვათ, გოგონა ყველაფერს ხედავს, მაგრამ დაავადების გამო, სივრცეში ფიგურები და ნივთები მის აღქმაში ფორმას იცვლის.

ბოჯანას ამის გამო პრობლემები ბავშვობიდანვე ექმნებოდა. დედამისი იხსენებს, რომ, როდესაც ქალიშვილმა ბავშვობაში ცოცვა ისწავლა, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, დედისკენ არ მიფორთხავდა, უკან ბრუნდებოდა და მშობლებს ზურგს აქცევდა. ქალბატონმა სამსახურიც კი მიატოვა, რომ შვილს დახმარებოდა. გოგონა იხსენებს, რომ დედა ყოველ წამს ახსენებდა, რომ გზას არასწორად ხედავდა. **პრობლემებმა თავი სკოლაშიც იჩინა. წერა-კითხვის შესწავლა ბავშვებს ისედაც უჭირთ, მისთვის კი ნამდვილი საშინელება იყო. ის რვეულს ამოაყირავებდა და სიტყვებს უკუღმა წერდა. ტექსტის წერას მარჯვენა კუთხიდან იწყებდა და მარცხნივ ამთავრებდა.**

დანილოვიჩმა თანამშრომლების გაოცებაც შეძლო, როდესაც სამუშაო მაგიდა თავდაყირა დააყენა — მისი კომპიუტერის მონიტორი და კლავიატურა ამოყირავებულია, რადგანაც სხვა შემთხვევაში გოგონა ვერ მუშაობს, სიტყვებს ვერ არჩევს. ბოჯანას სახლში ცალკე ტელევიზორი აქვს, რომელიც ასევე ამოყირავებულია. ის ამბობს, რომ ყველაზე მეტად პარკში წიგნის კითხვა უყვარს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგანაც ყველა გამვლელი დასცინის ან უთითებს, რომ არასწორად კითხულობს.

დანილოვიჩით ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაინტერესდნენ ამერიკელი მეცნიერები და მისი დაავადების გამოკვლევას უამრავი ექსპერიმენტი მიუძღვნეს. ქირურგების თქმით, ახალგაზრდა ქალბატონის ტვინი ჯანმრთელია, მაგრამ, რიგითი ადამიანებისგან განსხვავებით, ობიექტებს სხვაგვარად აღიქვამს.



## ყველაზე დიდ ტერმინალს 100 წელი შეუსრულდა

**ნიუ იორკის მთავარი მეტროგასამართი სადგური ყველაზე ცნობილია ამერიკაში, ის გინესების წიგნშიცაა შეტანილი ყველაზე დიდი ზომის გამო. მისი სადგურის ფართობი 19 ჰექტრია და მოიცავს 44 პლატფორმას და 67 გზას. ამას გარდა, 2013 წლის 2 თებერვალს მეტროგასამართმა სადგურმა აღნიშნა მისი 100 წლის იუბილე და შევიდა ისტორიაში, როგორც ამერიკის ყველაზე ძველი სადგური.**











# ჩინეთში 40 წლის განმავლობაში 336 მილიონი აბორტი გაკეთდა



**ჩინეთის ჯანმრთელობის სამინისტროს მონაცემებით, 40 წლის განმავლობაში ქვეყანაში 336 მილიონი აბორტი გაკეთდა.**

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განცხადებით, 1971 წლიდან მოყოლებული დღემდე, ოფიციალური მონაცემებით, 196 მილიონ ჩინელ ქალსა და მამაკაცს ჩაუტარდა ოპერაცია, რათა მათ მომავალში მეტი შვილი ველარ იყოლიონ.

ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, რომ არა ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვები, 1,3 მილიარდიანი ჩინეთის მოსახლეობა 30%-ით, 400 მილიონით მეტი იქნებოდა.

1979 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ „ერთი ბავშვის პოლიტიკის“ კანონი მიიღო. ამ კანონის თანახმად, რომელიც მთავრობამ მოსახლეობის ზრდის კონტროლისთვის მიიღო, ოჯახებს ეკრძალებათ ერთ ბავშვზე მეტის ყოლა. თუმცა ხელისუფლება კანონს ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკად მოიხსენიებს. კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებსაც, კერძოდ: სოფელში მცხოვრებთათვის, ეთნიკური უმცირესობისთვის და დედისერთა წყვილებისთვის.

რამდენიმე წლის წინ ქვეყნის ხელისუფლებაში ერთი ბავშვის პოლიტიკის გადახედვას გეგმავდნენ. მაგრამ ხელისუფლება ჯერ ვერ შეთანხმდა, დართოს თუ არა ოჯახებს მეორე ბავშვის ყოლის ნება.

საზოგადოების ნაწილის აზრით კი, ერთი ბავშვის პოლიტიკა აუცილებელი აღარ არის, რადგან ბავშვის შენახვა უკვე იმდენად ძვირი სიამოვნებაა, რომ ბევრი წყვილი თავად იტყვის უარს მეორე ბავშვზე.

## ჩინელი ქათამი «მონსტრ» კვერცხებს დებს



**ჩინეთის ერთ-ერთ სოფელში ბოლო დროს უცნაური ფაქტი ხდება: ერთ-ერთი გლეხის ქათამი „მონსტრ“ კვერცხებს დებს. ანომალიური კვერცხები ჩვეულებრივზე სამჯერ დიდია.** ერთ-ერთ ასეთ კვერცხში გატეხვის შემდეგ ორი გული და კიდევ ერთი ნაჭუჭიანი, სრულყოფილი კვერცხი აღმოჩნდა. ჯადოსნურმა ქათამმა, როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ, სულ ოთხი ასეთი კვერცხი დადო. ქათმის პატრონის თქმით, კვერცხის დადებისას საბრალო ქათამი მომაკვდავივით იკრუნჩხებოდა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საუკეთესო შეფ-მზარეული

**იტალიელი ნადია სანტინი მსოფლიოში მდედრობითი სქესის საუკეთესო შეფ-მზარეულად დაასახელეს.** ეს ტიტული მას მიანიჭა ჟურნალმა Restaurant-მა, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესო რესტორნებსა და მათ თანამშრომლებს ასახელებს. სანტინის სამუშაო რამდენიმე ასეულმა სპეციალისტმა შეაფასა. სანტინი ამბობს, რომ საჭმლის კეთება ბებიამ და მეუღლის დედამ ასწავლეს. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ასი წლის ისტორიის მქონე რესტორანს, რომელიც ქალაქებს — კრემონასა და მანტუას შორის, სოფელში მდებარეობს. სანტინის რესტორანი ავთენტურ იტალიურ სამზარეულოზეა სპეციალიზირებული. დაწესებულების მენიუ ძირითადად სეზონზეა მორგებული, მაგრამ ზოგიერთი კერძის შეკვეთა მთელი სეზონის განმავლობაშია შესაძლებელი.

# გალიები ადამიანებისთვის

**ჰონგ-კონგი მხოლოდ ცათამბჯენებითა და მდიდრული აპარტამენტებით დამშვენებული ქალაქი და ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ცენტრი არ არის. მას, ისევე როგორც ყველა ქალაქს, თავისი „ჯურღმულები“ აქვს.**



მდიდრული კვარტლების გვერდით გაჭირვებული მოსახლეობა რკინის გალიებში ცხოვრობს, თუმცა ეს გალიები უფასო არაა. ადამიანებს გალიების დაქირავება თვეში 167 დოლარად უწევთ.

ოფიციალური სტატისტიკით, გალიების კორპუსებში 100 000 ადამიანი ცხოვრობს. მცირე ზომის გალიებში რკინის ან ხის ლოგინები და ტუალეტია განთავსებული. ამ გალიებში ცხოვრობენ როგორც მარტოხელა მოხუცი ადამიანები, ასევე მრავალშვილიანი ოჯახები.

„ამ გალიაში 20 წელია ვცხოვრობ. 20 წლის წინ სამსახური დავტოვე, რადგან თითი დავკარგე. ვცდილობ, სიცოცხლე გავიხანგრძლივო. ოჯახი არ მყავს, პერიოდულად ვმუშაობ, სტაბილური სამსახური არ მაქვს“, — ამბობს 67 წლის ლეუნგ ჩო ინი.

ჰონგ-კონგში საცხოვრებელი ბინის ფასები ბოლო 10 თვის განმავლობაში 23%-ით გაიზარდა. ბინის დაქირავებაც საკმაოდ ძვირია.



## ვიტრინებში ჭარბწონიანი მანეკენები გამოჩნდნენ

**ქალებს ყველაზე მეტად შოპინგი უყვართ, მაგრამ მაღაზიის ვიტრინაში ტანწერწეტა მანეკენის დანახვა ყველას არ სიამოვნებს. მანეკენზე მორგებული ლამაზი სამოსიც ხშირად საკუთარ ტანზე აღარ მოსწონთ პოტენციურ მყიდველებს.**

შვედეთში ერთ-ერთი მაღაზიის ადმინისტრაციამ ეს პრობლემა თავისებურად გადაწყვიტა. ქალის თეთრეულის განყოფილებაში ჭარბწონიანი მანეკენი დააყენა. მანეკენი პუტკუნაა და ასეთი ფიგურა თითქმის ყოველ მესამე ქალს აქვს.



# ჩინელები მარკო პოლოს ეძებენ




**ჩინური ქალაქი ჰანჩჟოუი ეძებს ახალ მარკო პოლოს, რომელიც ცნობილი იტალიელი მოგზაურის მარშრუტს გაიმეორებს. მარკო პოლო პირველი ევროპელი იყო, რრომელმაც ეს ქალაქი დეტალურად აღწერა. მერიამ კონკურსის ჩატარების შესახებ გამოაცხადა, გამარჯვებული ჯილდოდ 40 000 ევროს მიიღებს.**

კონკურსის გამარჯვებული, ფაქტობრივად, „იმუშავებს“ ტურისტად, რომელიც ქალაქში 15 დღეს გაატარებს. მანამდე კი მას ინტენსიური სწავლების გავლა მოუწევს. მის მოვალეობაში ქალაქზე მოკლე ვიდეოების გადაღება და ქალაქის იმიჯის ამაღლებაც შევა.

ამ მიზნის შესასრულებლად მისაღებია როგორც კაცების, ასევე ქალების კანდიდატურები. ტურისტის ძებნა Facebook-ზე მიმდინარეობს.

მარკო პოლომ მოგზაურობის შესახებ ჩანაწერები 1289 წელს გააკეთა. ის აზიაში, მათ შორის ჩინეთში, მოგზაურობას დეტალურად აღწერს. ჰანჩჟოუს მარკო პოლომ „მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი“ უწოდა.

# მოლაპარაკე ფეხსაცმელი

**კომპანია Google-მა ტექნოლოგიურ კონფერენცია SXSW Interactive-ზე წარადგინა ექსპერიმენტული „მოლაპარაკე“ სპორტული ფეხსაცმელი (Talking Shoe), რომელიც პატრონს სიზარმაცის დაძლევასა და სპორტული სტილით ცხოვრებაში ეხმარება. კონფერენცია ტეხასის შტატში, ქალაქ ოსტინში გაიმართა.**

Google-მა ფეხსაცმელი კომპანია Adidas-თან ერთად შექმნა. ინჟინრების ჩანაფიქრით, „ჭკვიანმა“ ფეხსაცმელმა ადამიანს სპორტულად ცხოვრების მოტივაცია უნდა მისცეს.



ფეხსაცმელმა შეიძლება იბუზღუნოს და პასიური ცხოვრების წესის გამო პატრონს „ზარმაცი“ უძახოს ან პირიქით, აქტიურობა შეუქოს.

ფეხსაცმელი პედომეტრით, გიროსკოპით და აქსელერომეტრით არის აღჭურვილი. ჩამონტაჟებული დინამიკები პატრონთან ურთიერთობისა და მწვრთნელის ფუნქციის შეთავსების შესაძლებლობას იძლევა.

გარდა ამისა, Bluetooth-ის დახმარებით ფეხსაცმელი უერთდება სმარტფონს ან „დამატებითი რეალობის“ სათვალე Google Glass-ს.

კომპანია ამ ფეხსაცმლის ფართო გამოშვებას არ გეგმავს. „ჩვენი მიზანია, ახალგაზრდობას საკუთარი მოდელების შექმნა შთავაგონოთ: ამისთვის სიახლეების დეტალებს ჩვენს საიტზე გამოვაქვეყნებთ და ყველა მსურველი საკუთარი „ჭკვიანი ფეხსაცმლის“ შექმნას შეძლებს“, — განაცხადა Google-ის წარმომადგენელმა.

# კარტოფილჭამია

**23 წლის გოგონა კლერ ჯონსი უცნაური ფობიით ცხოვრობს — საჭმლის ეშინია და მხოლოდ კარტოფილს ჭამს. „მრავალფეროვნებისთვის“, ისიც იშვიათად, კარტოფილთან ერთად ყველს და კომბოსტოს სალათს შეექცევა.**



ფობიის გამო გოგონას ცხოვრება ძალიან უჭირს. რესტორანში ან ბარში მეგობრებთან გართობისას მენიუში ყოველთვის კარტოფილს ეძებს და ამის გამო უხერხულ სიტუაციაში არაერთხელ ჩავარდნილა. როგორც კლერი ამბობს, ამ ფობიის დაძლევას შეეცადა, სოსისისა და პურის ჭამა გადაწყვიტა. მაგრამ მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგანაც „უცხო“ გემოს გასინჯვის შემდეგ გოგონა ცუდად გახდა. საერთო ჯამში ჯონსმა 13 000 კილო კარტოფილი შეჭამა.

„5 წლის ასაკში ფეხი მოვიტეხე და საავადმყოფოში მოვხვდი. საჭმელს არ ვჭამდი და დედამ ბუფეტიდან კარტოფილი მომიტანა. მახსოვს, როგორ გემრიელად შევჭამე და უეცრად ყველა საჭმელი შემზიზღდა. დაბადების დღეებზე მეგობრები ტორტზე დანთებულ სანთლებს აქრობდნენ, ჩემს დაბადების დღეზე კი ჩიფსები გვქონდა. ასე ცხოვრება შეუძლებელია“, — ამბობს გოგონა.





ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კურორტი შენობაში

ეს უზარმაზარი შენობა გერმანიაში თავიდან აშენებული იქნა დირიჟაბლების შესანახად და რეკონტრუქციისთვის, მაგრამ ახლა იქ გერმანელებმა ნამდვილი კურორტი მოაწყვეს. როცა გარეთ ზამთარი და თოვლია, ქალაქში არის ადგილი, სადაც შეგიძლია თავი ისე იგრძნო, თითქოს რომელიმე კუნძულზე ხარ. ეს შენობა გერმანიაში სახელწოდებით „ანგარი“ ერთ-ერთი ყველაზე დიდია დედამიწაზე და მონაცემებით თავისუფლების ქანდაკებას უახლოვდება.











# «ორქიდეა მაიმუნი»

ეს საოცარი „ორქიდეა მაიმუნი“ საიდუმლოდ არის გადამალული თვალისთვის მიუწვდომელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვადორისა და პერუს ღრუბლიან ტყეებში, რომლებიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა.

57 წლის მოყვარულმა ფოტოგრაფმა და ყვავილების კოლექციონერმა იერკია შულცმა მოახერხა რამდენიმე გასაოცარი სურათის გადაღება.









# მაგნიტური ჰალსტუხი

**ჰალსტუხი საქმიანი მამაკაცის განუყრელი აქსესუარია, თუმცა, სამწუხაროდ, არც მთლად კომფორტული. ის ხშირად ფრიალებს და მისი გასწორება ყოველ წამსაა საჭირო. ამ პრობლემის გადაწყვეტას Magnetie-ის (მაგნიტური ჰალსტუხის) შემქმნელებმა მიაგნეს.**

მაგნიტური ჰალსტუხი აბრეშუმისგანაა დამზადებული და მას მაგნიტები აქვს დამონტაჟებული. მათი დახმარებით ჰალსტუხი აღარ მოძრაობს. როგორც კლიენტი მოირგებს, ჰალსტუჰი მთელი დღის განმავლობაში ისე დარჩება. გარდა ამისა, ჰალსტუხს კომპაქტური ლითონის დისკიც აქვს, რომელიც კისერზე ქსოვილის დაჭიმვას არეგულირებს.

Magnetie უკვე იყიდება და მისი ფასი 50 აშშ დოლარია.



# დაისჯება სააკაშვილი და არა ქვეყანა



**თუ რომელიმე ჩინოვნიკმა ტერროტისტებთან თანამშრომლობა იკადრა, ზუსტად ის აგებს პასუხს და არა მთელი ქვეყანა, — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს. მისი თქმით, ტერორისტებთან თანამშრომლობის გამო ცალკეული ჩინოვნიკის დასჯა ქვეყნის იმიჯს ვერ შელახავს.**

„რასაც გიორგი ბარამიძე და მისი გუნდის წევრები ახმოვანებენ, რომ ამით საქართველოს იმიჯი დაზარალდება, არ არის სწორი. ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ არიან ამ საზოგადოების რიგითი წევრები და არ წარმოადგენენ ქვეყანას. რაც მე მქონდა მხედველობაში — არსებობს ეჭვი, რომ თანამშრომლობდნენ ტერორისტებთან, არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო თანამშრომლობდა ტერორისტებთან ისევე, როგორც რუსებთან და ომთან დაკავშირებით იგივდებიან ქვეყანასთან“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, ამ საკითხების გამოძიებით საქართველოს იმიჯი არ დაზარალდება.

„საქართველოს არავითარი ჩირქი არ მოეცხება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველი ხალხი არის მშვიდობიანი და არავითარი მსგავსი მოწოდებები არ გაკეთებულა. გამოძიება არ ხდება იმისთვის, რომ ქვეყანა დადანაშაულდეს ან არ დადანაშაულდეს. აქ საუბარია რომელიმე ან რამდენიმე ჩინოვნიკის ამ პროცესებში მონაწილეობის გამოძიებაზე. ბარამიძე არ არის საქართველო ისევე, როგორც მიხეილ სააკშვილი და ისევე როგორც მე. ჩვენ ყველას თანაბრად გვეკუთვნის ეს ქვეყანა და, როდესაც ქვეყანასთან უნდათ საკუთარი დანაშაულის გაიგივება, ეს არის მცდარი და ამით ნუ ჩქმალავენ პრობლემას. თუ ცალკეულმა ჩინოვნიკმა მოახერხა და დაარღვია კანონი, მან ამაზე პასუხი უნდა აგოს და არა — ქვეყანამ. მტკიცებულების ფორმა ამას არ აქვს, ეჭვის ფორმა აქვს და თუ რომელიმე ჩინოვნიკმა ტერორისტებთან თანამშრომლობა იკადრა, ზუსტად რომ ის აგებს პასუხს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

# საგამოძიებო სამსახური მერიის შპს «სინათლის ქალაქში» შევიდა



**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მერიის შპს „სინათლის ქალაქში“ შევიდა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შპს-ს ერთ-ერთმა თანამშრომელმა აცნობა, სამსახური მთელი დღის განმავლობაში პარალიზებული იყო. „სინათლის ქალაქი“ მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ერთ-ერთი ის კომპანიაა, სადაც ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების დასაქმებაზე საკრებულოში განცხადებები კეთდებოდა.

# გიგა ბოკერია მიესალმება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ საქართველოს სამიზნე არის მაპი



**უშიშროების საბჭოს მდივანი, გიგა ბოკერია მიესალმება პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ მომავალი წლის ნატო-ს სამიტზე საქართველოს სამიზნე არის მაპი, — ამის შესახებ ბოკერიამ 30 აპრილს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში“ განაცხადა.**

**„მივესალმები პრემიერ-მინისტრის დღევანდელ განცხადებას, რა უნდა იყოს ჩვენი სამიზნე ნატოს მომდევნო სამიტზე, კერძოდ, მაპის მიღება. ვთვლი, რომ ამის გარშემო უნდა იყოს პოლიტიკური სპექტრი გაერთიანებული. ეს გზა მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რასაც რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ეძახიან და არა ის მიმართულება, როდესაც ჩვენ ვაჩვენებთ, რომ წინა ხელისუფლებას ვემიჯნებით და ამის გამო უცებ, პრეზიდენტი პუტინი და რუსეთის პოლიტიკური კლასი თავის სტრატეგიულ ხედვებს შეიცვლის, როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა —- მიხვდებიან, რომ არ სჭირდებათ ოკუპაციაო. ეს, უკეთეს შემთხვევაში, გულუბრყვილობაა“,** — აღნიშნა ბოკერიამ.

# თურქეთი სოჭის ოლიმპიადისთვის ტვირთების საქართველოზე გატარებით დაინტერესდა

**თურქეთი დაინტერსებულია, სოჭის ოლიმპიადისთვის საკმაოდ დიდი რაოდენობის ტვირთი, ტრანზიტის სახით, საქართველოს ტერიტორიაზე გაატაროს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ დღეს განუცხადა. მისი თქმით, ეს საკითხი განსჯის საგანია.**

**„საუბარია თურქული ტვირთების გატარებაზე საქართველოს გავლით, ყაზბეგი-ლარსის მარშრუტით. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ეს მსჯელობის საგანია და მისი განხილვა საექსპერტო დონეზე მიმდინარეობს. მაგრამ ეს თავისთავად საინტერსეოა, რადგან საკმაოდ სოლიდურ საბიუჯეტო შემოსავალს მოიტანს საქართველოსთვის, თუ ეს გაკეთდა“,** — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

ამასთან, ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა, თუ რა საკითხებზე გაამახვილა ყურადღება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე „როუზ-როსის“ სემინარზე სიტყვით გამოსვლისას. აბაშიძის თქმით, დღეს საუბარი შეეხო პირდაპირი დიალოგის იმ ფორმატს, რომელიც პრემიერის ინიციატივით შეიქმნა და რომელიც გულისხმობს შეხვედრებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან.



**„დღევანდელ შეხვედრაზე ვისაუბრე იმ წინ გადადგმულ ნაბიჯებზე, იმ გარკვეულ ხელშესახებ შედეგზე, რომლებიც მიღწეულია დიალოგის დაწყების შემდეგ. კერძოდ, ეს არის გარკვეული წინსვლა, ქართული პროდუქციის დაბრუნების თვალსაზრისით, რუსულ ბაზარზე“,** — განაცხადა აბაშიძემ.

მისივე თქმით, ასევე მოგვარდება გარკვეული სატრანსპორტო წინაღობები.

**„მხედველობაში მაქვს ყაზბეგი-ლარსის გამშვები პუნქტი, რომელიც 1 ივნისიდან დაიწყებს 24-საათიან მუშაობას. ეს საჭიროა იმისათვის, რათა ჩვენი ექსპორტი გავიდეს უმოკლესი გზით“,** — განაცხადა აბაშიძემ.

# ირაკლი ალასანიას არ აქვს ილუზია, რომ რუსეთი უახლოეს წლებში ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით დამოკიდებულებას შეცვლის

**ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში არანაირ ცვლილებაზე საუბარი არ არის, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ 30 აპრილს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში“ განაცხადა.**

რაც შეეხება საფრთხეებს, თავდაცვის მინისტრის განცხადებით, არანაირი ცვლილება საფრთხეების შეფასებაში არ არსებობს. „ჩვენთვის ისევე წარმოადგენს საფრთხეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რუსული შეიარაღებული ძალები, როგორც ეს იყო 6 თვის წინ“, — განაცხადა ალასანიამ. როგორც ალასანიამ აღნიშნა, რუსეთთან რიტორიკის არანაირი შერბილება, საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე, თუნდაც დეოკუპაციის ხარჯზე, არ მომხდარა.

**„პრაგმატიზმი შემოვიდა ჩვენს პოლიტიკაში რუსეთთან მიმართებაში. სამხედრო რიტორიკა შევამცირეთ და ასე უნდა იყოს. ჩვენს ამ პრაგმატულ პოლიტიკას ნატოს გენმდივანი და ევროკავშირის ლიდერები მიესალმნენ. მაგრამ, მინდა აღვნიშნო, ჩვენს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს, არც მე არ გვაქვს ილუზია, რომ რუსეთი უახლოეს წლებში შეცვლის თავის დამოკიდებულებას ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ან თუნდაც ჩვენს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით“,** — აღნიშნა ალასანიამ.

## განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591



# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბიბლიოთეკას ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ამაგდარი პიროვნების, თინათინ იოსებაძის სახელი მიენიჭა. თეატრის ძველ თანამშრომლებს და ოპერის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ ქალბატონ თინათინის დამსახურება. თინათინ იოსებაძე 45 წლის მანძილზე მუშაობდა ოპერის თეატრში, აქედან 16 წელი სანოტო ბიბლიოთეკის გამგე იყო.**

1973 წელს ოპერის თეატრში მომხდარი ხანძრის შედეგად, როდესაც განადგურდა შენობა, დეკორაციები, კოსტიუმები, სხვა თეატრალური ატრიბუტიკა, ცხადია, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საოცრებით გადარჩენილი სანოტო ბიბლიოთეკის უნიკალური არქივი, რომელიც სცენის ქვეშ მდებარეობდა და რომელშიც ინახებოდა საოპერო და საბალეტო პარტიტურები, კლავირები, საორკესტრო პარტიები, ძველი და ახალი რეპერტუარის ჩანაწერები. ვინაიდან არქივის ირგვლივ ყველაფერი დაიწვა, ჩამონგრევის საშიშროების გამო არქივში ჩასვლა ძალზე სარისკო იყო და შესაბამისად, თეატრის დირექცია არქივში შესვლისგან თავს იკავებდა.

და მაინც, თინათინ იოსებაძემ მიიღო გადაწყვეტილება — თოკით ეშვებოდა საცავში და ორი კვირის განმავლობაში ამოჰქონდა იქიდან უძვირფასესი მუსიკალური მასალა, აშრობდა, ახარისხებდა, უვლიდა. სწორედ ქალბატონ თინათინის გმირობის მეოხებით გადარჩა და ქვეყანას შეუნარჩუნდა თეატრის სანოტო ბიბლიოთეკის სამუზეუმო მნიშვნელობის კოლექცია, მათ შორის, ქართველ კომპოზიტორთა მემკვიდრეობა.

მის თავდადებას იმხანად ქართული მედიაც გამოეხმაურა და ქალბატონ თინათინს დამსახურებულად „თეატრის გმირიც“ კი უწოდა.

თინათინ იოსებაძის სწორედ ამ დამსახურებისთვის მიენიჭა თეატრის სანოტო ბიბლიოთეკას მისი სახელი, ამასთან, ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ, თეატრის მუზეუმშიც განთავსდება ამ ღირსეული პიროვნების სურათი მისი ღვაწლის შესაბამისად.

საქართველო & მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894